



მაცხოვროვანი

საპატრიარქოს წმიდა ნინოს ღვლათა მონასტრის პერიოდული გაზეთი.
ქურონალი გაზეთის (2010 წლიდან) საშტაბო ებოძა. 2012 წლის 22 იანვარი.

№7




„მიუზარან მაცხოვროვანი ებო შენი
და მუხ მენიკას ბონეპოთა“

წმიდა მიქაელ გიორგიანი

იბეჭდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმიდესისა და უნეტარესის **ილია II-ის** ლოცვა-კუროხევით

„როცა ვფიქრობთ იმაზე, თუ რა არის ქართული იდეა, მივდივართ დასკვნამდე, რომ ქართველი ერის დანიშნულებაა – იქადაგოს ჭეშმარიტი სარწმუნოება. ხომ არსებობს წინასწარმეტყველება, რომ საქართველო, ქართველი ერი უკანასკნელ ჟამს გაბრწყინდება. ვიცით სახარებიდან, რომ უკანასკნელ ჟამს ყველგან დაეცემა რწმენა, ზნეობა, საქართველო კი ღვთის მადლითა და წყალობით გაბრწყინდება და ჯილდოდ ამისა, როგორც დიდი მამა და მოღვაწე ამბობს, მეორედ მოსვლის ჟამს მთელი ქვეყნიერება განიკითხება „ქართულითა ენითა“. ეს იქნება კიდევ ერთი მადლი, რომელსაც მოგვანიჭებს უფალი. მადლობას ვწირავთ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელ დედას, რომელმაც იწება, რომ იყოს პატრონი საქართველოსი...“

უწმიდესი და უნეტარესი
ილია II

	სსამეპროდ წარსულ-გაზეთების სარედაქციო სამსახური	მიმდინარე რეგისტრაციის № 7
	ძირითადი რეგისტრაციის №.....	28.12.11. თარიღი
დასახელება: <i>ქუჩისა და ბუფაროვანი</i>		
რეცენზენტი: <i>მქიმინდოვი ვახუ კაცნიძე</i>		

შინაარსი

ამონარიდები უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ქადაგებებიდან.....4	არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე) საკვირაო ქადაგება.....33
ზაზა სხირტლაძე ივერიის კარის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი.....7	ვაჟა კიკნაძე წმიდა ილია მართალი (ჭავჭავაძე) და მე-19 საუკუნის სამღვდელთა.....36
გისაროდენი ყოვლადწმიდისა ღვთისმშობელი- სა ივერიისა.....14	დეკანოზი გიორგი (სხირტლაძე) „კურთხევა უფლისა ჩვენზედა“.....42
„ფსალმუნნი“ და მისი ავტორი.....24	იღუმენია ქეთევანი (კოპალიანი) „ღმერთი, სამშობლო, ადამიანი.“.....47
შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრება.....28	არქიტექტორი ანატოლი კალგინი.....48
წმიდა ექვთიმე აღმსარებელი (კერესელიძე) სენაკის ღირსება და წუთისოფელი.....30	მცხეთა და მისი ნაშთნი.....51

რედაქტორი: მარიამ (მარინე) ნიაური
სარედაქციო კოლეგია:
არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე)
იღუმენია ქეთევანი (კოპალიანი),
მონოზონი სოსანა (კუპრეიშვილი).
პასუხისმგებელი მდივანი:
მორჩილი მარიამი (იაკობაძე).

მისამართი: მცხეთის სამთავროს
წმიდა ნინოს დედათა მონასტერი.
მირიან მეფის ქუჩა N 03
ტელ: 893 76 31 87; 893 30 07 07
ელ.ფოსტა: samTavrosmonasteri@yahoo.com
ანგარიშის ნომერი: GE65BG0000000158107700



უწმიდესი და უნეტარესი ილია II

* * *

„როდესაც სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის კარგი ურთიერთობაა, სახელმწიფო სწრაფად ვითარდება და წინ მიიწევა, ხოლო როგორც კი ირღვევა ეს ურთიერთობა – ირღვევა მთელი ქვეყანა“.

ERTI WMIDA KATOLIKE DA SAMOCIQULO EKLESIA...



ათონი

„მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის დღეს მრავალი საკითხი დადგა, რომელთა გადაჭრა აუცილებელია. ამიტომ, ახლა ბევრს ლაპარაკობენ სრულიად მართლმადიდებელთა კრებაზე. მაგრამ, მე ვფიქრობ, რომ ვინემ არ გადაიჭრება ყველა ის პრობლემატური საკითხი, რომელიც დღეს მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის არსებობს, კრების მოწვევა, ალბათ, ჯერ არ შეიძლება.“



კონსტანტინეპოლი



მოსკოვი

„რუსეთის მართლმადიდებელ და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის ურთიერთობამ დროის გამოცდას გაუძლო, მით უფრო, რომ ეს დრო მეტად მკაცრი იყო, ვინაიდან უფრო მკაცრი ჟამი ჩვენს სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებში წარმოუდგენელია. და ისმის კითხვა: რატომ გაუუძელით ამ გამოცდას? მიზეზი მარტივია – ქრისტესადმი ერთგულება და ერთიანი ეკლესიის წევრობის გაცნობიერება მორწმუნე ქრისტიანისათვის ყველა სხვა ცხოვრებისეულ ფასეულობაზე მაღლა დგას. ეს ქმნის უდიდესი ძალის საფუძველს ნებისმიერი შენობის – საზოგადოებრივის, სახელმწიფოებრივის, პოლიტიკურის – ასაგებად.“

„ეკლესიის ერთობა, მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში ურთიერთობა – მარადიული ფასეულობაა მორწმუნე ადამიანისათვის.“



ივერიის კარის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი
(„პორტაიტისა“)

IVERIIS KARIS YOV LADWMIDA RVTISMSOBLIS XATI

„სათნო გადმოცემა“

(ტექსტი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში)

„იყო ვინმე ქურივი დედაკაცი კეთილმორ-
წმუნე და დიდად მოყუარე ღმრთისმშო-
ბელისად და აქუნდა ხატი მისი შესავე-
დრებელად სულისა თვისისა, რომელსაცა
დიდითა სასოებითა პატივს სცემდა და
ამბორს უყოფდა სურვილით. ოდეს იქმ-
ნა ხატთა ბრძოლად მწვალებელთაგან,
მძლავრი ვინმე მტარვალნი შევიდა სახ-
ლსა მის ქურივისასა და იხილა ხატი იგი,
ყოვლადწმიდისა დედოფლისა ჩუენისა.
ჰოი, მე – იხადა მახვილი და სცა ხატ-
სა მას წმიდასა და ყოვლად პატიოსანსა,
რადთამცა განაპო იგი. ეჰა, საკვირველბა-
თა შენთა ღმრთისმშობელო მარიაჲ, რამ-
ეთუ გარდამოხდა სისხლი, ვითარცა ცხო-
ველისაგან. ესე რად იხილა მტარვალმან,
შიშმან შეიპყრა და დაეცა მიწასა ზედა,
შესტირა და შეინანა და მოიქცა ხატთა
ბრძოლისაგან და ჰრქუა დედაკაცსა მას:
პატიოსანო დედაო სულიერო, ამიერთგან
ხატი ესე წმიდა უჩინო-ჰყავ, რადთა არა
სხუათა მძლავრთა იხილონ და ბოროტი
რაიმე შეამთხვიონ ამას და შენცა. მას
დამესა ღირსი იგი დედაკაცი მრავლითა
ცრემლითა და ღმობიერებითა ევედრა და
თქუა: ყოვლადწმიდაო დედოფალო მარიაჲ,
აქამომდე მცუელი ჩემი შენ ხარ და ნუგე-
შინისმცემელი ქურიობისა ჩემისაჲ. აწ
კუალად მეცა დამიფარე და ხატიცა შენი.
და წარიყუანა ხატი იგი ზღვისკიდესა და
შთაასუნა მცირესა ნავსა და მისთანა
სანთელი და საკმეველი, და ამბორს-უყო
ღმობიერითა ცრემლითა და შეაცურვა
ზღუასა.

წარვიდა უკუე ხატი იგი წმიდად და
შემდგომად რაოდენისამე ჟამისა მოვიდა
მთასა წმიდასა, მახლობელად ივერიი-
სა მონასტრისა, რომელ არს ქართველ-
თა. ჟამსა ოდენ შუადამისასა, იხილეს
მონაზონთა მის მონასტრისათა სუეტი
ნათლისად ყოვლად ბრწყინვალე ზღვი-

გან ვიდრე ცადმდე და განკვირვებულნი
ხვალისად შევიდენ ნავებითა ხილვად მისა,
გარნა იგი უშორეს წარვიდა და ვერვინ
მიეახლა და ილოცეს მრავალთა წმიდათა
მამათა, რადთამცა მიეახლენ და არა ინება,
არამედ გამოუცხადა მათ, ვითარმედ მოვი-
დეს გაბრიელ ქართველი და გამოვალს.
რამეთუ იყო ესე გაბრიელ მღვდელმონ-
აზონი განშორებული, კეთილგონიერებით
მოდუაწე, სათნოყოფელი ღმრთისა, და
ფრიად მოყუარე ღმრთისმშობელისა.

მოიყვანეს ღირსი მამა გაბრიელ და შე-
რადვიდა ზღუად, არღარა განეშორა ხატი
იგი ბრწყინვალე, არამედ უფროდესა მოე-
ახლა. ხოლო თაყუანისსცა მოწლედ და
სურვილით ამბორს-უყო ყოვლად ღირსმან
მამამან გაბრიელ ხატსა საყუარელისა
თვისისა ღმრთისა დედისასა და გამოიყვა-
ნა ქუეყანად და პატივით დაასუნა ეკლე-
სიასა შინა მონასტერსა ივერიელთასა. და
იწყეს პარაკლისი და ლიტანიობა მრავ-
ლითა ბრწყინვალეებითა და სურვილითა
თაყუანის-სცემდეს და ღმობიერად ამბო-
რს-უყოფდეს ყოველნი.

ხოლო ხვალისად იხილეს წმიდად იგი
ხატი არღარა ადგილსა თვისსა, არამედ
ზედა კარსა ეკლესიისასა, ჩამოიდეს და
ადგილსავე-თვისსა დაასუნენეს პატივითა.
გარნა კუალად მუნვე ამალდა კარსა
ზედა. კუალადცა ჩამოიდეს და კუალად-
ცა ამალდა. მერმე გამოეცხადა ღმრთისმ-
შობელი ყოვლად ღირსსა გაბრიელს და
ჰრქუა: **აქა მნებავს ყოფაი, რათა მცუელ
ვიყო ივერიელთა.** მაშინ აღაშენეს მუნ
სამწირველო შეენიერი კამარედ და
უწოდეს საკვირველსა მას ხატსა **კარისა
ღმრთისმშობელი**, მრავლითა სამკაულითა
და დიდებითა პატივ-სცეს დღეინდელად
დღემდე. მარადის ჰყოფს საკვირველთა
სასწაულთა ყოვლადწმიდად ღმრთისმშო-
ბელი ხატისა მის მიერ პატიოსნისა და

ბრწყინვალედ განფენილ-არს სახელი მისი ყოველსა ქუეყანასა. ხოლო მსმენელნი და მხილველნი აღიდებდენ ღმერთსა, რომელმან ჰყვის საკვირველი და სარწმუნოებით თაყუანის-სცემენ დედასა მისსა მარიამს.

ისმინეთ, ქრისტესმოყუარენო, საკვირველება ღმრთისა და დიდებულება პატიოსანთა ხატთა. ამისთვის გლოცავ და გვევდრები მორწმუნენო მსმენელნო:


სასოებით თაყუანის-ვსცემდეთ წმიდათა ხატთა და გონებასა ჩუენსა პირმშოდსა მის სახისად აღვამადლებდეთ, მსურვალედ ვევედრებოდეთ და სურვილით ამბორს-უყოფდეთ და პატივს-ვსცემდეთ, სანთლისა აღნთებითა, საკმეველისა კმევითა და შესაწირავითა ეკლესიასა ვადიდებდეთ; მღვდელთა პატივს-ვსცემდეთ და ღმერთსა სათნო-ვეყოფოდეთ; ძალი-საებრ ჩუენისა ვიმარხვიდეთ; გულით წმიდით ვილოცვიდეთ, თუ ვისგანმე წყენა გუახსოვდეს მიუტყოთ, რადთა ღმერთმან ჩუენცა მოგვიტყოს შეცოდებანი ჩუენნი; საღმრთოსა წირვასა და ეკლესიასა ღოცვასა ნუ დავაკლდებით, აღსარებითა განვსწმდებოდეთ და სარწმუნოებით ვეზიარებოდეთ, ხელითა ჩუენითა ვშურებოდეთ და მით მოწყალებასა ვიქმოდეთ, და ესევეითართა სათნოებითა შემეკობილნი პატიოსანთა ხატთა თაყუანის-ვსცემდეთ და რადცა კეთილი ვითხოვთ სარწმუნოებით, უეჭუელად მოგუეცემის.

ვაქებდეთ, ვადიდებდეთ, თაყუანის-ვსცემდეთ და ვნატრიდეთ ყოველადწმიდასა ქალწულსა ღმრთისმშობელსა მარიამს. რამეთუ მან სთქუა: „ამიერითგან მნატრიდენ მე ყოველნი ნათესავნი.“ აჰა, გნატრით ნათესავნი ქრისტეანეთანი ღმრთივსანატრელო მარიამ და ვიტყვით: ნეტარ არიან თუალნი შენნი, რამეთუ ჰხედვენ რომლისათვის მრავალთა მეფეთა გული-უთქმიდა ხილვად. ნეტარ არიან ბაგენი შენნი, რომლითა შეეხები ნაკურცხალსა მას ესაიას ბაგეთა განმწმედელსა, ნეტარ არს პირი შენი, რომლითა ამბორს-უყოფ პირსა, მოსეს პირისა განმბრწყინვებელსა. ნეტარ არს წიაღი შენი, რომლითა შეიტკობ, რომელი იყო წიაღთა მამისათა, ნეტარ არიან ძუ-

ძუნი შენნი, რომლითა აწოებდ ყოვლისა სოფლისა მზრდელსა, ნეტარ არს მუცელი შენი, რომლითა იტვირთე ცათა დაუტყენელი და ნეტარ არიან იგინიცა, რომელთა ისმინონ სიტყუად შენგან შობილისა ღმრთისად და დაიმარხონ იგი“.

ათონის ქართველთა მონასტერში დაბრძანებული ღმრთისმშობლის სასწაულთმოქმედ ხატს არასდროს მოჰკლებია ყოველადწმიდას წილხვდომილი ქვეყნის შვილების ზრუნვა. ყოველივე ეს მკაფიოდ საჩინოვდება, როგორც საკუთრივ ივერთა მონასტრის ისტორიის წერილობითი წყაროებით (აქტებით, აღაპმოსახსენებლებით), ისე მეფე-დიდებულთა იმ საქტიტორო მოღვაწეობით, რომელიც ასწლელულთა მანძილზე არ შენელებულა.

ივერიის ღვთისმშობლის ხატის ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი, ოქრონაქანდაკევი პერანგით მის შემკობასთანაა დაკავშირებული. ათონის მთის სიწმიდეთა იმ მრავალრიცხოვან აღწერებში, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე შეუდგენიათ პილიგრიმებს, მოგზაურთ, სიძველეთა მოყვარულებსა თუ სწავლულებს, ტრადიციულად, საგანგებოდ აღიღი ეთმობა კარის ღმრთისმშობლის სასწაულთმოქმედ ხატს და ქართველთა მონასტერთან მისი გამოჩენის შესახებ არსებულ გადმოცემას. ავტორთა უმეტესობა ყურადღებას ამახვილებს ამ გადმოცემაზე, ამასთან, თითქმის დუმილით უგლის გვერდს ხატზე აღბეჭდილ დედაღმრთისას და ყრმა იესოს ფერწერულ გამოსახულებებს, ისევე როგორც ხატის მოჭედილობას. ამ მხრივ, ამ ხარვეზს, გარკვეულწილად ავსებს ქუთათელ არქიპისკოპოს ტიმოთე გაბაშვილთან მოტანილი მასალები. ქართველი მოღვაწე 1755-1758 წლებში რამდენჯერმე ეწვია ათონის მთას და ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე იმყოფებოდა იქ, ივირონის მონასტრის სიძველეთა შორის. იგი, ბუნებრივია, საგანგებოდ დაინტერესდა კარის ღმრთისმშობლის ხატის ისტორიით. არსებობს ტიმოთე გაბაშვილის მოგზაურობის აღ-



ი ვ ი რ ო ნ ი

წერის „მიმოსვლის“, რამდენიმე რედაქცია, რომელთა შესწავლა-შეჯერებამ ცხადყო, რომ ქართველი მღვდელმთავარი ცდილა პორტაიტისას ხატის ჭედური პერანგის ქტიტორთა ვინაობის დადგენას. საამისოდ მის მიერ მასალები, უწინარეს ყოვლისა, მონასტერშივე იქნა მოძიებული. შემდგომში ეს მასალები შეივსო და გადაისინჯა; მართალია, „მიმოსვლის“ ტექსტის რედაქციების ცნობები სასწაულთმოქმედი ხატის შესახებ, ამის გამო, რამდენადმე განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ, რაც მთავარია, ისინი თანხვდება ძირითადი მონაცემების მხრივ. სახელდობრ, ყველგან მითითებულია, რომ კარის ღმრთისმშობლის ხატი „მძიმედ მოუჭედია“ სამცხის ათაბაგს, ქაიხოსროს (1498-1500), ყვარყვარე ჯაყელისა (1451-1498) და დედისიმედის, მუხრანბატონის ასულის ძეს.

1819 წელს ივირონის მონასტრის კრებულის დაკვეთით, მოსკოვში კარის ღმრთისმშობლის ხატის ახალი პერანგი დაუმზადებიათ. ამის შესახებ თავად რუსული მოჭედულობის ქვედა ჩარჩოზე მოთავსებული საქტიტორო წარწერა მოგვითხრობს. თუმცადა, ახალი პერანგით ხატის მუდმივად დაფარვა, როგორც ჩანს, ხანგრძლივი

პერიოდის მანძილზე ვერ გადაეწევიტა მონასტრის ძმობას; მოგზაურთა და პილიგრიმთა აღწერებში რუსული მოჭედულობა მხოლოდ დროდადრო თუ ჩნდება, ძირითადად კი XIX საუკუნის ავტორები ქართული ოქროცურვილი საბურველის შესახებ მიუთითებენ.

ათონზე არქიმანდრიტ პორფირი უსპენსკის მოგზაურობის დროისათვის, 1850-იან წლებში, ხატს უკვე ფარავდა რუსული მოჭედულობა. მართლაც, ავტორი მიუთითებს ქართულ წარწერაზე, რომელიც იმ დროისათვის მოსკოვური მოჭედულობის ქვეშ მოჩანდა. კვლავ ძველი ქართული მოჭედულობის შესახებაა საუბარი 1898 წელს ათონის მთაზე მოწყობილი სამეცნიერო ექსპედიციის დროს თავმოყრილ მასალებში, რომლებიც ნიკოდიმე კონდაკოვმა გამოაქვეყნა და რომელთა შორის გარკვეული ადგილი ეთმობა პორტაიტისას ხატსაც. კარის ღმრთისმშობლის ხატის მოჭედულობის ისტორიისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მოკლე მითითება მოიპოვება ეპისკოპოს პეტრე კონტოშვილის მრავალმხრივ საინტერესო თხზულებაში: „ათონის ქართველთა საგანეში გადმომცეს, რომ ივერიის მონას-

ტრის ბერძენთა კრებულსა ქ. მოსკოვში მოემზადებინა ახალი კვართი (პერანგი) ივერიის კარის ღვთისმშობლის ხატისათვის, ბერძნულის წარწერით, რომელიც მე თვითონ მაჩვენა ბერძნის იღუმენმა. მაგრამ გაძარცვა ძველის ოქრო მოჭედის პერანგისა და... შემოსვა ღვთისმშობლის ხატისა ახალის პერანგითა ვეღარ იკადნიერეს, რადგანაც ერთს ბერძენს ძმათაგანს ჩვენება უხილავს, რომ არ გაჰბედონ შეხება მის წმიდა ხატისა, გაძარცვა ძველის პერანგისა და შემოსვა ახლისა“.

ივირონის მონასტრის ძმობის წევრთა ცნობით, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, ვიდრე გასული საუკუნის შუახანებამდე, რუსული მოჭედილობით ხატს მხოლოდ სამი დიდი დღესასწაულის დროს მოსავდნენ – შობას, აღდგომას და მიძინებას. შემდგომში ეს პერანგი აღარ მოუხსნიათ და იგი გამუდმებით ფარავდა ძველ მოჭედილობას.

1993 წლის ზამთარში, მონასტრის სინაქსისის გადაწყვეტილებით, ხატი განათავისუფლეს გვიანი მოჭედილობისაგან და საგანძურში გადაიტანეს. პორტაიტისას ხატი კვლავ წარმოჩნდა თავისი პირვანდელი მშვენივლით.

კარის ღმრთისმშობლის ხატის მოჭედილობის ისტორიის შესასწავლად არსებობს ორი ძირითადი წყარო, ესაა: ა) ისტორიული ხასიათის საქტიტორო წარწერა, შესრულებული თავად ხატის პერანგზე; ბ) ივირონის მონასტრის აღაპები.

საქტიტორო წარწერა ხატის ქვედა არშიაზეა მოთავსებული. ვრცელი, ოთხსტრიქონიანი ტექსტი ამოჭედილია ორ მოგრძო ოქროს ფირფიტაზე, რომლებიც ფარავს ქვედა არშიის მთელს ცენტრალურ ნაწილს. წარწერა შესრულებულია ასომთავრულით, მომცრო, ამასთან ლამაზი, სტილიზებული ასოებით. წარწერის ქვედა სტრიქონს ნაწილობრივ ეფარება ხატის ჩარჩოს ქვედა მოჭედილობის ფირფიტები. ტექსტი ორგან, პირველ და მეოთხე სტრიქონში, უმნიშვნელოდაა დაზიანებული; მიუხედავად ამისა, მისი სრული სახით აღდგენა მაინც შესაძლებელია:

„ქ. დ(ედო)ფ(ალო), [დ(ედ)ა]ო კ(ა)ცთ-მ(ო)ყ(უა)რისა დ(მრთ)ისაო, ყ(ოვლა)დ უბი-წოო ქ(ალო)წ(უ)ლო მ(ა)რ(ია)მ, შ(ეი)წ(ყა)ლ(ე)ს(უ)ლი პ(ა)ტრ(ო)ნისა ჩ(ემ)ისა დიდისა ყ(უა)რყ(უა)რ(ეს) შვილისა ქაიხოსროსა და მე მონა შ(ენი) და ყ(ოვლ)ით(უ)რთ ულონო ქმნილი საბრ(ა)ლო ამბროსი. გმ(ა)დლ(ო)ბ, რ(ომელმ)ან დირს მყ(ა)ვ უდ(ი)რსი ესე მოჭედ(ა)სა და შემკობასა წ(მიდი)სა ხ(ა)ტისა შ(ენ)ისა პორტაიტის(ი)სა. ეჰა, დ(ედო)ფ(ალო), შეი(წირ)ე მცირე ესე ჩემი ც(ო)დვილისა მ(იერ) კადრ(ებ)ული და დაიც(ე)ვ ნეშტი ცხ(ო)რ(ებ)ისა ჩ(ემ)ისა უც(ო)დველ(ა)დ და ჟ(ამს)ა ს(ა)წყ(ა)ლ(ო)-ბლისა ს(უ)ლისა ჩ(ემ)ისა გ(ა)ნსლვისა-სა შემეწიე და უჩინო ყ(ა)ვნ ყ(ოველ)ნ(ი)ვე ც(ო)დგ(ა)თა ჩ(ემ)თა ხ(ე)ლითწერილნი და წ(ა)რმადგინე ც(ო)დ(ე)ილი ს(ა)ყდ(ა)რთა ძისა და დ(მრთ)ისა შ(ენ)ისა დ(იდ)ებ(ა)დ ძისა შ(ენ)ისა და თანა დაუსაბამოსა მ(ა)მ(ი)სა [მის(ი)სა და ყ(ოვლა)დწ(მიდის)ა ს(უ)ლისა მისისა, აწ [და] მ(არა)დის და უკ(უნით)ი უკ(უნისამ)დე, ა(მი)ნ“.

შემცველი ცნობების მხრივ, თანაგვარი მნიშვნელობისაა ივირონის მონასტრის სააღაპე წიგნში შესული ორი აღაპი (№162 და №163), შესრულებული ვინმე ამბროსის მიერ. ამ აღაპებში ვრცელადაა მოთხრობილი სამცხის ათაბაგის, მზეჭაბუკის (1500-1516) მიერ მისი გარდაცვლილი ძმის, ქაიხოსროს სულის საოხად ათონზე, იერუსალიმსა და სინაზე, შეწირულებათა გაგზავნის თაობაზე: „...მე, სავაგლახო, აღზრდილი კურთხეულისა და სულდიდებულისა პატრონის ქაიხოსროსი, ამბროსი, წარმომავლინა პატრონმან, ძმამან მათმან, მზეჭაბუკ, სრულიად საბერძენთად, იერუსალიმს და სინასცა მრავლითა საქონლითა; დაუწყეთ გაცემა ტრაპიზონტით კოსტანტიპოლემდის და კოსტანტიპოლითგან ვიდრე ამა წმიდა მთამდე. და მოვვლეთ ყოველნი მთისა ამის მონასტერნი, სადაყუდებულონი და მესენაკენი, და წესისაებრ მოვაჯსენეთ მოსაჯსენებელი და სალოცავი და სრულიად ელადისა და მაკიდონის თემსა, მონასტერთა, მიტროპოლიტთა, ებისკოპოზთა, ხუცესთა, გლახაკთა და ტყვსუფალთა, ყოველთავე ზედა

დიადი გავრცეით. ეგრეთვე, ჩუენსა ამას მონასტერსა მოვახსენეთ ოცდა ხუთიათას ხუთასის ოთმანურისა, ზოგი ფლურად და ზოგი თეთრად. და მამამან და სრულიად კრებულმან მონასტრისამან განაჩინეს და შეგვიკუეთეს სულდიდებულისა პატრონის ქაიხოსროსთვის ყოველთა პარასკევთა მწუხრი, კოლიო და შაბათსა – წირვა რასდომცა მღდელი იყოს და ტრაპეზს შესულა და მისთვის ლოცვა ესე სამარადისო ყოველთა შაბათთა და ერთი აღაპი დღესა მიცვალებისა მისისსა მაის ექუსსა წირვითა, რასდომცა მღდელი იყოს, ბერძენი და თუ ქართველი, მწუხრი პანაშვიდითა

ტრაპეზს შესულითა, შეგვიწყალებთა ზედა მოხსენებითა და სამარადისო ლოცვითა, ვითარცა აღმაშენებელთა მოიხსენებდნენ, და ვინ ესე უღებ ყოს და ესე გაჩენილი მოშალოს და გულსმოდგინებით არა აღასრულოს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი“. და შემდეგ: „ეგრეთვე აღზრდილი პატრონის ქაიხოსროსი, ამბროსი დიდად შეეწია ამა მონასტერსა: პორტაიტისა ღმრთისმშობლისა ხატი მოჭედა მძიმედ, მისსავე ეკკლესიასა ზედა პირლო აღაშენა და გაამაგრა თოფითა და საუძლურე აღაშენა მისითა აკაზმულობითა და ღომატო მეტოქი მისით წყალობითა აშენდა და ამისთვის განუჩინეთ ჩუენ, მონასტერმან, მამამან და სრულიად კრებულმან, ძმათამან ყოველთა სამაფათთა პორტაიტისა ხატის წინაშე წირვა მისის სულისათვის, ტრაპეზს შესულა და მისის სულისა მოხსენება ყოველთა ძმათაგან ვითარცა აღმაშენებელთათვის წერილ არს. ვინ ესე დააკლოს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი, ამინ“.

მოხმობილი წყაროების მიხედვით, ნათელი ხდება, რომ კარის ღმრთისმშობლის ხატის მოჭედილობა შესრულდა სამცხის ათაბაგისა და ამირსპასალარის, ყვარყვარე დიდის ძის, ქაიხოსროს გაზრდილის, ამბროსის მიერ, მისი ღვაწლით. თავის მხრივ, ამბროსი, ყვარყვარეს და ქაიხოსროს გარდაცვალების შემდეგ, მზეჭაბუკ ათაბაგის მიერ დიდი სააღაპე ფულითა და ძვირფასი შესაწირავით წარიგზავნა წმიდა მთაზე, აგრეთვე იერუსალიმსა და სინაზე.

ვის მიერ და სად უნდა ყოფილიყო შესრულებული ივერიის ღმრთისმშობლის ხატის მოჭედილობა? ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ივერონის მონასტრის ქაიხოსრო ათაბაგისეულ (162-ე) აღაპში, სადაც დაწვრილებით არის ჩამოთვლილი მისი ძმის, მზეჭაბუკის, მიერ ამბროსისათვის გატანებული შეწირულობები; არაფერია ნათქვამი პორტაიტისას ხატის პერანგის გამოჭედვისა და საქართველოდან ათონს მისი გაგზავნის თაობაზე. იმავდროულად, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის იმავე ქაიხოსროსეულ აღაპში, სხვა მრავალ შეწირულებათა გვერდით, აღნიშნულია

ათონის წმიდა მთა. ივერონი. ივერიის კარის ღვთისმშობლის ხატისათვის აგებული ეგვიპტე.



ათონის წმიდა მთა. ივერონი. ივერიის კარის ღვთისმშობლის ხატისათვის აგებული ეგვიპტე.

რე დიდის ძის, ქაიხოსროს გაზრდილის, ამბროსის მიერ, მისი ღვაწლით. თავის მხრივ, ამბროსი, ყვარყვარეს და ქაიხოსროს გარდაცვალების შემდეგ, მზეჭაბუკ ათაბაგის მიერ დიდი სააღაპე ფულითა და ძვირფასი შესაწირავით წარიგზავნა წმიდა მთაზე, აგრეთვე იერუსალიმსა და სინაზე.

ვის მიერ და სად უნდა ყოფილიყო შესრულებული ივერიის ღმრთისმშობლის ხატის მოჭედილობა? ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ივერონის მონასტრის ქაიხოსრო ათაბაგისეულ (162-ე) აღაპში, სადაც დაწვრილებით არის ჩამოთვლილი მისი ძმის, მზეჭაბუკის, მიერ ამბროსისათვის გატანებული შეწირულობები; არაფერია ნათქვამი პორტაიტისას ხატის პერანგის გამოჭედვისა და საქართველოდან ათონს მისი გაგზავნის თაობაზე. იმავდროულად, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის იმავე ქაიხოსროსეულ აღაპში, სხვა მრავალ შეწირულებათა გვერდით, აღნიშნულია

თვით ვერცხლის ბარძიმისა და თეფშის შეწირვის შესახებაც კი. რაც შეეხება ივირონის მონასტრის ამბროსისეულ (163-ე) აღაპს, მასში ხაზგასმით არის თქმული, რომ იგი დიდად შეეწია მონასტერს და დედაღმრთისას სასწაულთმოქმედი ხატი „მოჭედა მიძიედ“. რაც მთავარია, ხატის შემკობისა და მონასტერში ჩატარებული სააღმშენებლო საქმიანობისათვის, ივირონის კრებულმა ამბროსის ყოველ სამშაბათს განუწესა კარის ღმრთისმშობლის ხატის წინაშე წირვა, მისი სულის საოხად, ასევე – საკურთხეველში შესვლა და მისი სულის მოხსენება ძმობის თითოეული წევრის მიერ, „ვითარცა აღმაშენებელთათვის წერილ არს“. ამგვარი პატივი განსაკუთრებით დიდი დამსახურებისათვის იშვიათად თუ მიეგებოდა ვისმეს.

ამბროსის მიერ შეწირულობათა ჩატანა ათონისა და იერუსალიმის ქართველთა სავანეებში, მისი მოღვაწეობის მარტოოდენ ერთი მხარეა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო ამ მოღვაწეობის მეორე მხარე – სასწაულთმოქმედი ხატის მოჭედვა, მონასტერში ჩატარებული აღდგენითი სამუშაოები და ახალმშენებლობები. ქაიხოსრო ათაბაგის აღზრდილისა და ყმის მატერიალური შესაძლებლობები, ცხადია, გამორიცხავდა თავად ამბროსის საფასით ასეთი დიდი სამუშაოების შესრულებას. ყოველივე ამის განხორციელება მხოლოდ ათაბაგთა მხრიდან მსხვილი შეწირულების გაღების შედეგად თუ იქნებოდა შესაძლებელი. რაც შეეხება მათს წარგზავნილს ათონზე, მისი დამსახურება ივირონის მონასტრის ძმობის წინაშე და, შესაბამისად, მონასტრის ძმობის მიერ მისთვის მიგებული პატივი მხოლოდ და მხოლოდ უნდა ყოფილიყო შედეგი მისი პრაქტიკული საქმიანობისა.

ხატის მოჭედილობის წარწერის პალეოგრაფია, მისი დახვეწილი კალიგრაფია, რთული სტილიზებული ლიგატურების გამოყენება, ისევე როგორც ტექსტისათვის ნიშანდობლივი მაღალი მჭკვერმეტყველური დონე, ცხადს ხდის, რომ იგი ქართველი ოსტატის მიერ უნდა იყოს შესრულებული. ყურადღებას იქცევს ის გარემოება,

რომ წარწერაში ამბროსი პირველი პირით საუბრობს. ეს ფაქტი იმ მხრივაც არის ანგარიშგასაწევი, რომ ამით საქტიტორო წარწერაში ხაზგასმული მკაფიოებით წარმოჩინდება ჭედური პერანგის მომგებელთა, სამცხის ათაბაგთა კარზე აღზრდილი და მათი ერთგული ქართველი მოღვაწის დიდი დამსახურება, აღმოსავლეთის საქრისტიანოში თავისი საკრალურობით გამორჩეული სასწაულთმოქმედი ხატის შემკობის საქმეში. ეს, ყოველივე ზემოთ მითითებულთან ერთად, როგორც



ათონი. ივერთა მონასტერი XVII ს.
მიტროპოლიტ ტიმოთე გაბაშვილის ჩანახატი.

ჩანს, უნდა მეტყველებდეს ამბროსის უშუალო მონაწილეობაზე ივერიის ღმრთისმშობლის ხატის მოჭედილობის შექმნაში. სხვაგვარად, ივირონში ამბროსისადმი მიგებული გამორჩეული პატივი და ზემოთ დასახელებული ფაქტები, ძნელად ასახსნეული იქნებოდა.

აქედან გამომდინარე, არსებობს გარკვეული საფუძველი ვარაუდისათვის, რომ კარის ღმრთისმშობლის ხატის მოჭედილობა ამბროსის მიერ იქნა შესრულებული.

წყაროთა დუმილი, ამბროსის მიერ ათონზე ივერიის ღმრთისმშობლის ხატის

პერანგის ჩატანის თაობაზე, ფაქტობრივად გამორიცხავს მის დამზადებას სამცხეში; ამ მხრივ, ერთადერთი, შესაძლო, ადგილი თავად ათონის ქართველთა მონასტერია. მიუხედავად ამისა, უთუოა მოჭედლობის მხატვრულ თავისებურებათა წანამძღვრების უშუალო კავშირი სამცხესთან. აქტიური შემოქმედებითი მოღვაწეობის პროცესი, რომელიც ჯაყელთა რამდენიმე თაობის წარმომადგენელთა წყალობით, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, ფაქტობრივად XIV საუკუნიდან მოკიდებული, ვიდრე XVI საუკუნის შუახანებამდე, არ განელებულა – ხუროთმოძღვრების, კედლის მხატვრობისა და ხელნაწერი წიგნის მხატვრული გაფორმების გარდა, ოქრომჭედლობაშიც აღიბეჭდა.

როგორ უნდა გავიგოთ ივირონის მონასტრის ალაპისა და უთუოდ მის საფუძველზე, ტიმოთე გაბაშვილის მიერ მოტანილი მითითება კარის ღმრთისმშობლის ხატის „მიიმედ მოჭედვის“ თაობაზე? ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა ძნელია, თუნდაც იმის გამო, რომ მსგავსი ტერმინი ქართულ წყაროებში, მათ შორის ჭედური ხატ-ჯვრების მრავალრიცხოვან საქტიტორო წარწერებში, არ დასტურდება. ასეთ პირობებში ერთადერთ შესაძლო წინაპირობად უნდა მივიჩნიოთ ალაპის შემდგენლის სურვილი (აღბეჭდილი მოგვიანებით, XVIII საუკუნის ქართველ მოგზაურთაგან), ხაზგასმული ყოფილიყო ის ფაქტი, რომ ჭედურობით შეიმკო არა სასწაულთმოქმედი ხატის ცალკეული ნაწილები (ამგვარი პრაქტიკა კი ტრადიციულად არსებობდა მთელ სამართლმადიდებლოში), არამედ იგი ერთიანად იქნა დაფარული ოქროცურვილი ჭედური პერანგით. ამასთან დაკავშირებით უნებურად წამოიჭრება მეორე საკითხიც – იყო თუ არა უფრო ადრე ივერიის ღმრთისმშობლის ხატი მოჭედობის? ის ფაქტი, რომ წყაროებში არაფერია ამხე თქმული, თავისთავად დამაფიქრებელია. უწინარეს ყოვლისა, ეს ეხება თავად ხატის საქტიტორო წარწერას. მასთან ერთად კი მონასტრის ალაპებს, სადაც უფრო ძველი პერანგის არსებობის შემთხვევაში მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო მითითება ღმრთისმშობლის ხატის ხელმეორედ

მოჭედვის ანდა მოჭედობის განახლების შესახებ. ძველი ქართული ჭედური ხატების საქტიტორო წარწერებში ეს ჩვეული მოვლენაა, მით უფრო, გვიანი შუა საუკუნეების განმავლობაში.

ივერიის ღმრთისმშობლის ხატის ძველი მოჭედობის შესრულების პერიოდის დაზუსტება ძნელი არ უნდა იყოს, თუკი გავითვალისწინებთ, რომ იგი ქაიხოსრო ათაბაგის გარდაცვალების შემდგომ, მისი სულის საოხად წმიდა ადგილებში შეწირულებათა წადების თანადროულად შეიქმნა. ამის შესაბამისად, თავისთავად ისაზღვრება პერანგის მოჭედვის ქვედა მიჯნა – 1500 წლის (ქაიხოსროს გარდაცვალების თარიღის) ახლო ხანები. ნათელია ისიც, რომ ამბროსი ათონზე, იერუსალიმსა და სინაზე თავისი აღმზრდელისა და პატრონის აღსრულებიდან მალევე უნდა გაეგზავნათ ზედა ქრონოლოგიურ მიჯნასთან დაკავშირებით. ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ მხეჭაბუკ ათაბაგის მიერ წმიდა ადგილებში შეწირულებათა გაგზავნის შესახებ მოგვითხრობს კონსტანტინოპოლის პატრიარქ იოაკიმე I თხზულება, რომელიც სავარაუდოდ დაიწერა არაუგვიანეს 1504 წლისა. შესაბამისად, კარის ღმრთისმშობლის ხატის ჭედური პერანგის შექმნის შესაძლო პერიოდი 1500-1504 წლებით უნდა განისაზღვროს.

ყოველწმიდა ღმრთისმშობლის ხატს არც ამის შემდგომ მოჭედება მონასტრის დამფუძნებელთა შთამომავლების ყურადღება. ქართველ მეფე-მთავართა, საეკლესიო მოღვაწეთა და მომლოცველთა მიერ გაღებული შეწირულობები მონასტრის განახლება-გაძლიერებასთან ერთად სწორედ დედაღვთისას სასწაულთმოქმედ ხატზე ზრუნვით იყო განპირობებული. 1680 წელს აშოთან მუხრანბატონის ღვაწლით, მონასტერში, კარიბჭესთან ახლოს, ეკლესია აიგო და პორტაიტისა იქ იქნა გადასვენებული. მას შემდეგ, დღემდე ივერიის ღმრთისმშობლის ხატი ამ პატარა ტაძარშია დაბრძანებული.

ხელოვნ. მეცნ. დოქტორი
ზაზა სხირტლაძე

GIXARODENI YOV LADWMIDISA RVTISMSOBELISA IVERIISA

„გიხაროდენი“ დაუჯდომელი საგალობლის (აკათისტოს) კიდევ ერთი ქართული სახელწოდებაა და იგი ღვთისმშობლისადმი ხარების დროს წარმოთქმული მიმართვის დასაწყისი სიტყვებიდან არის აღებული: „გიხაროდენ მიმადლებულ მარიამ, უფალი შენთანა“ (ლუკა 1,28).

წინამდებარე „გიხაროდენი“ XIX ს. ბოლოს დაისტამბა. მისი ერთ-ერთი ვარიანტი გამოიცა 2003 წ. მეუფე იობის ლოცვა-კურთხევით. იგივე ტექსტის ხელნაწერი, მცირედი სხვაობით, ინახება მონასტერში. ხელნაწერი გადაწერილია 1914 წელს სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერში, სამონოზენე ივლიტას მიერ, რომელიც მკითხველისაგან ითხოვს შენდობას: „გადამიწერია ესე ლოცვანი მე ყოვლად უღირს და ცოდვილს სწო ივლიტას. გთხოვთ, ვისიც ხელში იყოს ესე ლოცვანი, ჩემთვისაც ილოცოთ. 1914 წ. 18 აპრილსა.“

კონდაკი: ა

ზესთამბრძოლისა დედოფლისა ჩვენი-
სა ღვთისმშობელისა ქებისა გალობასა
შევსწირავთ შენდა მომართ მონანი შენნი,
რამეთუ მოსვლითა პატიოსნისა ხატისა
შენისათა მოციქვთ შენ ფარად სიმტკიცისად,
ზღუდედ უბრძოლველად და მცველად
მიურულებელად, არამედ, ვითარცა
გაქვს ძლიერება უბრძოლველი დაგვიცვე
და დაგვიფარე ჩვენ, დედოფალო, ყოველ-
თა ხილულთა და უხილავთა მტერთაგან
და გვიხსენ ჩვენ ყოველთაგან სულიერთა
და ხორციელთა ვნებათაგან, რათა გიგა-
ლობდეთ შენ: გიხაროდენ, სახიერო მე-
კარეო, სამოთხისა ბჭეთა მორწმუნეთად
განმდებელო.

იკოსი: ა

ანგელოზი წინამდგომი ზეცით მოივ-
ლინა ჰრქმად ღვთისმშობელისად, რაჟამს
გამოუხდა მას წილი მოციქულებისა მსახ-
ურებისა, ადგილთა ივერიისათა, ნუ განე-
შორები იერუსალიმით, რამეთუ წილხ-
დომილი შენი განნათლდეს მომავალთა
ჟამთა, ხოლო შენ იღვწიდი მუნ, სადაცა
ინების ღმერთმან, ამისთვის გიგალობთ:

გიხაროდენ, რომლისა მიერ სახარება
ესხარების;

გიხაროდენ, რომლისა მიერ კერპთა
საცდური გაუქმდების;

გიხაროდენ, რომლისა მიერ ძლიერება
ბნელისა მთავრისა დაირღვევის;

გიხაროდენ, რომლისა მიერ მეუფება
ქრისტესი დამტკიცდების;

გიხაროდენ, ბნელსა კერპთმსახურები-
სასა შთავრდომილთა სახარებისა ნათლი-
სადმი აღმოწოდებაო;

გიხაროდენ, მონებისაგან ეშმაკისა
აზნაურებად დიდებასა ძეთა ღვთისათა
მომყვანებელო;

გიხაროდენ, მარადის განმზადებულ
მსახურო ძისა და ღვთისა შენისაო;

გიხაროდენ, მორჩილებითა შენითა ევას
ურჩებისა დამხსნელო;

გიხაროდენ, სიმაღლეო ქველისმოქმედე-
ბათაო;

გიხაროდენ, სიღრმეო გონიერისა სიმდ-
აბლისაო;

გიხაროდენ, რომლისა მიერ ურწმუნონი
სცნობენ შემოქმედსა;

გიხაროდენ, რომლისა მიერ მორწმუ-
ნენი შვილღვთისა იქმნებიან;

გიხაროდენ, სახიერო მეკარეო, სამოთხი-
სა ბჭეთა მორწმუნეთად განმდებელო.

კონდაკი: ბ

მხედველი საკვირველისა და ახლისა მისთვის ღვთისა ნებისა, წმიდა ქალწული, ვითარცა მხევალი უფლისა მარადის განმზადებული ქმნად ნებისა მისისა ხმობდა: ალილუია.

იკოსი: ბ.

ცნობამან უცნობელისა ანგელოსისა, სიტყვათამან, ცნობილმან შენდა ყოვლადწმიდაო, უფლისა მიერ წარმართა გზა შენი მთისა ათონისად, სადაცა იქადაგა შენ მიერ სახარება და ესრედ გამოჩნდა წილხდომილი შენი; ხოლო ჩვენ სიხარულით ვხმობთ:

გიხაროდენ, მოსვლითა შენითა ათონისა განმწმედელო;

გიხაროდენ, მუნებრთა კერპთა დამამსობელო;

გიხაროდენ, ჭეშმარიტისა სარწმუნოებისა აქა დამნერგველო;

გიხაროდენ, ურწმუნოებისა განმღვენელო;

გიხაროდენ, წილად შენდა მთისა ამის აღმრჩეველო;

გიხაროდენ, ადგილისა ამისთვის კეთილთა აღმთქმელო;

გიხაროდენ, მორწმუნეთა მყოფთა მას შინა ქვეყნიერთა კეთილთა მიმნიჭებელო;

გიხაროდენ, საუკუნო ცხოვრებისა მათისა თავს-მდებელო;

გიხაროდენ, წილხდომილისა შენისა მკვიდრთა მხურვალეო შუამდგომელო;

გიხაროდენ, ყოველთა მტერთა მათთა საშიშარო;

გიხაროდენ, რომელმან მოწყალება ძისა შენისა ვიდრე აღსასრულადმდე საუკუნეთა ადგილსა ამას აღუთქუ;

გიხაროდენ, რომელმან მადლისა მისისა განუშორებელად აქა ყოფა წინასწარმეტყველე;

გიხაროდენ, სახიერო მეკარეო, სამოთხისა ბჭეთა მორწმუნეთად განმღებელო.



სამთავროს ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მირონმდინარე ხატი. დაწერილია 1912 წელს ათონზე, ქართველ ბერმონაზონთა მიერ:

„განგებთა სამ-მნათობიერისა ღვთისა, და წამისყოფითა ყოვლადწმიდისა ღვთისმშობელისათა მე უნდომან მონამან მისმან, მღვდელმონაზონმან ილია, ივერიის მონასტრის ძმათა-განმა, შენდობითა სულიერისა მამისა ჩემისა, სქემონაზონი მაკარისა, დავახატინე წმიდა ესე ხატი სახელწოდებით სასწაულთმოქმედი, დედა ღვთისა ივერიის კარისა, და შევწირე მცხეთის სამთავრო ფერისცვალების დედათა მონასტერსა, ვითარცა მფარველად მიურულებელად, სარწმუნოებითა და შიშითა ღვთისათა მკვიდრთა მას შინა. ვასრულებ ჩემი წრფელი გულით დაპირებულსა, სულიერისა ძმისა მღვდელმონაზონისა პავლე ჯაფარიძისა, რომელმან მაიძულა ამის სრულყოფად. ყოვლადწმიდაო ღვთისმშობელო, მწე და მფარველ გვეყავნ, ამინ. ათონის მთა, წმიდა ივერიის ქართველთა მონასტერი. 1912 წშიბ წელსა.“

კონდაკი: გ

ძალი მადლისა, საფარველითა ღვთისა დედისათა აგრილობს მთასა წმიდასა, რამეთუ უვალნი ღვლენი და უდაბურნი მისნი, ვითარცა ვრცელი ქვეყანა გამოუჩინა ყოველთა მნებებელთა ცხოვრებისათა მონაზონებრივთა ღვაწლთა მიერ და მგალობელთა ესრეთ: აღილუია.



ათონელი მამები: წმიდა იოანე, წმიდა ექვთიმე, წმიდა გიორგი და წმიდა გაბრიელი

იკოსი: გ

მქონებელი ზრუნვისა წილხდომილისათვის თვისისა შვილთა ივერიის მიწისათა, განუმზადებს ათონს შინა, სადაცა თვით ინება მოსვლა, საყოფელსა ტომსა მათსა მეძიებელთა ცხოვრებისათა მეუდროსა შინა ნავთსაყუდელსა, მნებებელი მინიჭებად მისდა ფარად და მცველად ხატისა მისისა, რათა ყოველნი უვალობდენ:

გიხაროდენ, მომავლინებელი ქვეყანასა ივერიისასა სახარებისა მქადაგებლისაო;

გიხაროდენ, ქვეყანისა მის კერპთა საცთურებისგან ნათლად ქრისტესად მომაქცეველი;

გიხაროდენ, დაუჭნობელი ვენახისა რქაო, რომელმან მიანიჭე საკვირველი იგი ვაზი ნინოს;

გიხაროდენ რომელმან მის მიერ აღაორძინე ტევანი საკვირველებათა და მართლისა სარწმუნოებისა;

გიხაროდენ, სულიერო სამოთხეო, ათონს შინა დანერგული;

გიხაროდენ, წყაროო, რომლისაგან სულიერსა განათლებასა მხარესა ივერიელთასა უნაკადებ;

გიხაროდენ, ევთიმის ოქრომეტყველო პირო;

გიხაროდენ, თორნიკის უძლეველო გოდოლო;

გიხაროდენ, კეთილმსახურთა მეფეთა სიმტკიცეო;

გიხაროდენ, მონაზონთა მცველო;

გიხაროდენ, მეუდრო ლიბენაო, მეძიებელთათვის ცხოვრებისათაო;

გიხაროდენ, რომელი განუმზადებ მათ საუკუნესა განსვენებასა;

გიხაროდენ, სახიერო მეკარეო, სამოთხისა ბჭეთა მორწმუნეთად განმღებელი.

კონდაკი: დ

ღვთისა შინაგან მქონებელი გულის სიტყვათა იჭენეულთასა პატიოსანი ნიკეასა შინა ქვრივი შეშფოთნა, ხედვიდა რა ღაბავრითა მხედრისა ხატომბრძოლისათა, განგმერილსა წმიდასა და პატიოსანსა ხატსა ღვთისა დედისასა და მყის თანადვე გარდმომატევებელსა თვისგან სისხლისა-

სა; ხოლო შეპყრობილმან შიშისაგან, რათა არა შეგინებულ იქნეს წმიდა ხატი, ცრემლფრქვეულითა ვედრებითა შთააგდო იგი ზღვად, გარნა იხილა რა იგი აღმართული და ზედა წყალთა მავალი, მიმართებული დასავლეთად, სიხარულით ხმა ჰყო: აღილუია.

იკოსი: დ

ესმა რა მონაზონთა წმიდისა მთისათა გამოჩინება ზღვითგამო, ვითარცა აღისა სვეტისა ცეცხლისასა, რომლისა თავი მიწდომილ იყო ცად და ბრწყინვიდა ვითარცა მზე, მისწრაფეს ზღვის კიდედ და იხილეს რა წმიდა ხატი ღვთისა დედისა ზღვასა ზედა მიმომსვლელი ძალითა ზეგარდამოდთა; ღაღადყვეს კურთხეული-სად:

გიხაროდენ, მაყვალო სჯულისმომცემელისა მიერ წინეთ ხილულო;

გიხაროდენ, სვეტო ცეცხლისაო, წინამძღვარო ბნელსაშინა მყოფთაო;

გიხაროდენ, კიბუო ცად აღწევნილო, რომლისა მიერ გარდამოხდა ღმერთი;

გიხაროდენ, ხილო წიად-მყვანებელო ქვეყანისათა ცად მიმართ;

გიხაროდენ, ცისკარო საიდუმლოსა დღისაო;

გიხაროდენ, ვარსკვლავო მზისა აღმოდებადებისაო;

გიხაროდენ, მშობელო, ნათლისა გამოუთქმელისაო;

გიხაროდენ, თუ ვითარ არა ვისა მსწავლელო;

გიხაროდენ, მზითმოსილო, მადლითა და დიდებითა ყოვლისა სოფლისა განმაბრწყინვებელო;

გიხაროდენ, ეღვაო სულთა განმანათლებელო, და მორწმუნეთა გონებისა განმაცისკროვნებელო;

გიხაროდენ, ნათლითა სიბნელისა განმდევნებელო;

გიხაროდენ, რამეთუ მრავალ ნათელსა აღმოაბრწყინებებ განათლებასა;

გიხაროდენ, სახიერო მეკარეო, სამოთხისა ბჭეთა მორწმუნეთად განმდებელო.

კონდაკი: ე.

ღვთივმავალისა ხატისა თვისისა გენება რა მონიჭება ივერიის სავანისად, არქვი, ღვთისმშობელო, ღირსსა გაბრიელს: წარვედ კრებულისათანა მონაზონთასა ზღვის კიდედ, შევედ უფსკრულად და მიიქვ ხატი ჩემი; ხოლო მან სარწმუნოებით და სიყვარულით ფრთოვანქმნილმან იწყო სღვად წყალთა ზედა, ვითარცა ხმელად, და მიიქვა იგი წიადთა თვისთა, და მიწვთა რა სხვათაგან მიუწომელსა საუნჯესა, დიდებად მონაზონთა ნათესავისა თვისისა ივერიელთასა სიხარულით გალობდა: აღილუია.

იკოსი: ე

იხილეს რა მონაზონთა ივერიელთა ხატი ღვთისა დედისა, მრავალგზის ტაძრისაგან ზემო ბჭეთა მონასტრისათა ზღუდესა ზედა ქალაქისასა ძალითა უხილავითა განსრული, განცვიფრდეს და დასდგეს რა წინაშე მისსა, იტყოდეს ესრეთ:

გიხაროდენ, რომელმან მოგვივლინე ჩვენ წმიდა ხატი შენი;

გიხაროდენ, რომელმან მფარველობა მისა მიერ აღგვითქუ;

გიხაროდენ, რომელმან სიყვარული თვისი ჩვენისა სავანისად გამოაჩინე;

გიხაროდენ, რომელმან კეთილი განგება მისთვის გვიჩვენე;

გიხაროდენ, შემწეო ჩვენისა უცხოებისაო;

გიხაროდენ, მწირობისა ჩვენისა ნუგეშო;

გიხაროდენ, ღვთისა ჩვენდა მომართ ნებაო;

გიხაროდენ, ღვთისა მიმართ ჩვენო კადნიერებაო;

გიხაროდენ, ცრემლთა ჩვენთა დამშრეტელო;

გიხაროდენ, ჩვენ ობოლთა მფარველო;

გიხაროდენ, მცველო ჩვენო;

გიხაროდენ, მხოლოო სიხარულო ჩვენო;

გიხაროდენ, სახიერო მეკარეო, სამოთხისა ბჭეთა მორწმუნეთად განმღებელო.

კონდაკი: ვ

მქადაგებელყავ რა ნებისა შენისა გაბრიელ, არქუ მას, დედოფალო: არა მოვედ, რათა ცვულ ვიქმნე თქვენ-მიერ, არამედ რათა მცველ-გექმნეთ თქვენ, არა მხოლოდ ამას, არამედ მომავალსაცა შინა საუკუნესა; და აჰა, მოგცემთ თქვენ სასწაულად, ვიდრემდის ხედვიდეთ ხატსა ჩემსა მონასტერსა შინა, არა მოგაკლდეს თქვენ მადლი და წყალობანი ძისა ჩემისანი, რათა უღადადებდნენ მას ყოველნი: აღიღუია.



მცხეთის სამთავროს წმიდა ნინოს წმიდა ნაწილებიანი ხატი.

შემოწირულია XIX ს-ის მეორე ნახევარში იოანე გიორგის ძე ბაგრატიონის მიერ: „მე მეფის გიორგ XIII შვილის შვილის შვილმან იოანე გიორგის ძემ დედით და დებითურთ შემოჰკვსწირე წმ(იდა) ხატი ესე სამთავროს დედათ მონასტერს; ჩუენის სულის განსასვენებლად. ჩყო წელსა ს. პეტერბურლი.“

იკოსი: ვ

გამოუბრწყინდათ სიხარული დიდი მსმეულთა შენისა აღთქმისათა, ღვთისა დედაო,

და შენ ზეცისა მეკარესა ბჭეთა ზედა სავანისათა სიხარულით აღვიმართეს მონაზონთა ტაძარი, მგალობელთა ესრეთ:

გიხაროდენ, მფარველო ჩვენო, საუკუნესა ამას შინა;

გიხაროდენ, შუამდგომელო ჩვენო მომავალსაცა შინა;

გიხაროდენ, რომელმან გვასწავე შიში ღვთისა;

გიხაროდენ, რომელი გზასა კეთილსა წარგვიძღუ;

გიხაროდენ, კადნიერებაო და იმედო ჩვენო;

გიხაროდენ, სასოებაო და საფარველო ჩვენო;

გიხაროდენ, რომელმან მოსდრიკე კეთილნაწლეობა ძისა შენისა ჩვენდამო;

გიხაროდენ, რომელმან მადლისა მისისა ჩვენთანა გება მოუკლებლად აღგვითქუ;

გიხაროდენ, რომელმან წმიდა ხატი შენი წინდად მოწყალებათა მოგვეც;

გიხაროდენ, რომელმან ნიჭნი სასწაულთანი მიანიჭე მას;

გიხაროდენ, ყოველთა ბოროტთა ამა სავანისაგან განმდევნელო;

გიხაროდენ, ყოველთა კეთილთათვის შესავლისა განმხმელო;

გიხაროდენ, სახიერო მეკარეო, სამოთხისა ბჭეთა მორწმუნეთად განმღებელო.

კონდაკი: ზ

ენება რა ბოროტმოქმედსა ამირას ივერიისა სავანისა დაქცევა და მუნ შეკრებილისა მონაზონთა არვისა განბნევა, მსწრაფლ სცნა მან ძლიერი მფარველობა სავანისად ღვთისა დედისა, რამეთუ იხილნა ნაენი თვისნი დანთქმულნი ზღვასა შინა და მხედარნი მომწყდარნი, ამისთვის სიმდაბლით მოიქცა იგი და მიმძღვნელი სავანისად ვეცხლისა და ოქროსა, ითხოვდა მეოხებასა; ხოლო მონაზონთა იხილეს რა ესე, დაღაძჳყვეს ღვთისა მიმართ: აღიღუია.

იკოსი: ზ

ახალნი და ურიცხვნი საკვირველებანი აჩვენე, ღვთისა დედაო, სავანესა ამას,

რამეთუ ნაკლულევანებას ღვინისა, იფქლისა და ზეთისა სავსე ჰყოფ. ეშმაკეულთა ჰკურნებ, მკელობელთა ავლინებ, ბრმათა მიანიჭებ მხედველობასა, და ყოველთა ვნებათა განსდევნი, რათა მხილველნი ესე ვითართა საკვირველებათანი გიგალობდნენ შენ:

გიხაროდენ, ზესთამბროლო მხედართმძღვანო, მძღველო მტერთაო;

გიხაროდენ, მსწრაფლ შემწეო, შენდა მოღტოლვილთაო;

გიხაროდენ, რომელი არა გარე მიაქცევ ვედრებათა ჩვენთა;

გიხაროდენ, რომელი უტყუელ ხარ აღთქმათა შინა თვისთა;

გიხაროდენ, რომელი მწუხარებათა ამა სავანისათა მხიარულებად შესცვლი;

გიხაროდენ, რომელი ნაკლულევანებათა სავანისათა აღავსებ;

გიხაროდენ, ბრმათა ხედვისა მიმნიჭებელო;

გიხაროდენ, საპყართა მავლინებელო;

გიხაროდენ, ყოველთა უძღურთა მკურნალო;

გიხაროდენ, ყოველთა მწუხარეთა ნუგეშინისმცემელო;

გიხაროდენ, რომელი დაუცხრომელად გვიღვწი და გვაცხონებ ჩვენ;

გიხაროდენ, რომელი ესეოდენტა ვნებათაგან გვიხსნი;

გიხაროდენ, სახიერო მეკარეო, სამოთხისა ბჭეთა მორწმუნეთად განმღებელო.

კონდაკი: 8

უცხო მფარველობა ივერიის სავანისად ღვთისა დედისა ხატისა მიერ, ესმა რა პატრიარქსა ნიკონს, სურვიელ იქმნა, რათა მადლისა მისისა ზიარება მოუგოს მხარესაცა რუსეთისასა, ამისთვის აღაგო რა სავანე პატივად დიდებულისა მის ხატისა, კრძალულებით გამოითხოვა მსგავსება საკვირველთმოქმედისა ღვთისა დედისა სახისა, რათა მფარველობითა მისითა დაცულნი უღაღადებდნენ ღმერთსა: აღილუია.

იკოსი: 8

ყოვლადმყოფმან მაღალთა შინა და ქვენათაგან არა განშორებულმან, შენ, ღვთისა დედაო, ვითარცა ძველოდესმე ანტონის მიენიჭა კურთხევა მითთ, ათონით, დამყარებისათვის პეჩერის სავანისა, ინებე მინიჭებად ახლისადმიცა სავანისა მხარესა შინა რუსეთისასა მადლი თვისი, ვინა აკურთხე შენ ათონი ხატითა პატიოსნისა სახისა შენისათა, რომლისათვისცა ვხმობთ შენდამი:

გიხაროდენ, რუსეთის მხარისა საფარველო უვრცელესო ღრუბელთაო;

გიხაროდენ, მართლმადიდებელისა სარწმუნოებისა მის შორის მცველო და დამამტკიცებელო;

გიხაროდენ, მართლმადიდებელისა ეკლესიისა შეურყეველო გოდოლო;

გიხაროდენ, წვალებათა და განხეტქილებათა აღვირმსხმელო;

გიხაროდენ, ბრწყინვალეთა შარავანდთა მიერ საკვირველთა მოქმედთა ხატთა სოფლისა განმანათლებელო;



ხარება.

გიხაროდენ, ნიჭთა კურნებათა და მოწყალებათა მათგან მადინებელო;

გიხაროდენ, ჩვენთა მეფეთა სკიპტრისა განმამტკიცებელო;

გიხაროდენ, მტერთა საშიშო;

გიხაროდენ, მღვდელთმთავართა სიხარულთა;

გიხაროდენ, მღვდელთა სიქადულთა;

გიხაროდენ, მონაზონთა მოძღვართა;

გიხაროდენ, ყოვლისა ნათესავისა ჩვენისა ხსნაო;

გიხაროდენ, სახიერო მეკარეო, სამოთხისა ბჭეთა მორწმუნეთად განმღებელო.

კონდაკი: თ

ყოვლისა კრძალულებისა მექონი გამოწერისათვის პატიოსნისა ხატისა, მოწყალისა მის მეკარისა, კრებული მმარხველთა ივერიელთა სავედრებელთა გალობათა შესწირავს; საკვირველისა ხატისა ნაბანითა განსწმენდს ფიცარსა განმზადებულსა, გადმოსახატველად მასზედა პატიოსნისა სახისასა, და ღირსსა იამბლიქოსს აკურთხევს, რათა ერთად ყოვლითა ძმითურთ იღვაწოს მარხვითა, ლოცვითა და მღვიძარებითა გამოხატვად წმიდისა წყლისა მიერ განზავებულითა სამხატვროდთა და ნაწილთა მიერ კურთხეული პატიოსანი სახე ღვთისა დედისა, მარადის მვედრებელი და მღაღადებელი ღირსად: აღიღუია.

იკოსი: თ

რიტორთა მრავალხმათა, ვითარცა თევზთა უხმოთა ვხედავთ შენდამი ღვთისმშობელო, რამეთუ უგულისხმობენ, თუ ვითარ ღირსად შეუძლონ ქებად ყოვლისა საკვირველებისა შენისა, რომელიცა აჩვენე ნათესავსა ჩვენსა წმიდისა მიერ ხატისა



ნიში ივირონის მახლობლად – ადგილი, სადაც პირველ საუკუნეში ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა შედგა ფეხი ათონის წმიდა მთაზე; მოგვიანებით (X ს.), ამავე ადგილზე გამობრძანდა ზღვიდან ივერიის ღვთისმშობლის ხატი, წმიდა გაბრიელ ათონელი ბერის მიერ.

შენისა, რამეთუ ჯეროდენ მგზავრ მომავალმან რუსეთად საკვირველმოქმედებით უბრძანე კეთილმორწმუნესა მანუილს, მიცემად სახსრისა ურწმუნოთად, რომელნიცა აბრკოლებდნენ მგზავრობასა რუსეთად წმიდისა მის ხატისასა და რაღცა შემდგომად მიუზღევ მას ორწილად, ხოლო ჩვენ განკვირვებულნი სარწმუნოებით გიღაღადებთ შენ:

გიხაროდენ, წყაროო დაუწყვედელო, საკვირველო;

გიხაროდენ, ყოვლისა მოწყალებისა მომცემელო;

გიხაროდენ, მარადის მხურვალეო შუამდგომელო ჩვენო ღვთისა მიმართ;

გიხაროდენ, განგებულებისა მისისა ჩვენთვის საუნჯეო;

გიხაროდენ, ჭირვეულთა შესავედრებელო;

გიხაროდენ, მწუხარეთა ნუგეშინისმცემელო;

გიხაროდენ, სნეულთა მკურნალო;

გიხაროდენ, უძლურთა განმამტკიცებელო;

გიხაროდენ, ქვრივთა მფარველო;

გიხაროდენ, ობოლთა შემწყალებელო დედაო;

გიხაროდენ, შეცდომილთა ჭეშმარიტისა გზისად მომაქცეველო;

გიხაროდენ, ცოდვილთა სინანულად აღმოწოდებელო;

გიხაროდენ, სახიერო მეკარეო, სამოთხისა ბჭეთა მორწმუნეთად განმღებელო.

კონდაკი: ი

მრავალთა ერთა ჭირთა და მწუხარებათაგან ცხოვნებად მნებებელი, აღმოუდინებ, ღვთისა დედაო, დაუწყვედელსა წყაროსა მოწყალებისა ხატისაგან შენისა ნათესავსა ჩვენსა, რომლითა სამეუფოსაცა

ქალაქსა შინა მცხეთას, სახიერო მეკარეო, ყოველთა თაყვანისმცემელთა შენთა მსწრაფლსა შეწვენასა ცხადად მიანიჭებ, ხოლო შორის ახლისაცა სავანისა ივერიელთასა ნაკადულთა მადლთასა ხატისაგან შენისა განჰყენ, და სხვათაცა ქალაქთა, სავანეთა და ყოველთა პატივისმცემელთა შენთა, კეთილთა თხოვათა აღუსრულებ, რომლისათვის ჩვენ მადიდებელნი ღვთისანი, რომელმანცა მოგვანიჭა ესე ვითარი მადლი, უდალადებთ მას: ალილუია.

იკოსი: ი

ზღუდე ხარ მონაზონთა წესისა, ღვთისმშობელო და ყოველთა შენდა მოლტოლვილთა, რამეთუ ზეცისა და ქვეყანისა დამბადებელი დაემკვიდრა ქალწულებრივსა შინა მუცელსა შენსა, და ასწავა ყოველთა სიწმიდისა და ქალწულებისა მოსურნეთა ხმობად შენდამი:

გიხაროდენ, ქალწულებისა აღრჩეულო ჭურჭელო;

გიხაროდენ, უწმიდესო უმანკოებისა სახეო;

გიხაროდენ, სასძლოო უთესლოსა სძლობისაო;

გიხაროდენ, სძალო უსძლოო;

გიხაროდენ, დამთესველისა უბიწოებისა მშობელო;

გიხაროდენ, მორწმუნეთა ღვთისად შემაერთებელო;

გიხაროდენ, დელვასა შინა განსაცდელთასა მსწრაფლშემწეო;

გიხაროდენ, მტერთა სივერაგისა უკუნმქცეო;

გიხაროდენ, ნისლისა სულთა მავნებელთა ვნებათასა განმდევნელო;

გიხაროდენ, გულის ზრახვათა განმწმენდელო;

გიხაროდენ, მიწიერთა სიტკბოებათა მოძაგებად მასწავლელო;

გიხაროდენ, ზეცად მიმართ გონებათა და გულისა აღმაწოდებელო;

გიხაროდენ, სახიერო მეკარეო, სამოთხისა ბჭეთა მორწმუნეთად განმდებელო.

კონდაკი: ია

გალობა ყოველი იძლევის თანაგანვრცომად მოსწრაფე სიმრავლესა ფრიად მოწყალებათა შენთასა, რამეთუ უკეთუ შევწიროთ შენდა, დედოფალო ჩვენო ღვთისმშობელო, ქვიშათაებრიცა რიცხვი გალობათა ვერასადა სრულგჰყოფთ ღირსსა მისსა, რომელთაცა მოგვანიჭებ ჩვენ მდალადებელთა: ალილუია.

იკოსი: ია

ნათლისა მტვირთველად ლამპრად მყოფთათვის ბნელსა შინა ჭირთასა გამოჩინებულად ვხედავთ წმიდასა ხატსა ღვთისა დედისასა, რამეთუ უნივთოსა ცეცხლისა მადლისასა მიმდებელი, სხივთა მიერ საკვირველებათა ყოველთა განანათლებს და ასწავებს ხმობად კურთხეულისად ესრეთ:

გიხაროდენ, ყოველთა ჭირთა შინა მსწრაფლშემწეო;

გიხაროდენ, მწუხარებათა შინა მსწრაფლმსმენელო;

გიხაროდენ, ცეცხლისა, მახვილისა და ზედა დასხმისაგან უცხო თესლისა მხსნელო ჩვენო;

გიხაროდენ, სიყმილისა და უცნაურისა სიკვდილისაგან განმათავისუფლებელო;

გიხაროდენ, წყლულებათა და ყოვლად დამნთქმელისა სიკვდილისაგან მცველო;

გიხაროდენ, ხმელად და წყლითმავალთა ჭირვეულთათვის მსწრაფლშემწეო;

გიხაროდენ, ხორციელთა და სულიერთა წყლულებათა მკურნალო;

გიხაროდენ, მკურნალთა მიერ დატევებულთა ხელთა თვისთა ზედა შემწყნარებელო;

გიხაროდენ, ყოველთა მწუხარეთა და ტვირთმძიმეთა მოწყალებით ნუგეშინისმცემელო;

გიხაროდენ, რომელი არა გარე მიაქცევ ყოველთა მოძაგებულთა და განგდებულთა;

გიხაროდენ, რომელი აღმოიტაცებ მთხრებლისაგან წარწყმედისა სრულიად სასოწარკვეთილთაცა;

გიხაროდენ, რომელი შიშველსა კეთილ-
თა საქმეთაგან არა მაკლებ საფარველსა
და შეწვენასა შენსა;

გიხაროდენ, სახიერო მეკარეო, სამოთ-
ხისა ბჭეთა მორწმუნეთად განმდებელო.

კონდაკი: იბ

მადლისა მიცემისა მნებებელი, ყოველ-
თა კაცთა შეცოდებათა პირველთა, ვალ-
ისა დამსხნელი, მოვიდა მადლისა მისისა
განშორებულთა მიმართ და განხეთქა რა
ხელით წერილი, მოგვანიჭა ჩვენ ძლიერი
ღვთიფიმიადლებული შუამდგომელობა, რა-
თა უღაღადებდეთ ყოველნი ოხითა მისი-
თა: ალილუია.

იკოსი: იბ

მგალობელნი შენისა შუამდგომელო-
ბისანი, რომელთაცა გვაჩვენებ ჩვენ ცხოვ-
რებასა ამას შინა, შეგამკობთ შენ ღვთის
მშობელო, ვითარცა დაულევენელსა წყა-
როსა მოწყალებათასა, ხოლო შეგივრდებ-
ით რა შენ, წინაშე საკვირველთმოქმედისა
ხატისა შენისა, სიმდაბლით გვევდრებით:
გვეყავ ჩვენ მფარველ და მცველ დღესა-
ცა აღსასრულისა ჩვენისასა, რაჟამს გვე-
გულებოდეს წარდგომად სასჯელისა წი-
ნაშე საშინელისა საყდრისა ძისა შენისა,
რათა გიგალობდეთ შენ:

გიხაროდენ, რომელი დიდებით თანამ-
ჯდომარე ხარ საყდარსა ძისა შენისასა
და მუნ მოგვისხენებ;

გიხაროდენ, რომელი ძისა შენისათანა
და ღვთისა სამარადისოდ სუფევ და შუამ-
დგომელ ხარ;

გიხაროდენ, რომელი მსასოებელთა შენ-
დამი ურცხვენელსა აღსასრულსა ცხო-
ვრებისასა მიანიჭებ;

გიხაროდენ, რომელი უჭირველსა და
მშვიდობითსა აღსასრულსა ჩვენთვის
განაგებ;

გიხაროდენ რომელი მწარეთა მეზვე-
რეთაგან გვისხნი;

გიხაროდენ, რომელი უფლებისაგან
მთავრისა მის მტერისათა განგვათავისუფ-
ლებ;

გიხაროდენ, რომელი ცოდვათა ჩვენთა
არა მოიხსენებ;

გიხაროდენ, რომელი შემდგომად ღვთი-
სა ხარ ჩვენდა ნეტარისა ცხოვრებისა სა-
სოება;

გიხაროდენ, რომელი მსასოებელთა შენ-
დამო, მარჯვენით ძისა შენისა დგომასა
მოუპოვნებ;

გიხაროდენ, რომელი ნეტარისა მის ხმი-
სა სასუფეველისა ცათასა მკვიდრობად
აღმთქმელსა სმენასა ღირსგვეყოფ;

გიხაროდენ, დედაო სახიერო, რომელი
ყოველთა პატივისმცემელთა შენთა, შენ-
თანა დაამკვიდრებ;

გიხაროდენ, ძლიერო სასოებაო, ყოველ-
თა ქრისტიანეთა საუკუნოფსა ცხოვრები-
საო;

გიხაროდენ, სახიერო მეკარეო, სამოთ-
ხისა ბჭეთა მორწმუნეთად განმდებელო.

კონდაკი: იგ

ჰოი, ყოვლად საგალობელო დედაო,
ყოვლადწმიდაო დედოფალო, ქალწულო
ღვთისმშობელო, გარდამოიხილე ჩვენზე-
და შემწირველთა სიმდაბლით და ცრემ-
ლით მცირეთა ამათ ვედრებათა წინაშე
ყოვლადწმიდისა ხატისა შენისა და დამ-
დებელნი შენზედა ყოვლისა სასოებისანი
და იმედისანი, გამოგვისხნენ ჩვენ ყოვლი-
საგან ჭირისა და ზედამოსვლისაგან, აწინ-
დელსა ცხოვრებასა შინა და მერმისაგან
სატანჯველისა გვისხენ, რათა ცხოვნებ-
ულნი შენ მიერ მარადის ვღაღადებდეთ:
ალილუია.

(ეს კონდაკი იოქმის გ-გზის).

და კვალად იოქმის იკოსი: ა

ანგელოზი წინამდგომი ზეცით მოივ-
ლინა პრქმად ღვთისმშობელისად, რაჟამს
გამოუხდა მას წილი მოციქულებისა მსახ-
ურებისა, ადგილთა ივერისათა, ნუ განე-
შორები იერუსალიმით, რამეთუ წილხლო-
მილი შენი განნათლდეს მომავალთა ჟამთა,
ხოლო შენ იღვწიდი მუნ, სადაცა ინების
ღმერთმან, ამისთვის გიგალობთ:

გიხაროდენ, რომლისა მიერ სახარება ეხარების;

გიხაროდენ, რომლისა მიერ კერპთა საცდური გაუქმდების;

გიხაროდენ, რომლისა მიერ ძლიერება ბნელისა მთავრისა დაირღვევის;

გიხაროდენ, რომლისა მიერ მეუფება ქრისტესი დამტკიცდების;

გიხაროდენ, ბნელსა კერპთმსახურებისასა შთავრდომილთა სახარებისა ნათლისადმი აღმოწოდებაო;

გიხაროდენ, მონებისაგან ეშმაკისა აზნაურებად დიდებასა ძეთა ღვთისათა მომყვანებელი;

გიხაროდენ, მარადის განმზადებულ მსახურო ძისა და ღვთისა შენისაო;

გიხაროდენ, მორჩილებითა შენითა ევას ურჩებისა დამხსნელი;

გიხაროდენ, სიმაღლეო ქველისმოქმედებათაო;

გიხაროდენ, სიღრმეო გონიერისა სიმაღლისაო;

გიხაროდენ, რომლისა მიერ ურწმუნონი სცნობენ შემოქმედსა;

გიხაროდენ, რომლისა მიერ მორწმუნენი შვილ ღვთისა იქმნებიან;

გიხაროდენ, სახიერო მეკარეო, სამოთხისა ბჭეთა მორწმუნეთად განმღებელი.

კონდაკი: ა


ხესთამბრძოლისა დედოფლისა ჩვენისა ღვთისმშობელისა ქებისა გალობასა შევსწირავთ შენდა მომართ მონანი შენნი, რამეთუ მოსვლითა პატიოსნისა ხატისა შენისათა მოგიგებთ შენ ფარად სიმტკიცისად, ზღუდედ უბრძოლველად და მცველად მიურულებულად, არამედ, ვითარცა გაქვს ძლიერება უბრძოლველი დაგვიცვე და დაგვიფარე ჩვენ, დედოფალო, ყოველთა ხილულთა და უხილავთა მტერთაგან და გვიხსენ ჩვენ ყოველთაგან სულიერთა და ხორციელთა ვნებათაგან, რათა გიგალობ-

დეთ შენ: გიხაროდენ, სახიერო მეკარეო, სამოთხისა ბჭეთა მორწმუნეთად განმღებელი.

ვედრება ყოვლადწმიდისა ღვთისმშობელისადმი

ჰოი, ყოვლადწმიდაო ქალწულო, დედაო ღვთისაო, დედოფალო ცათა და ქვეყანისაო! შეისმინე მრავალსაღმობიერი სულთქმა სულისა ჩვენისა, გარდამოიხილე მაღლით წმიდით შენით ჩვენზედა, რომელნი სარწმუნოებით და სიყვარულით თაყვანს ვსცემთ ყოვლადწმიდასა ხატსა შენსა, რამეთუ აჰა, ესერა ცოდვათა შინა დანთქმულნი და მწუხარებათა მიერ დელვაგვემულნი, მიხვებავთ რა ხატსა შენსა, ვითარცა შენ ცხოველსა ჩვენთანა მყოფსა შეგწირავთ მდაბალთა ვედრებათა ჩვენთა, რამეთუ არა გვივის არცა შემწე, არცა შუამდგომელი და არცა ნუგეშინისმცემელი გარეშე შენსა. ჰოი, დედაო, ყოველთა მწუხარეთა და ტვირთმძიმეთაო, შეგვეწიე ჩვენ უძლურთა, განაქარვენ მწუხარება ჩვენი, წარგვიძღვე გზასა სიმართლისასა, ჩვენ, შეცდომილთა ამათ; განგვეკურნე და გვაცხოვნე უსასონი, მოგვანიჭე ჩვენ შემდგომნი ჟამნი ცხოვრებისა ჩვენისანი, მშვიდობით და სიმშვიდით აღსრულებად; მოგვეცქრისტიანებრი აღსასრული და საშინელსა სამსჯავროსა ძისა შენისასა გვექმენ მოწყალე მფარველი, რათა მარადის გიგალობდეთ, აღგამაღლებდეთ და გადიდებდეთ შენ, სახიერსა მაგას შუამდგომელსა ნათესავისა ქრისტიანეთასა, ყოველთათანა სათნოთა ღვთისათა. ამინ!

FSALMUNNI ~ DA MISI AVTORI



წინასწარმეტყველი მეფე დავითი

წმიდა მეფე დავით წინასწარმეტყველის წიგნი „ფსალმუნნი“, რომელსაც საქართველოში „დავითნსაც“ უწოდებდნენ, წმიდა სულის შთაგონებითაა დაწერილი. იგი ძველი აღთქმის ბიბლიურ წიგნებს ეკუთვნის და ავტორის სიცოცხლეშივე აღავლენდნენ საღმრთო მსახურებაში.

„ფსალმუნის“ სულის საკურნებელ საგალობლებს პირველი საუკუნეებიდანვე სასოებით აღავლენს ძველი და ახალი აღთქმის ეკლესია. იგი ღვთივსულიერი და მაღალმხატვრული ნაწარმოებია.

ფსალმუნის ღვთივსულიერებას მთელი რიგი წინასწარმეტყველური ფსალმუნებიც ამოწმებენ, რომელნიც ათასწლეულის შემდგომ პერიოდს შეეხებიან, სახელდობრ: მაცხოვრის, უფალ იესო ქრისტეს განკაცებას, მის მოღვაწეობასა და ჯვარცმას (ფსალმუნები: 2, 15, 21, 39, 44, 67, 88, 90, 96, 109, 117).

ფსალმუნი მუსიკალური საკრავი იყო, რომელზეც საგალობლები სრულდებოდა. საკრავის ეს სახეობა დღემდე არ შემორჩენილა. ფიქრობენ, რომ ის იყო ქნარის, ან ჩანგის მსგავსი თორმეტ სიმიანი ინსტრუმენტი. იოსებ ფლავიუსის თქმით, ფსალ-

მუნი იყო თორმეტ სიმიანი ქნარი და მასზე თითოებით უკრავდნენ. ნეტარი ერმონი მას დაბლა შებრუნებულ ბერძნულ ასო „Α“-ს ადარებს. ფსალმუნი და ჩანგი, იმ პერიოდში მიღებული მუსიკალური საკრავები იყო.

„დავითნი“ სრულად 150 ფსალმუნისაგან შედგება. მათში ღვთის დიდებაა აღვლენილი. ფსალმუნები ყოველი ქრისტიანული ღვთისმსახურების შემადგენელი ნაწილია. გარდა საერთო ღვთისმსახურებისა, ფსალმუნის კითხვას მიმართავენ პირად ღოცვებშიც, სხვადასხვა შემთხვევებისა, უკითხავენ ავადმყოფებს, განსაკუთრებით კი არაწმიდა სულებისაგან გვემულებს. ფსალმუნებს კითხულობენ, აგრეთვე, მწუხარებასა და სიხარულში, სხვადასხვა საჭიროებისას; ხოლო მიცვალებულებზე ფსალმუნების კითხვის წესი, მომდინარეობს ძველი აღთქმის ეკლესიიდან. ჭირისუფალი მიცვალებულს განუწყვეტლად უნდა უკითხავდეს ფსალმუნებს, ვიდრე ის სახლში ასვენია; ხოლო დასაფლავების შემდეგ – ორმოცი დღის განმავლობაში.

საქართველოში „ფსალმუნნი“ IV-V საუკუნეებში ითარგმნა, რომლის სრულყოფილი, ბერძნულ ტექსტთან დაახლოებული თარგმანი XI საუკუნის წმიდა მამას, დიდ საეკლესიო ქართველ მოღვაწე ბერს, წმიდა გიორგი მთაწმიდელს ეკუთვნის. „ფსალმუნნი“ ქართველი კაცის განუყოფელი სიწმიდე იყო, რომელსაც იგი გულით ატარებდა ყოველჟამს, ჭირსა და ღხინში; „დავითნი“ სულიერი იარაღი იყო ქართველი კაცისა, რომლის წინაშეც ხილული თუ უხილავი მტრის ურდოები იდრიკებოდნენ. წმიდა მეფე დავით აღმაშენებელს იგი მუდამ თან დაჰქონდა ბრძოლებში და შემდგომშიც მისით ძლიერობდა ქართული სამეფო. ქართველ გვირგვინოსანთა, ბაგრატიონთა, ტიტულებში ხაზგასმული იყო წმიდა მეფისა და წინასწარმეტყველის, დავით მეფსალმუნისაგან მათი წარმომავლობა და ამას სამეფო ტიტულსა და გერბში სიამაყით წამოაჩენდნენ (ბაგრატიონები იხსენიებოდნენ, როგორც – იესიან-დავითიანი და გერბზე დავითის ქნარი ჰქონდათ გამოსახული).

* * *

წმიდა დავითი ისრაელის მეფე იყო, ქრისტეს შობამდე 1055 წლიდან 1015 წლამდე. იგი ყმაწვილობიდანვე ღვთივსუ-



მეფე დავით მეფსალმუნე

ლიერებით გამოირჩეოდა და საგალობლებს ფსალმუნზე ასრულებდა.

წმიდა მეფე და წინასწარმეტყველი დავითი, ძე იესესი, ხორციელი წინაპარი იყო უფლისა ჩვენისა და მაცხოვარისა იესო ქრისტესი. დავითი ყმაწვილობაში მამის ცხვრის ფარას მწყემსავდა. იესეს უმცროსი ვაჟი ღრმა რწმენით გამოირჩეოდა და მოშურნეობით აღასრულებდა ღვთის ნებას. ფილისტიმელთა თავდასხმის დროს, მან ღვთის შეწევნით, სძლია გოლიათს, რამაც ისრაელის ერს გამარჯვება მოუტანა და იგი ხალხმა შეიყვარა, ხოლო მეფე საულმა კი მასში მოწინააღმდეგე დაინახა და მოიძულა. დავითმა საულისაგან მრავალი შეჭირვება დაითმინა და იგი მუდამ დიდსულოვნებას იჩენდა. დავითს ორგზის ჰქონდა საშუალება მეფე საულის მოკვლისა, მაგრამ ცხებულ მეფეზე ხელი არ აღმართა.

საულისა და მისი ძის გარდაცვალების შემდეგ, წმიდა წინასწარმეტყველი დავითი ისრაელის მეფედ გამოირჩიეს. მან ქვეყნის ახალი დედაქალაქი იერუსალიმში გადაიტანა და იქ ახალი კარავი აღმართა. წმიდა დავითს ტაძრის აგებაც სურდა, ამისთვის მრავალი იღვაწა და ტაძრის ასაგებად ყოველი განამზადა, მაგრამ თავად ვერ განახორციელა ეს საღვთო საქმე. არამედ მისი ოცნება მისმა ვაჟმა, სოლომონ ბრძენმა, განასრულა, როგორც მას უწინასწარმეტყველეს. მხნე მეფეს ცხოვრების მანძილზე მრავალი განსაცდელი ჩამოუდგა: მან ცოლად შეირთო ურიას ცოლი ბერსაბე, რომლის ქმარიც ომში სასიკვდილოდ გააგზავნა. სწორედ ამ ცოდვის განცდით დაწერა წმიდა მეფემ დიდი სინანულის კანონი –

50-ე ფსალმუნი. ფსალმუნთმგალობელი მეფე მორჩილად და რწმენით ეზიდებოდა მწუხარებას, რომელიც ჩადენილი ცოდვის საზღაურად მიეგო მას. მაგრამ დავითისთვის ყველაზე მტკივნეული, ტახტის მისაცაცებლად ამბოხებული შვილის, აბესალომის, სიკვდილი იყო. წინასწარმეტყველი მეფე ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა.

* * *

დავით წინასწარმეტყველი ერთხელ სასახლის მახლობლად, დარბაზში წერდა ფსალმუნებს. შორიანლო, ჭაობიდან, ბაყაყების გამაყრუებელი ყიყინი ისმოდა. მეფემ მსახურებს მათი დადუმება უბრძანა და თავად ბაღში გავიდა დასასვენებლად. უკანშემობრუნებულმა კი თავის ნაწერებზე მჯდომი ბაყაყი იხილა და შემცბარმა განდევნა; მაგრამ როდესაც წმიდა დავითმა მეორედ და მესამედაც ვერ მოაცილა საძაგელი არსება წმიდა ნაწერებს, განრისხებულმა მეფემ შესძახა: „აღმოგფხვრი, შენ, წყეულო ეშმაკო, რამეთუ ბოროტსა ჰყოფ!“ მაშინ ბაყაყმა ადამიანის ენით მიუგო: „მეფეო, მე ჩემებურად, როგორც შემძლია, ისე ვადიდებ უფალს და როგორც შენ მიშლი ხელს უფლის დიდებაში, მეც ისე შეგიშლი და არ მოგცემ საშუალებას, რომ ადიდო უფალიო.“

სწორედ ამის შემდეგ აღმოთქვა მეფემ: „ყოველი სული აქებდით უფალსაო“ და დაწერა 148-ე ფსალმუნი.



წმიდა დავით წინასწარმეტყველის სახელობის ეკლესია თბილისში

საინტერესოა წმიდა მამების გამონათქვამები „ფსალმუნის“ შესახებ, რომელთაგან ორს: წმიდა ბასილი დიდისა და ნეტარი ავგუსტინეს სიტყვას, ფსალმუნთა მნიშვნელობისათვის, ქვემოთ მოვიხმობთ:

ფსალმუნთა აღმოკითხვისა და ძალთა მისთა შეგნებისათვის თქმული დიდისა ბასილისი

არა რომელიმე ერთი სხუათა წიგნთა-განი ესრეთ აღიდებს ღმერთსა, ვითარ ფსალმუნთა წერილი, რამეთუ ფრიად მარგებელ არს სულისა და განმწმედელ გონებისა; შეაერთებს ზეცისა ძალთა და მათ თანა ერთხმობით აღამაღლებს დიდებულებასა ღვთისასა, და ხმითა ანგელოზებრივითა დაღადებს შეუენიერად, სწყევს ეშმაკთა ძლიერებითა საშინელითა და შეადრწუნებს მანქანებასა მათსა; ესე არს ძალი მეფეთა და დიდებად მთავართა, ესე სიმხნე მხედართა და დამცველი ერისაგანთა; ესე ვედრების ღმერთსა ვედრებითა ტკბილხმოვანითა და უადმატესობს ყოველთა წმიდათა წერილთა; ესე ფსალმუნად სახელდებული მსგავს არს სიდიადესა ზღვისასა – ვითარცა მას არა დააკინებს წარდინებანი წყაროთანი და არცა მოაკლდებიან შედინებანი, ეგრეთვე წერილსა ამას ფსალმუნთასა არა მოაკლდებიან გალობათა ხმატკბილობანი; რამეთუ **ფსალმუნი ესრეთ გამოითარგმანების: უფლისა მიმართ ცხორებად სულთა.** ხოლო სხუანიცა ღუაწლნი ფრიად მარგებელ არიან: მარხვაი, გინა მუხლთადრეკანი, არამედ – არა ეგრე, ვითარცა აღმოკითხვად ფსალმუნთა ამათ. უკუეთუ სთქუა, კაცო, რამეთუ ხორციელ ვარ და გუამისა უძღურებითა არა ძალმიძს აღმოკითხვად წერილისა, მიხედე ჰაერსა და განიცადე მზე და მთოვარე და ვარსკულაანი ცისანი, ვითარცა დღე და ღამე არა დასცხრებიან მიმოვალობასა თვისსა, და დაუშრომელად აღასრულებენ ბრძანებასა ზეგარდამოსა, რამეთუ იგი ეთერთა შექმნულობად არცა ჭამადთა მიმდებელ არს, და არცა მოელის განკითხვასა სასჯელისასა, არამედ განჩინებასა ღვთისასა მიმდებელ არს. ხოლო შენ, ძმაო, უკუეთუ ხორციელ ხარ, გუამი შენი იმოსების სამოსელითა ფეროვანითა, და გამოზრდისათვის მიმდებელხარ სანოვაგეთა მრავალგუართა, და განისუენებ წადილისაებრ შენისა, არამედ არა მიჰხედავ, რამეთუ არიან სხუანი, რომელნი შუადამესა ოდენ აღდგომილნი ევედრებიან და დაუცხრომელად თაყუანისსცემენ უფალსა, და იღუწიან ცხოვრებისათვის სულთა თვისთათვის, და

მადლობენ ყოველთა მომავალთა საქმეთა ზედა დამბადებელსა ცისა და ქუეყანისასა. კუალად გულისხმაყავ, რამეთუ მდინარეთა წყალთასა არა აქუნ საგრძნობელნი, არამედ მასცა ეშინის დამბადებელისათვისისაგან, რომელი დაუდგრომლითა წარმდინარებითა განრცხის მწიკულეუანებასა ცხოველთასა და მწყურნებჰყოფს სისხმელესა საწუთოდსასა. ხოლო შენ არა გულისხმაჰყოფ, რამეთუ ყოველი კაცთაგან შეუძლებელი, ღვთისა მიერ შესაძლებელ არს; რამეთუ მიიღე სარწმუნოებით და უფალი შემწე გეყოს შენ; რამეთუ დავით იტყვის: „დაუთმე უფალსა და დაიცევ გზად მისი, და უფალმან აღგამაღლოს შენ დამკვიდრებად ქუეყანისა“.

ნუ თავსიდებ ნუცა ერთსა დღესა დატევებასა ფსალმუნთასა. და თუმცა რომლითამე მიხეზითა დაუტეო, მუნვე აღნიშნე, და კუალად განთიად ნეშტი იგი აღასრულე; ნუცა დაგიშთებიან მცონარებისათვის, რამეთუ იტყვის თავი მოციქულთა პეტრე: „დღენი ცხოვრებისა ჩუენისანი ათას წელ, და ათას წელ, ვითარ ერთი დღე“; და არარად სარგებელ მას შინა, რამეთუ ყოველნი ჟამნი სოფელსა ამას შინა სრულიად დაუდგრომელ არიან, რამეთუ დღეს მზე და ნათელი, ხოლო ხუალე, წვიმად და ბნელი; აწ შეუებად და განცხრომად, ხოლო კუალად ვაებად და ჭმუნვად, რამეთუ ყოველივე უქმ და ამაო, თვინიერ მოღუაწებისაგან ვიდრე, რამეთუ თუმცა ღუაწლი მოიღუაწო ცხოვრებისათვის სულისა და აღასრულო თქუმული ესე და ასწაო მცნებანი ღვთისანი, მეყუსეულად აღგეხილოს თუალნი გონებისა შენისანი, და შეიგნო საკვირველებანი სახიერებისა ღვთისანი, თუ ვითარობენ, რამეთუ ჟამსა ერთსა კითხულიქმნა დიდი იოანე ოქროპირი ძმათა ვიეთგანმე – ვითარ კეთილ არს დატევება ფსალმუნთა აღმოკითხვისაო? ხოლო მან მიუგო: – **ფრიად უკეთილეს არს, რაითა დაშრტეს მზე ბრწყინვალეებისა თვისისაგან, ვიდრეღარა – ფსალმუნი აღმოკითხვისაგან. დიდ სარგებელ არიან სწავლანი ფსალმუნთანი, რამეთუ წერილნი ყოველნივე კეთილ არიან და განმდევნელ ეშმაკთა, არამედ არა ეგრე, ვითარცა ფსალმუნი.**

თქმული ნეტარისა აგუსტინესი

უწყოდეთ, რამეთუ გალობა ფსალმუნებისა შემამკობელ არს სულისა, და შემწედ მომწოდებელი ზეცისა ძალთა; განმწმედელ ცოდვისა და განმდევნელ ეშმაკთა სიბოროტისა; საბლარდნელ სიწმიდისა და სამოსელ სიხარულისა; აღმხოცველ ბიწისა, და მომნიჭებელ მოღუაწებისა; მათკებელ რისხვისა; მომატყუებელ სიყვარულისა; დამცველი მცნებისა; დამამტკიცებელ სჯუ-

სიმრავლესა; ესე დაამტკიცებს საფუძველსა სიყვარულისასა; ესე წინამძღუარ ექმნების შეცთომილთა და ღვლარჭნითმავალთა გზასა წრფელსა ასწავებს; ესე საიდუმლოთა განმარტებს და ყოველთა დაფარულთა წარმოაჩენს, რამეთუ სულსა ადიდებს, გულსა წმიდაჰყოფს, ცნობასა ახარებს, და გუამსა განაბრწყინებს; სუვეტსა მაღალსა ალაგებს და გონებასა მას




„დავითნი“

ღლისა; წარმდევნელ ბნელისა; შემმოსელი ბრწყინვალეებისა; კეთილისმყოფელ მოძულისა და არამომხსენებელ ბოროტთა მოქმედისა. ვითარცა მზე არს ნათელმყოფელი, ვითარცა წყალი მიწით განმწმედელი, ვითარცა ცეცხლი მქანდაკებელი, ვითარცა მიწა ნაყოფთგამომღებელი, ესე ღმერთსა ათვისებს და ეშმაკთა არცხუენს; ხორციელსა გულისთქუმასა დაუშრეტს და წყალსა მოწყალეებისასა აპკურებს; ესე არს ნაწილი ნეტარებისა და კერძო სიწმიდისა; ხე – ნაყოფიერებისა და მომცემელი სიტკბოებისა; ესე – ანგელოზთაგან გამორჩეული და წმიდათაგან გულისსათქუმელი; მრისხანებისა უჩინომყოფელი და ღმობიერებისა მომვაჭრებელი; ესე ბოროტთა სიფიცხლისა დამწყნარებელი და გულმაღლობათა დამამდაბლებელი; ქებაჲ ღვთისა დაუცხრომელი და დიდებაჲ უფლისა საამებელი; უტკბილესი თაფლისა და უგემოვნესი გოლეულისა; კეთილსასმენელ წინაშე ღვთისა, და ყურადსადებელ მაცხოვრისა; ესე აღხოცს ცოდვათა

ზედა აღამაღლებს; ბოროტსა დააკნინებს და კეთილსა აფრიადებს. რომელთა აქუნდეს გულისხმისყოფად კეთილი, სიყვარული ფსალმუნთა მიიღონ, რამეთუ ამის მიერ მოიპოვების შიში ღვთისაჲ, და არა დავარდების ვედრება მისი წინაშე ღვთისა, რამეთუ მხიარულმყოფელ არს უკანადასკნელსა მას დღესა. კუალად ესე გონებათა განმცხრომელი ფსალმუნი ევედრების ყოფილთათვის და ოხრავენ აწმყოფთათვის, ინანინ წარსულთათვის და განცხრების კეთილმოქმედთათვის, რამეთუ ამა ფსალმუნთა გულისხმიერად აღსრულება სძლევს ეშმაკთა ძლიერებასა, იხარებს კეთილთა საქმეთათვის და სიხარულსა ზეცისა სუფევისასა მოიხსენებენ, რამეთუ რიგზე მრავალთა ფსალმუნთა კითხვა ეძიებს სიმართლესა წინააღმდგომად ძალთა ეშმაკთასა, და ნათელსა ჭეშმარიტებისასა გამოაჩინებს. მოხუცებულთა ნუგეშინისცემა არს, ჭაბუკთა – სამკაული და გონება მოხუცებულებისა დასრულება არს. თვით ქრისტეს ღვთისა მიმართ შეწევნა და ნიჭი არს. რომელ ფსალმუნი ესე პირითა წინასწარმეტყუელებისათა განწესებულთა წარმართებითა და მოღუაწებითა მარადის სავედრებელად იღუწიდედ, რომლისა არს ქებაჲ, პატივი და დიდებაი, კურთხევა და ნათელი, სიბრძნე და მადლობა, ძალი და სიმტკიცე ერთბამად ღვთისა თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მოამზადა
მარიამ ნიაურმა

SVIDI MSOFLIO SAEKLESIO KREBA



ხატი „შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრება“

წმიდა მართლმადიდებელი ეკლესია, მოციქულთა აღსრულების შემდეგ, წმიდა წერილით და წმიდა გარდამოცემით ხელმძღვანელობს, რომელიც დაცულია წმიდა მამათა ნაწერებში და საეკლესიო კრების დადგენილებებში; საღმრთო გარდამოცემის მცველი და შემნახველი არის წმიდა ეკლესია. ამიტომ, პავლე მოციქული ამბობს: „ეკლესია არის სვეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისა“ (1 ტიმ. 3.).

მსოფლიო კრება არის ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის ამქვეყნიური (მებრძოლი ეკლესიის) უზენაესი მმართველობა, რომელიც სულიწმიდის წინამძღოლობით წარმართება, როგორც ეს ითქვა ქრისტეს მოციქულთა პირველი შეკრების დროს: „ჯერ უნდა სულსა წმიდასა და ჩვენცა“ (საქმ. მოც. 15,28). ეკლესიას, ვითარცა ქრისტეს სხეულს, კრებისითი აზრი აქვს და როგორც აღინიშნა, იგი სულიწმიდით წარიმართება და მსოფლიო კრების განჩინებებში ვრცელდება.

მსოფლიო კრება ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიის მწყემსმთავართა და სასულიერო წარმომადგენელთა მთელი მსოფლიოდან მოწვეულ კრებულს წარმოადგენს, რომელსაც იწვევდნენ განსაკუთრებულ შემთხვევაში, სადაც შეაჩვენებდნენ მწვალებლობებს და ქრისტიანული სჯულის ძირითად ჭეშმარიტებებს ამოწმებდნენ (ამტკიცებდნენ). მსოფლიო კრებები წმიდა გარდამოცემის საფუძველს წარმოადგენენ.

მართლმადიდებლური კატეხიზმოს სწავლებით, **წმიდა მართლმადიდებელი ეკლესია მსოფლიო საეკლესიო კრებად აღიარებს მხოლოდ შვიდ საეკლესიო კრებას**. რა თქმა უნდა, არსებობს კიდევ ადგილობრივი და მსოფლიო კრების ცოლფასად მიჩნეული კრებებიც, მაგრამ „მსოფლიო საეკლესიო კრების“ სახელით ვაღიარებთ მხოლოდ 7 საეკლესიო კრებას. ხოლო ე. წ. მერვე საეკლესიო კრება, ეკლესიის მოღვაწეთა მიერ მიჩნეულია „აპოკალიფსურ თავყრილობად“.

პირველი მსოფლიო კრება – მოიწვიეს ბითონის ქალაქ ნიკეაში 325 წ. (20 მაისი – 25 აგვისტო) იმპერატორ კონსტანტინე დიდის დროს. კრებას თავმჯდომარეობდა ანტიოქიის ეპისკოპოსი ევსტათი, მას (არყოფნის შემთხვევაში) ცვლიდა ალექსანდრიის ეპისკოპოსი ალექსანდრე. კრებას ესწრებოდა 381 მამა, მათ შორის წმიდა ნიკოლოზ სასწაულთმოქმედი, ნიზიბის ეპისკოპოსი იაკობი, ათანასე დიდი (მაშინ დიაკონი), იერუსალიმის ეპისკოპოსი მაკარი და სხვები (აღსანიშნავია, რომ ამ კრებას ესწრებოდა ეგრისიდან, ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილე). კრებამ დაგმო ალექსანდრიელი მღვდლის, არიოზის, ცრუმოდვრება, გამოსცა 20 კანონი, დაადგინა პასექის დღესასწაულის თარიღი, 19 ივნისის სხდომაზე მიღებული იქნა სარწმუნოების სიმბოლოს (მრწამსი) პირველი შვიდი მუხლი.

მეორე მსოფლიო საეკლესიო კრება – მოიწვიეს კონსტანტინეპოლში იმპერატორ თეოდოსი დიდის დროს, 381 წ. (მაის-ივნისი), თავმჯდომარეობდა მელეტი ანტიოქიელი, კრებას ესწრებოდა 150 ეპისკოპოსი, მათ შორის: გრიგოლ ნოსელი, ამფილოქე იკონიელი, კირილე იერუსალიმელი და სხვები (კრებას ესწრებოდა აგრეთვე ეპისკოპოსი პანტოფილე იბერიელი). კრებამ დაგმო არიანელი კონსტანტინეპოლელი ეპისკოპოსის, მაკედონის, ცრუმოდვრება და იგი განკვეთა. გამოსცა შვიდი კანონი, სარწმუნოების სიმბოლოს დაემატა ხუთი მუხლი.

მესამე მსოფლიო საეკლესიო კრება – მოიწვიეს ეფესოში 491 წ. (22 ივნისი – 31 ივლისი) იმპერატორ თეოდოსი II-ის დროს, კრებას თავმჯდომარეობდა კირილე ალექსანდრიელი. კრებას ესწრებოდა 200 ეპისკოპოსი. დაგმო ბილ იქნა კონსტანტინეპოლის არქიეპისკოპოსის, ნესტორის, ცრუმოდვრება, გამოიცა 8 კანონი, განაჩინეს, რომ არ შეიძლება სარწმუნოების სიმბოლოში რაიმე ცვლილებებისა და დამატებების შეტანა.

მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრება – მოიწვიეს ქალკედონში 451 წ. (8 ოქტომბერი – 1 ნოემბერი) იმპერატორ მარკიანეს დროს. კრებას ესწრებოდა 630 ეპისკოპოსი. დაგმო ბილ იქნა კონსტანტინეპოლელი არქიმანდრიტის, ევტიქის, ცრუმოდვრება, რომელმაც სათავე დაუდო მონოფიზიტობას. მის საწინააღმდეგოდ განაჩინეს, რომ ორი ბუნება იესო ქრისტეში შერწყმულია შეურევნელად და ურყევად. ხოლო ნესტორის მწვალებლობის საწინააღმდეგოდ დაამტკიცეს, რომ მაცხოვრის ორი ბუნება შეიცნობა განუყოფელად და განუყრელად. გამოიცა 30 კანონი.

მეხუთე მსოფლიო საეკლესიო კრება – მოიწვიეს კონსტანტინეპოლში 553 წელს იმპერატორ იუსტინიანე I დროს, ესწრებოდა 165 ეპისკოპოსი, დაგმო ბილ იქნა კვლავ ნესტორისა და ევტიქის ცრუ მოძვრებანი, თეოდორე

მოფსუეტელის, თეოდორე კირსელისა და ივა ედესელის (სირიის ეკლესიის მასწავლებლები) თხზულებები. მათგან პირველი განკვეთილ იქნა, ხოლო დანარჩენებმა მოინანიეს თავიანთი შეცოდებები და ეკლესიასთან მშვიდ ურთიერთობაში გარდაიცვალნენ.

მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრება – მოიწვიეს იმპერატორ კონსტანტინე პოლონატის დროს 680 წელს. ესწრებოდა 170 ეპისკოპოსი. დაგმო ბილ იქნა მონოთელიტების ცრუმოდვრება. ჭეშმარიტი ეკლესია დაიცვა იერუსალიმის პატრიარქმა სოფრონმა და კონსტანტინეპოლელმა ბერმა მაქსიმე აღმსარებელმა, რომელსაც ჭეშმარიტი რწმენისათვის ენა ამოგლიჯეს და ხელი მოჰკვეთეს. კრებამ სხვა ერეტიკოსებთან ერთად, განკვეთა რომის პაპი ჰონორიუსი. კრების ოქმებს ხელი დასაველეთის ეკლესიის დელეგატებმაც მოაწერეს. 691 წელს კონსტანტინეპოლში, ტრულის გუმბათიან სამეფო პალატაში იმპერატორ იუსტინიანე II დროს გაიხსნა მსოფლიო საეკლესიო კრების სხდომა, რომელმაც შეავსო VI მსოფლიო კრების დადგენილებანი. ესწრებოდა კრებას 227 მამა. გამოიცა 102 კანონი (ეს კრება მეექვსე კრებადვე ითვლება). კრებამ მიიღო და დაამტკიცა მისი წინამორბედი, მსოფლიო და ადგილობრივი კრების დოგმატები და კანონები და განსაზღვრა, რომ მათ არც მიემატოს, არც მოაკლდეს რაიმე. ამ კანონებს შემდეგ დაემატა VII მსოფლიო კრებისა და ორი ადგილობრივი საეკლესიო კრების კანონები, რომელმაც შეადგინა „ნომოკანონი“ („სჯულისკანონი“) და რომლითაც სარგებლობს მართლმადიდებელი ეკლესია.

მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრება – მოიწვიეს 787 წელს (9 სექტემბერი – 24 ოქტომბერი) იმპერატორ კონსტანტინესა და მისი დედის ირინეს (იმპერატორ ლევ ხაზარის ქვრივის) დროს. თავმჯდომარეობდა ტარასი კონსტანტინეპოლელი. მონაწილეობდა 367 მამა. კრებამ დაგმო ხატმებრძოლეობა, რომელიც წარმოიშვა 727 წელს იმპერატორ ლევ ისავრიელის დროს. მას სურდა მუსულმანების მოქცევა და მიიხნევა, რომ საჭირო იყო ხატების თავიანთი ცემის უარყოფა. ეს ერესი გაძლიერდა მისი მემკვიდრეების: იმპერატორ კონსტანტინე კოპრონიმეს და ლევ ხაზარის დროს. კრებამ გამოსცა 22 კანონი.

მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრების შემდეგ, ხატმებრძოლობა კვლავ განახლდა სამი იმპერატორის: ლევ სომეხის, მიხაილ ბაღბოსა და თეოფილეს დროს და 25 წელი აღელვებდა ეკლესიას. ხატების თავიანთი ცემა საბოლოოდ აღსდგა კონსტანტინეპოლის ადგილობრივ საეკლესიო კრებაზე 842 წელს. ამავე კრებაზე დამტკიცდა მართლმადიდებლობის ზეიმის აღნიშვნა (დიდი მარხვის პირველ კვირას).


მოამზადა

მარიამ ნიაურმა

WMIDA EQVTIME ARMSAREBELI (KERESLIZE)

SENAKIS RIRSEBA - MOVALEOBA DA BERMONOZONTA SASENAKO, DRITI-DRE STASAXEDI, OCI KANONI:

(წმიდა ექვთიმეს შედგენილ ხელნაწერ წიგნს „გზა ცხოვრებისას“ თანახლავს რამოდენიმე მისი ორიგინალური თხზულებაც, რომელთაგან ორ სწავლება-მოძღვრებას ვთავაზობთ მკითხველს – რედ.)



წმიდა ექვთიმე აღმსარებელი

1. სენაკი ესე არს, ვითარცა ასპარეზი, იგივე საბრძოლველი ველი, სადაც უნდა შეეჭიდო და ებრძოლო სულითა და გულთ, თვით შენსავე ხორციელ ბუნებას; და უკეთუ სძლიო და დასცე იგი, იხარო უკუნისამდე, უფლისა მიერ აღთქმულის მიღებით.

2. სენაკი ესე არს, ვითარცა შენი ქვეყნური საფლავი, სადაც უნდა დასტოვო კვართი იგი სულისა (ხორცთა შენთა საბლარდნელი) და უნდა აღმოაცენო ღოცვისა შენისა მადლის ხე, ცად აღმართული, მტკიცე სარწმუნოების სვეტი, ცხოვრების მიმნიჭებელი.

3. სენაკი ესე არს, ვითარცა ხორციელი სახლი, რომელშიდაც უნდა ააშენო შენი

სულიერი სახლი საუკუნო ცხოვრებისა, რომლისაგანაც გამოხვალ რა, უნდა დაკეტო კარი ცუდადმეტყველებისა ენისა შენისა; ხოლო რაჟამს შესვლა გენებოს – მაშინ აღახვენ კარი ბაგეთა შენთანი ღოცვად, ვედრებად და დიდებად ღვთისა.

4. სენაკი ესე არს, ვითარცა საღარო და ბელელი, სადაც შეიკრიბება სულიერი, ყოველდღიური, მრავალი კეთილი ნაყოფი იფქლისა, საგზლად ცხოვრებისათვის სულისა.

5. სენაკი ესე არს, ვითარცა მარანი, რომელსა შინა შეიკრიბების სთველი სულიერი მრავალთა ვაზთაგან, ტკბილი ნაყოფი მადლთა.

6. სენაკი ესე არს, ვითარცა საწნახელი, რომელსა შინა დაიწინიხების მტევანი მორჩილებისანი, მწდეველნი ტკბილისა სასმელისანი და მახარებელნი გულთანი.

7. სენაკი ესე არს, ვითარცა ჭური, სადაც უკვე შთაისხმის და დაიუნჯების სულიერი კეთილნი ქრისტეს ახალი სჯულის მადლის ღვინო, ღვთის სიყვარულით დამატრობელი.

8. სენაკი ესე არს, ვითარცა სასტუმრო სახლი, რომელსა შინა პატივისცემით და წრფელის ღოცვით, მოვიპატიუებთ ზეცათა მეუფესა, და მის წმიდათა დასთა, სულად განმაცხოველებლად ჩვენდა.

9. სენაკი ესე არს, ვითარცა საპყრობილე, რომელსა შინა ნებითა ჩემითა შემოვვიდ, სასჯელისათვის და შრომისა, კეთილთა მოსარეწველად; ხოლო ეშმაკნი იღვწიან, ნებითა მათითა იძულებით, ძალდატანებით გამომიყვანონ აქედგან, კეთილთა ჩემთა განსაბნეველად.

10. სენაკი ესე არს, ვითარცა „ბითეზდა“ (ცხვართა საბანელთა ტბა), რომელსა შინა მყოფი უძღური, უადრეს ყოველთასა ღამით აღმსობილი, უსწრობს და უადრეს სხვათა შთავალს სინანულისა ტბასა, და

ცრემლით განბანილი, მიიღებს დღითი-დღე კურნებასა სულთასა! და რაჟამს ხელოვანი იყოს, ერწმუნოს მას უფლისა მიერ,



ბერი სენაკთან

სხვათადაც კურნება (სახ. იოან. თ. 5: 2,3,4).

11. სენაკი ესე არს, ვითარცა სადარაჯო, (საყარაულო ადგილი) რომელსა შინა მყოფი დღე და ღამე სიფხიზლით მიჰყურებს, თუ, რა დროს მოუხტება გულსა მისსა სულიერი მტერი, ბოროტ მრჩეველი! ხოლო იგი მუდამ გონების თვალთ, გულსა შინა შთახედული და დაკვირვებული, ადვილად იხილავს მას; მსწრაფლ შეიპყრობს სამტროდ მის ჩხვილ ბოროტ ჩაგონებას და მყისვე მოსკობს, და არ მისცემს თავის გულში ბინას, გადიდებას და აღორძინებას.

12. სენაკი ესე არს, ვითარცა ნავთსაყუდელი სულისა, რომელსა შინა მოღვაწეობით მყოფი, ადვილად განერება ყოველგვარ სოფლიურ ცოდვათა მღელვარებათა დანთქმისაგან.

13. სენაკი ესე არს, ვითარცა წაღკოტი აღშენებული ხეხილის ბაღი, რომელსა შინა მცხოვრები, უკეთუ დღე და ღამე კეთილმოღვაწე იქმნეს, მრავალი კეთილი ნაყოფი გამოიღოს; ხოლო უკეთუ უღებ იქმნეს, მოეკვეთოს იგი ვითარცა უნაყოფო ლეღვი. (სახ. ლუკასი 13:7.)

14. სენაკი ესე არს, ვითარცა თორნე, რომელსა შინა მყოფმა, უკეთუ განახურვოს გული თვისი, ვითარცა თორნე ღოცვითა ღვთისა სიყვარულისათა, მან მრავალი კეთილი სათნოებათა პური ღვაწლისა

გამოაცხოს და შეიძინოს; ხოლო უკეთუ თორნე იგი გულისა მისისა განაგრძლოს, ვერცა მოღვაწებათა პური გამოაცხოს და კეთილთაგან მშვიერიცა წარწყმდეს.

15. სენაკი ესე არს, ვითარცა კეთილი ცხოვრებისათვის აღშენებული გოდოლი: უკეთუ შენსა ბუნების საქმესა მტკიცედ წინააღუდგე, მტერი ვერ შემოგივიდეს და უკეთუ ბუნებასა შენსა სათნო ეყო, იგი შინაგამცემელი მტრად წინააღვიდგეს, და კარი გოდოლისა განუღოს მტერსა, შემოვიდეს მძლავრებით, დაგიპყრას შენ და გოდოლიცა იავარჰყოს.

16. სენაკი ესე არს, ვითარცა სავაჭრო სახლი, სადაც რომ ქვეყნიურ ჟანგებს, ზეციურ მადლის ოქროზედ სცვლიდეს და ჰყიდიდეს და მწარე წუთების მიცემით, უთვალავ საუკუნოების ნეტარების დროებს ყიდულობდეს და იძენდეს.

17. სენაკი ესე არს, ვითარცა სასამართლო, პალატი, რომელშიაც მომავალ საშინელ სამსჯავროს დროს გასარჩევ საქმეთა შენთა, ახლავს უნდა, სანამ დრო გაქვს, არჩევდეს, ასამართლებდეს, აკანონებდეს და სჯიდეს და მას დროს – უმსჯავროდ და უშიშრად იქმნეს.

18. სენაკი ესე არს, ვითარცა ეკლესია, რომელსა შინა შევიკრიბებით სულიერნი ძმანი, გინა დანი და ვრეკთ ზარსა გონებისა ჩვენისასა, და ვიტყვი: ჟამი არს მსახურებად უფლისა და ვიწყებთ...

ხოლო უკეთუ სხვანი ძმანი არა გეყავს და მარტო მხოლოდ ვართ სენაკსა შინა; მას ჟამსაც შევჰკრებთ ჩვენ საკუთარ ძმთა და მოყვასთა ჩვენთა, რომელნიც არიან: სული, გული, გონება, ხედვა, სმენა, გულისხმისყოფა, აზრი, ჭკუა, ხალისი, სარწმუნოება, სასოება, სიყვარული, სიმართლე, ნიჭი, სსოვნა, ღმობიერება, სიმდაბლე და სხვა... და ვიწყებთ ერთსულობით, ერთგულობით და ვიტყვი:

მოვედით თაყვანის ვსცეთ მეუფესა ჩვენსა ღმერთსა! და სხვა...

19. სენაკი ესე არს, ვითარცა ყანა, რომელშიდაც შრომითა შენითა სთესავ, და რასაც დასთესავ, კეთილ თესლსა თუ ბოროტს, არ დაიკარგება! იმის ნაყოფს მოიძი.

20. სენაკი ესე არს, თვით მოწმე, წინაშე მართლმსაჯულისა ღვთისა, თუ როგორ სცხოვრობდი მას შინა.

WUTISOFELI

ეს ქვეყანა არის დროებითი, ღვთისაგან გაჩენილი და დაწესებული; მისთვის, რომ ყოველი ჩვენგანი (კაცთა ნათესავი) უნდა მოემზადოს საუკუნო ცხოვრებისათვის და ჰქვია მას – მოსამზადებელი ხანა, ანუ **წუთი-სოფელი**. ამიტომ დააწესა უფალმან ამქვეყანად სამნაირი შობა ადამიანისა:

პირველი – ღვდის მუცლიდგან ხორცმეხსმული შობა ადამიანის სულისა, როდესაც, პირველად შემოდის ამ ქვეყანაში საცხოვრებლად.

მეორე – ნათლისღებით შობა, წყლისა და სულისა მიერ წმიდისა. (სახ. იოან. 3: 3: 5.) პირველ ხორციით შობილმა, უკეთუ მეორე, ნათლისღების შობა არ მიიღო, იგი საუკუნო სასჯელს მიეცემა. (სახ. მარკ. 16: 16.)

მესამე – შობა ადამიანის სულისა არის, როდესაც სული განვალს გვამისაგან თვისისა, სტოვებს გვამსა და წუთისოფელსა და თვით სული მიდის საუკუნოსა ცხოვრებასა ან – სასჯელსა. რომ მესამედაც არ იშვას სული თავის გვამისაგან, ეს კაცთაგან შეუძლებელად დასდვა უფალმა! ამიტომ, წუთისოფელი, აქ, ამ ქვეყანას არავის არა სტოვებს; ყველას აგდებს აქედგან და ატანს მას, რაც სიცოცხლეში დაიმსახურა, კეთილი თუ ბოროტი.

ამქვეყანად შემოსულ ხალხს წინ უდებს უფალი სამნაირ ცხოვრებას, საუკუნო ცხოვრებისათვის მოსამზადებლად:

პირველი არის: ცოლ-შვილობით ცხოვრება, გინა ქმარ-შვილობით; რომელნიც, უკეთუ იცხოვრებენ ცოლ-ქმარნი, მცნებისაებრ უფლისა, კანონიერ გვირგვინოსნობით და სჯულიერად, ყოველგვარ კეთილისმოქმედებით, იგინი შეიძენენ ღვთისაგან ჯერ ამქვეყანად განმრავლებას და კეთილ ცხოვრებას, ვითარცა სწერს წმიდა დავით წინასწარმეტყველი: „ნეტარ არიან ყოველნი, რომელთა ეშინის უფლისა, და რომელნი ვლენან გზათა მისთა. ნაშრომი ნაყოფთა შენთა სჭამო შენ, ნეტარ იყო და კეთილი გეყოს შენ: ცოლი შენი ვითარცა ვენახი მსხმო, კიდეთა სახლისა შენისათა. შვილნი შენნი, ვითარცა ახალნერგნი ზეთისხილისანი, გარემოს ტაბლისა შენისა. აჰა, ესერა, ესრეთ იკურთხოს კაცი, რომელსა ეშინოდეს უფლისა. გაკურთხოს შენ უფალმან სიონით, და იხილო შენ კეთილი იერუსალემისა, ყოველთა დღეთა ცხოვრებისა შენისათა. და იხილნე შენ, შვილნი შვილთა შენთანი, მშვიდობა ისრაელსა ზედა“ (ფსალ. 127) – ეს-

რეთ კეთილმოქმედნი მეუღლენი, შემდგომად გარდაცვალებისა, იგინი მიიღებენ ღვთისაგან მადლის ჯილდოს: ერთი – ოცდაათით განმრავლებით, საუკუნო ნეტარ ცხოვრებისათვის.

მეორენაირი ცხოვრება არის: ქალწულებით ყოფა მთელ თავის სიცოცხლეში, კაცისა და ქალისა. მათი ცხოვრება უნდა იქმნეს ღვთის მოყვარებით, ღოცვა-ვედრებით, უბიწოებით და უმწიკვლოებით, და ყოველგვარ კეთილის მოქმედებით განატარებენ თავიანთ სიცოცხლეს. ამათი ცხოვრება ქვეყანაზედვე სანატრელია, როგორც სწერს წმიდა დავით: „ნეტარ არიან უბიწონი გზასა, რომელნი ვლენან სჯულსა უფლისასა; ნეტარ არიან რომელნი გამოიკვლევენ წამებათა მისთა, ყოველთა გულითა გამოიძიენ იგი“. (ფსალ. 118: 1,2.) – იგინიც, შემდგომად გარდაცვლისა მათისა, მიიღებენ ღვთისაგან მადლის ჯილდოს: ერთი – სამოცად განმრავლებით, საუკუნო სანატრელ ცხოვრებისათვის.

ხოლო **მესამენაირი ცხოვრება** არის საღმრთო სულიერი, მოციქულებრივი და ბერ-მონაზვნური, რომელიც ღვთის სიყვარულისათვის სტოვებს და სთმობს საამქვეყნიო ყველაფერს: ცოლ-შვილობას, გინა ქმარ-შვილობას, დედ-მამას, ძმებს, დებს, და ყველა ნათესავს. ეგრეთვე, სტოვებს ადგილ-მამულს და ყველაფერ საცხოვრებელს! და ტვირთულობს სოფლიურ ყოველგვარ გაჭირვებას მოთმინებითა; და დღე და ღამე გულს-მოდგინედ შეუდგება ღვთის სამსახურს, და ღვთისადმი ბოლომდის აქვს ყოველი სასოება დადებული – ესენიც, შემდგომად გარდაცვალებისა მათისა, მიიღებენ ღვთისაგან მადლის ჯილდოს, ერთი – ასად განმრავლებით, საუკუნო სანატრელ ცხოვრებისათვის (სახ. მათესი თავი 13: 23, 43). ამიტომ, კეთილი და სანატრელი არის: პირველი – კანონიერი ცოლ-შვილობით ცხოვრება; უკეთეს და უუსანატრელეს არს: მეორე – ქალწულებით ცხოვრება; ხოლო უუდიდებულეს და უუბრწყინვალეს არს, მესამე – საღმრთო მსახურებით ცხოვრება. რომელსა გარდაცვალების დროს, ჰნატრის ხალხი და უგალობს წმიდა ეკლესია და იტყვის: „ნეტარ არს გზა ეგე, რომელსა წარმართებულ ხარ, რამეთუ ადგილი განსასვენებელი მიგეცის შენ. ნეტარ არს, რომელი გამოირჩიე და შეიწყნარე, უფალო; დაიმკვიდროს ეზოთა შინა შენთა“. (ფსალ. 64: 4.)

ARQIMANDRITI LAZARE (GAGNIZE)

SAKVIRAO QADAGEBA



არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე)
„მაველოვანი“ – წმიდა ნინოს სამლოცველო

დღეს წაკითხულ სახარებაში მოთხრობილ ამბავს წინ უძღოდა იესო ქრისტესაგან ხუთი პურითა და ორი თევზით ხუთი ათასი კაცის დაპურება. ამ სასწაულის მოხდენის შემდეგ მაცხოვარმა თავის მოწაფეებს უბრძანა ნავში ჩასხდომა და ზღვის მეორე ნაპირზე გადასვლა; თავად კი ცოტა ხნით შეყოვნდა, რათა დამშვიდობებოდა იქ დარჩენილ ხალხს. შემდგომად ამისა, იესო ქრისტე მთაზე სალოცავად ავიდა. ლოცვაში გართული, საკმაოდ დიდი ხანი შეყოვნდა იქ. ამასობაში, ნავი, რომელშიც ისხდნენ მოწაფეები, მრავალი „უტევეანით“ იყო დაშორებული ხმელეთს. მოულოდნელად ძლიერი ქარიშხალი ამო-

ვარდა. ზღვის ტალღები მთელი ძალით ეხეთქებოდა ნავს და ყოველ წამში ჩადირვის საფრთხეს უქმნიდა მას. განთიადისას, იქნებოდა ასე, მეოთხე „სახმილავი“ ანუ ჩვენი დროით ხუთი თუ ექვსი საათი, გაშლილ ზღვაზე, ვითარცა ხმელეთზე „მოვიდა იესო სვლით ზღუასა მას ზედა“. შეშინებულმა მოწაფეებმა იფიქრეს, მოჩვენებააო და ყვირილი მორთეს. უფალი იესო მათ მყისვე შეეხმიანა, გაამხნევა ისინი და უთხრა: „მე ვარ, ნუ გეშინინ!“ „მიუგო პეტრე და ჰრქუა მას: „უფალო, უკუეთუ შენ ხარ მიბრძანე მე მისლვად შენდა წყალთა ამათ ზედა“ (მთ. 14, 27-28). მაცხოვრისაგან მიღებული თანხმობისთანავე, პეტრე ნავიდან გადავიდა ღია ზღვაში და ჩვეულებრივი სვლით გაემართა იესო ქრისტესაკენ. ასე, ზღვის ტალღებზე სვლით განვლო მან საკმაო მანძილი საყვარელი მოძღვრისაკენ. „და ვითარცა იხილა ქარი იგი ძლიერი, შეეშინა და იწყო დანთქმად, დაღად-ყო და თქუა: უფალო, მისხენ მე! და მეყსეულად განყო ხელი იესო, უპყრა მას და ჰრქუა: მცირედ მორწმუნეო, რადსა შეორგულდი?“ (მთ. 14, 30-31)

წაკითხულ სახარებაში ქრისტიანებისათვის სულის მასაზრდოებელი და მისი გამამდიდრებელი რამდენიმე ყურადსადეები სიუჟეტური კვანძია, რომელსაც ჩვენ არ შეიძლება, რომ გვერდი ავუაროთ, და, რომლებიც ჩვენს ცხოვრებასა და საქმიანობაში აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ და თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ დავამკვიდროთ ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში. პირველი, ეს გახლავთ უფალთან განმარტოებისა და მის მიმართ ლოცვითი საუბრის აუცილებლობა. ლოცვა უნდა იყოს ჩვენი ყოველდღიური ყოფის განუყოფელი ნაწილი. მივაქციოთ ყურადღება, იესო ქრისტე, ძე ღვთისა, ქვეყნად მოვლენილი მესია, როგორც წესი, ხშირად გან-

მარტოვდება და მთელ ღამეებს ატარებს ლოცვაში. ლოცვაში იგი მამა ღმერთს ეკედრება არა იმდენად თავისი თავისათვის, არამედ სხვებისათვის, სახელდობრ, ცოდვილი კაცობრიობისათვის. მითუმეტეს ჩვენ, სუსტი და ცოდვილი კაცობრივი ბუნების მქონე ადამიანებს, გვესაჭიროება ლოცვა, რომ უფალი შემწედ გვექმნეს და დაგვაძლევინოს ყოველდღიური ნებსითნი და უნებლიეთნი ცოდვები; გვეჭირდება ლოცვა შემწეობისათვის, რომ უფალი ღმერთი ფარად გვექმნეს და მოგვარიდოს ჩვენს წარსაწყმედად ჩასაფრებული ბოროტი ძალა. მოცემულ შემთხვევაში, იესო, განკაცებული ღმერთი, რომლისთვისაც უცხოა ცოდვა, განმარტოვდა და ლოცულობს, ლოცულობს იგი, ცხადია, ზღვაში მის გარეშე გასული ნავისა და მისი მგზავრებისათვის, ეკლესიისათვის, სამწყსოსათვის, რომელიც ემზადება, რომ გადადგას ამქვეყნიური მიწიერი მოღვაწეობის პირველი, დამოუკიდებელი ნაბიჯები. უფალმა ეს-ესაა ხომალდი – ახლადშექმნილი ეკლესია შეაცურა ცხოვრების გაშლილ ოკეანეში, და ელოდება, აყურადებს, გამოცდის უწყობს, როგორ გადადგამს იგი თავის პირველ დამოუკიდებელ ნაბიჯებს. გალილეის ზღვაში უფალ იესოს მიერ მოხდენილი აღნიშნული სასწაული, ეს გახლდათ ქრისტეს ჯვარცმისა და ამაღლების წინ მოწაფეებისათვის ჩატარებული კიდევ ერთი გააკეთილი, რომლითაც უფალმა, პრაქტიკულად, გამოცადა ისინი სულიწმიდის გარდამოსვლამდე, სულიწმიდით მათ განბრძნობამდე. მაცხოვარს სურდა განსაცდელში ეხილა, თუ როგორ იმოქმედებდნენ თავიანთი საყვარელი მოძღვრის გარეშე მარტოდ დარჩენილი მოწაფეები. შემთხვევითი არ არის, რომ ასეთ კრიტიკულ ვითარებაში წინა პლანზე წამოწეულია მოციქულ პეტრეს პიროვნება. იგი თანასწორთა შორის უპირატესი გახლავთ მოციქულთა შორის, რადგან იგი იერარქიით ქრისტეს მოწაფეებს შორის ყველაზე მაღალ საფეხურზე იდგა. ქრისტეს მოწაფეთაგან სწორედ მისი წილხვედრი იყო გაშლილ ზღვაში გასვლა და პირველი ნაბიჯების გადადგმა.


წაკითხული ეპიზოდი სახარებისა სხვამხრივაც არის საყურადღებო. მაცხოვარი წვრთნის თავის მოწაფეებს რწმენასა და სიყვარულში, მოთმინებასა და გამძლეობაში... საჭიროების შემთხვევაში კიცხავს ან ამხნეებს მათ. ასე იყო ამჯერადაც: მოციქულმა პეტრემ ვერ გაუძლო მძიმე გამოცდას, ბოლო მომენტში დაბრკოლდა, მაგრამ დასაღუპავად განწირული, არ დაიბნა, მან უმაღვე დახმარება სთხოვა მაცხოვარს; ის-ის იყო უნდა ჩაძირულიყო ზღვაში, გონება მოიკრიბა და საიმედოდ ჩასჭიდა ხელი მის გადასარჩენად გაწვდილ უფლის ხელს და გაჰყვა მას, თითქმის ისევე, როგორც მამლის ხმობამდე უფლის სამგზის უარყოფის ჟამს. ეს მომენტი ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ჩვენ გაჭირვების ჟამს, გადამწყვეტ მომენტში; უფლის სახელით ჩვენ უნდა ვძლიოთ დაბნეულობას, უნდა მოვეგოთ გონს და შემწეობა ვთხოვოთ ჩვენი მფარველი ანგელოზის ან სხვა მსწრაფლ შემწე წმიდანების საშუალებით უფალსა და მაცხოვარს ჩვენსას. მაგრამ ჩვენ უნდა შეუორგულელებელი რწმენით ვითხოვდეთ შემწეობას.

ქრისტიანი, თუ იგი მართლა თვლის თავის თავს ჭეშმარიტ და თანმიმდევრულ ქრისტიანად, ყოველმხრივ უნდა ცდილობდეს მტკიცედ იდგეს ქრისტიანულ რწმენაზე. ჩვენ საკმაოდ ხშირად გვიწევს საუბარი ქრისტიანულ რწმენაზე მტკიცედ დგომის შესახებ; მაგრამ, ვფიქრობ, ჩვენ სრულად ვერ ვაცნობიერებთ იმ სულიერ დატვირთვას, რომელიც ძვეს ამ ტერმინში. ცხადია, ამ ტერმინში მოიაზრება ქრისტეს მთელი სწავლება ერთიანობაში, მისი სიტყვითა და საქმით უცილობელი აღსრულება. უფალში, მის მოწყალებასა და ყოველი ადამიანისადმი მის სიყვარულში მცირედი დაეჭვებაც კი ადამიანში უფლის რწმენაში დაბრკოლებას იწვევს. ჩვენ განუხრელად უნდა გვწამდეს და ვენდობოდეთ უფალს, მის ყოველადმხიერებას, მის ყოველისშემძლეობას, ყოველადმოწყალებას. ცნობიერად, თუ არაცნობიერად, მთელი სისრულით უნდა მივენდოთ უფალს; ამასთან, მაქსიმალური სისრულით უნდა ვფლობდეთ ადამიანებისათვის

ღვთიებოძებულ სათნოებებს: სიყვარულს, თავმდაბლობას, მოთმინებას, მადლს მორჩილებისას; ვიყოთ ისეთივე მოწყალენი და სხვებისადმი თანამგრძობელნი, როგორც თავად უფალია.

ხშირად, ადამიანი მთლიანად, მთელი არსებით არ არის მინდობილი უფალს. ხშირად – ეჭვი გვეპარება, რომ უფალი ყველა პრობლემას კეთილად მოგვიგვარებს; ხშირია შემთხვევა, როცა ადამიანის ირგვლივ ყოველგვარი დოვლათის და ჭირნახულის სიუხვეა და იგი მაინც იმის გამო, რომ არა აქვს ნდობა ხვალისდელი დღისა, არ ენდობა ღმერთს და ზრუნვას იწყებს მომავლისათვის, ინახავს ჭირნახულს, ე.წ. შავი დღისათვის; და ეს იმიტომ, რომ ადამიანი მთლიანად არ არის მინდობილი განგებას ღვთისას. არ მინდა ისე გამიგოთ, რომ წინააღმდეგი ვარ მოიმზადოთ, დავუშვათ, ზამთრისათვის საჭირო მარაგი. არა, ეს არ არის სწორი. მე მინდა ქრისტიანს სწამდეს, სჯეროდეს და ენდობოდეს უფალს; სწამდეს, რომ უფალი იზრუნებს მისი ხვალისდელი დღისათვის და რომ უფალი მისცემს მას ყველაფერ აუცილებელს, რაც მას ხვალ დასჭირდება. მაგრამ ჩვენ არც მოლოდინში, არც შეფასებებში არ უნდა გადავაჭარბოთ. არ უნდა გავიგოთ ისე, რომ ღმერთისადმი რწმენაში „მტკიცედ დგომის“ საილუსტრაციოდ, ბათუმიდან მკლავურით გადავცუროთ შავი ზღვა სტამბულამდე. თუმცა, ღვთის სიყვარულით, ესეც შეიძლება მოიმოქმედოს ადამიანმა, მაგრამ შეიძლება უფლის ასე-

თი განცდა? ცხადია – არა. ჩვენ ყოველთვის მხედველობაში უნდა გვქონდეს ჩვენი ყოველდღიური რეალობა, და ამ რეალობიდან გამომდინარე – საქმე. მაგრამ სამწუხაროდ, ხშირად, ადამიანის რწმენა უფლისადმი იმდენად მწირია, ნდობის ფაქტორი იმდენად დაბალია, რომ ზღვაში ღრმად შესული, როგორც კი მხედველობიდან დაკარგავს ნაპირს, შიში ეუფლება და იწყებს ჩაძირვას; რა ღვას ამ შიშის მიღმა? რისი ეშინია ამ ღროს ადამიანს? რისი შეეშინდა წმიდა მოციქულ პეტრეს? – ქარის? მოჩვენების? ურჩხულის? რისი ეშინიათ ამ ღროს ადამიანებს? – ალბათ უფრო დახრჩობისა და ამგვარად, ამ სამყაროდან გასვლისა. ადამიანში აღძრული ამგვარი შიში, შიში იმის გააზრებისა, რომ იგი იღუპება, მეტყველებს ღვთის სასუფეველის შესახებ ადამიანის არაცნობიერ დამოკიდებულებაზე, ღვთის სასუფეველისადმი მის ურწმუნობაზე და საბოლოო ჯამში კი, ადამიანის მცირედმორწმუნეობაზე. ასეთ კრიტიკულ მომენტში ადამიანს ავიწყდება ყოველდღიური მოწყალე ღმერთი, ავიწყდება მფარველი ანგელოზი და საერთოდ, ყველაფერი. ამ მომენტში კი შეიძლება ადამიანის ხსნისათვის გადამწყვეტი გამოდგეს ის, რომ გონებაში მოუხმოს ღმერთს, ან მფარველ ანგელოზს, რაც შესძენს ადამიანს გადარჩენისათვის აუცილებელ სულიერ და ფიზიკურ ძალასა და ენერგიას, რასაც პეტრე მოციქულის შესახებ წაკითხული ეპიზოდით გვასწავლის სახარება.



WMIDA ILIA MARTALI (WAVWAVAZE) DA ME-19 SAUKUNIS SAMRVDEL OEBA

ილია ჭავჭავაძემ თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობით ღრმა კვალი დააჩნია ქართული კულტურის, ლიტერატურის, ისტორიის, ყოფის, ეკონომიკის, აზროვნების მრავალ მხარეს. მას მჭიდრო ურთიერთობები აკავშირებდა მე-19 ს. მიწურულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის გამორჩეულ ქართველ თუ უცხოელ სასულიერო მოღვაწეებთანაც. კერძოდ, ეპისკოპოსებთან: გაბრიელთან (ქიქოძე), ალექსანდრესთან (ოქროპირიძე), კირიონთან (საძაგლიშვილი), პეტრესთან (კონჭოშვილი) და ა. შ. სამწუხაროდ, ილიას მათთან ურთიერთობების ამსახველი მასალები საკმაოდ მწირი და ხშირად ფრაგმენტულია; ჩვენი მიზანია გამოვავლინოთ ან ახლებურად წარმოვაჩინოთ ილია მართლის ურთიერთობა მისი ეპოქის სამღვდელეობასთან. ცხადია, ეს ურთიერთობები ბევრად უფრო მეტი დატვირთვის შემცველია, ვიდრე დიდი ქართველი მწერლისა და მოაზროვნის უბრალო ადამიანური კონტაქტები გამორჩეულ ქართველ თუ რუს საეკლესიო პირებთან. ილიას კონტაქტები სამღვდელეობასთან უნდა განვიხილოთ როგორც საერთო, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელი კომპონენტი, გამაგრებული პირადი ურთიერთობების ძალით.

უნდა ვიფიქროთ, რომ საქართველოს ეკლესიის საჭირობოროტო საკითხებზე, ილია უპირველესად წმიდა ეპისკოპოს გაბრიელს ეთათბირებოდა. შემორჩენილია ილიას მიერ ღრმა მოწიწებით შედგენილი წერილი, რომლითაც ის მეუფე გაბრიელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საპატიო წევ-



წმიდა ილია მართალი

რობას სთავაზობს [1; 22-23]. ასეთივე დიდი მოწიწებით და პატივისცემით გამოირჩევა - გაბრიელ ეპისკოპოსის პასუხი [1; 23].

ილიას გაბრიელ ეპისკოპოსი ქუთაისში ყოფნისას უნდა გაეცნო, 1864 წელს. ის, რომ მეუფე გაბრიელი ილიას ვიზიტით არაერთხელ სწვევია, ჩანს იმ სავიზიტო ბარათიდანაც [1], რომელიც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ილიას პირად ფონდშია დაცული [2; საქმე 700, 36]. ბარათზე მეუფე გაბრიელს საკუთარი ხელით წაუწერია „Гавриил, епископ Имеретии“.

ილიას განსაკუთრებულ მოწიწებას მეუფე გაბრიელისადმი ადასტურებს თანამედროვის, ოღვა აგლაძის მოგონებები. იგი წერს: „გაბრიელ ეპისკოპოსიც მახსოვს ილიას ოჯახში [...] ერთად მოვიდოდნენ ხოლმე გაბრიელი, ნიკო ნიკოლაძე და კირილე ლორთქიფანიძე [...] მეორეჯერაც მახსოვს გაბრიელი ილიასთან. მაშინ კი მარტო მოვიდა. დიდხანს ისხდნენ სუფრაზე. დიდხანს ბაასობდნენ დინჯად. მაშინაც კარებამდე ჩააცილა ილიამ თავისი სტუმარი. „- ეგ, დიდი ადამიანიაო.“ – თქვა

ილიამ, გაბრიელის გაცილების შემდეგ“ [3; 197].

ილიამ შესანიშნავი სიტყვა წარმოთქვა გელათში გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვის დღესაც [4; VIII-IX].

საქართველოს ეკლესიის ისტორიისა და მისი ეპოქისათვის აქტუალურ საკითხებზე ილია უთუოდ ბევრს ეთათბირებოდა ეპისკოპოს კირიონსაც (შემდეგში საქართველოს ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქს). სამწუხაროდ, ეს კონტაქტებიც მხოლოდ

ფრაგმენტულადაა ასახული დოკუმენტებსა თუ მემუარებში.

ზევით ნახსენები ოლგა აგლაძე, რომელიც თბილისის რკინიგზის ტელეგრაფში მსახურობდა, ილიასა და კირიონის ურთიერთობების ერთ საინტერესო ეპიზოდს იხსენებს: „ვოსტორგოვიმა, ცნობილმა რუსმა შავრაზმელმა მღვდელმა, დეპეშები გააგზავნა პეტერბურგს. ამ დეპეშით, ის აბეზღებდა სინოდთან ქართველ სამღვდელოებას და სამრევლო სკოლებს [...] ეს საიდუმლო მე ილიას შევატყობინე. ილიამ ძალიან მომიწონა ჩემი ასეთი სიფრთხილე. მაშინვე დაუძახა სამრევლო სკოლების უფროსს



წმიდა ილია მართალი, მისი მოძღვარი ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე), ილიას მეუღლე ოლგა და სხვანი

მამინაიშვილს და მასთან ერთად სასწრაფოდ ინახულა ეპისკოპოსი კირიონი“ [3; 156].

ოლგა აგლაძის მიერ აღწერილი ამბავი, 1900-1902 წწ. შორის უნდა მომხდარიყო, რადგან ვოსტორგოვი სწორედ 1900 წ. მოეწვინა საქართველოს როგორც საეკლესიო ადმინისტრატორი და სამრევლო სკოლების მზრუნველი. 1902 წელს კი, სწორედ მისი დასმენის საფუძველზე, კირიონი საქართველოდან შორს, კამენეცკა-პოდოლსკში გადაიყვანეს, ფაქტიურად კი გადაასახლეს.

1902 წ. 2 მარტს, კირიონის გადასახლებაზე ცოტა ხნით ადრე, ილია და კირიონი, ერთად ესწრებიან მარი ბროსეს სულის მოსახსენებელ წირვასა და პანაშვიდს.

კირიონი ილიას სახლშიც სწვევია სოხუმის ეპისკოპოსობის ხანმოკლე პერიოდში, (1906-1907), რაც დასტურდება ილიას

ფონდში არსებული კირიონის სავიზიტო ბარათითაც [2; 700-62]. ვიცით აგრეთვე, რომ 1906 წელს ილია და კირიონი პეტერბურგში რამდენჯერმე შეხვდნენ ერთმანეთს. ისინი პეტერბურგში იმყოფებოდნენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხებზე მსჯელობისათვის. 3 იანვარს ილია და კირიონი ერთად ეწვივნენ ბინაზე ალექსანდრე ცაგარელს [6; 93, 444]. იმავე წლის ივლისის დასაწყისში ილია და კირიონი ასევე ერთად ესწრებიან ჟანდარმების მიერ ტრაგიკულად მოკლული შიო ჩიტაძის პანაშვიდს, პეტერბურგის ალექსანდრე ნეველის ლავრაში [7; 134].

1906 წ. 8 მაისს კირიონი თავის უახლოეს თანამებრძოლ იოსებ ჩიჯავაძეს პეტერბურგიდან ატყობინებდა, რომ ილია ჭავჭავაძეს სურდა თავადაზნაურობის სახელით, ოფიციალური მადლობა გადაეხადა ეპისკოპოსების კირიონისა და ლეონიდესადმი, მაგრამ რუსეთის მთავრობამ ამის ნება არ მისცა [6; 132].

ილია ჭავჭავაძეს უთუოდ მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებდა გამორჩეულ მღვდელმთავართან, ეპისკოპოს პეტრე კონტოშვილთან. მეუფე პეტრე წარმოშობით ყვარლის

რაიონის სოფელ საბუედან იყო და სიკვდილამდე არ შეუწყვეტია თავის სოფელზე ზრუნვა [8; 14 და შმდ.].

ილიას „ივერია“ ხშირად ბეჭდავდა ინფორმაციებს მეუფე პეტრეს და მისი ნათესავების მოღვაწეობის შესახებ. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა „ივერია“ მეუფის ძმისშვილის, სოფიო კონტოშვილი-ყულოშვილის, საინგილოში გაწეულ მისიონერულ ღვაწლს.

ნიშანდობლივია, რომ მეუფე პეტრე იყო პირველი, ვინც უღვთოდ მოკლულ ილია ჭავჭავაძეს პანაშვიდი გადაუხადა ქაშვეთის წმიდა გიორგის ტაძარში 1907 წ. 1 სექტემბერს. მეუფე პეტრეს, მეორე დღესაც გადაუხდია პანაშვიდი ილია მართლისთვის სიონის საკრებულო ტაძარში. პრესა იუწყებოდა: „კვირას, 2 სექტემბერს, ნაშუადღევს 2 საათზედ, სიონის საკრებულო ტაძარში, გორის ეპისკოპოსმა, (ე. ი. მეუფე პეტრემ, რომელიც გორის ეპისკოპოსად ხე-

ლდასხმულ იქნა 1907 წ. აპრილში – ვ. კ.) სიონის კრებულის თანამლოცველობით გადაიხადა პანაშვიდი ილია ჭავჭავაძის სულის მოსახსენებლად [...]. პანაშვიდს დაესწრო დიდძალი ხალხი [...] ქალაქის თავი, მარშლები და სხვანი. სხვათა შორის, პანაშვიდს დაესწრო ნამესტნიკი (ე. ი. მეფისნაცვალი ი. ვორონცოვ-დაშკოვი, ვ. კ.) მეუღლითურთ“. დაკრძალვის დღეს, 9 სექტემბერს, სიონის საკრებულო ტაძარში მეუფე პეტრემ კვლავ პანაშვიდი გადაუხადა ილია ჭავჭავაძეს, შემდეგ კი „მგრძობიარე სიტყვა“ წარმოთქვა [9; 25, 38].

მცირე რაოდენობით შემორჩენილი დოკუმენტებიდან, რომლებიც ილია ჭავჭავაძისა და მისი დროის სამღვდელოების ურთიერთობას ასახავს, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ილია ჭავჭავაძის წერილი (პასუხი) თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორ ეპისკოპოს სერაფიმესადმი. 1898წ. - ეპისკოპოსი სერაფიმე (საერო სახელი – იაკობ მეშჩერიაკოვი), რამდენიმე წელი განაგებდა თბილისის სასულიერო სემინარიას (1893-1898), 1898 წლიდან კი იგი ოსტროვის ეპისკოპოსად გადაიყვანეს.

ილიას წერილი ხუთ ვარიანტადაა შემონახული (რუსულ ენაზე), ამასთან, პირველი ცალი ფანქრითაა ნაწერი. როგორც ჩანს, ილია დიდხანს ხვეწდა პასუხს. იგი მხოლოდ ერთხელ, 1957 წელს გამოქვეყნდა და ისიც ქართული თარგმანის სახით, რუსული დედნის გარეშე [11; 161-162]. ჩვენ შევამოწმეთ დედანი და შევადარეთ თარგმანი. უნდა ითქვას, რომ ძირითადად, თარგმანი სწორია, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, დასახვეწი ან გასამართია. ამასთან, ჩვენ საჭიროდ ვცანით, წერილის ზოგიერთი ნაწილი, გამოუქვეყნებელი შავი პირიდანაც დაგვემატებინა.

ეპისკოპოსი სერაფიმე, ილიას აუწყებდა, რომ მისი, როგორც ქართველთა შორის უდიდესი ავტორიტეტის მქონე პირის [2] ვალი იყო, განემარტა ქართველებისათვის, რომ მთავარი ის კი არ იყო, რა ენაზე აღეველინებოდა წირვა-ლოცვა, არამედ – ქრისტეს ერთგულება და წრფელი ღოცვა. იგი წერდა, რომ ქართველებს ერთი წუთითაც არ უნდა ენანათ ის, რომ ისინი: „სლავურ თვითმპყრობელობას ემორჩილებოდნენ“ და რომ „მშობლიური ენის სამოქალაქო ხმარების სფეროს გაფართოება“ პირობითი და არაარსებითი ხასიათის

საკითხი იყო და ა. შ. ნიშანდობლივია, რომ ამ თავის წერილში, ეპისკოპოსი სერაფიმე ქართველი და რუსი ერებისა და სამღვდელოების მისაბამ მაგალითად მღვდელ დიმიტრი აბაშიძეს ასახელებდა [11; 163]. ეს ის დიმიტრი აბაშიძეა, (შემდგომში ეპისკოპოსის რანგში ამალღებული), რომელიც მთლიანად გარუსებული იყო და რუსეთის ეკლესიის სინოდს ურჩევდა ქართულ ენაზე არაფრის ბეჭვდის ნება არ გასცეთ, რადგან ისინი (ქართველები) სეპარატისტები არიან და ქართულ ნაწერებში ასეთსავე საშიში იდეებს ატარებენო. პირად წერილებში, წმიდა ეპისკოპოსი კირიონი მას „რძენაწყენ რენეგატ დიმიტრი აბაშ-ოღლის უწოდებდა“ [12; 133]. ილია ჭავჭავაძისათვის ნათელი იყო, რომ ეპისკოპოს სერაფიმეს სახით, მას რუსეთის ოფიციალური წრეები მიმართავდნენ. ილიას პიროვნების შექებასთან ერთად, წერილში საყვედურიც გამოსჭვიოდა პირადად ილიასა და საერთოდ ქართველების „უმაღურობის“ გამო. ამიტომ აუცილებელი იყო მოფიქრებული და აწონ-დაწონილი პასუხის გაცემა. წერილის დასაწყისში, ილია ზედმეტად მიიჩნევს მისი პიროვნებისა და ღვაწლის ესოდენ გადამეტებულად მაღალ შეფასებას. შემდეგ, ილია, იმ პერიოდისათვის გავრცელებულ თავდაცვის ხერხს მიმართავს და გადაჭრით უარყოფს ქართველთა სეპარატიზმს. ყველაზე მნიშვნელოვანი, მაინც წერილის ბოლო ნაწილია. აქ იხენს თავს განსაკუთრებული ძალით, ილიას გულისწუხილი, პოლემიკური სტილი და სამყაროს ფილოსოფიური წვდომა. ილია ადრესატს ამცნობს, რომ ადგილობრივი ჩინოვნიკების მიერ არასწორადაა გაგებული რუსული სახელმწიფოს თვით არსი და მთავარი იდეა: „ამ იდეას, არ შეიძლება მიზნად ჰქონდეს გარდაქმნას ქართველი ან სხვა არარუსი („ინოროდეცი“) რუსად, (ანუ გარდაქმნას ის) ამ უკანასკნელის სახებად და მსგავსებად, რადგანაც ეს იმას ნიშნავს, რომ წავიდეთ საგანთა არსის წინააღმდეგ, რომელიც თავისი ფარული კანონების შესაბამისად ქმნის (წარმოშობს) ამა თუ იმ სახეობას“ (ეს აბზაცი, ხელნაწერის ზოგიერთ ვარიანტში, გადაშლილია ილიას ხელითვე) [2; საქმე 482, ფ.6]. ილია განაგრძობს: „ყოველივე ამის გამო, გარუსების იდეა, გაგებული როგორც ხალხის გარდაქმნა და გარდასახვა ერთ სახეობად და მსგავსებად, თავისი არსით არარელიგიურია,

რაგდანაც იგი ამ სახით, სხვა არაფერია, თუ არა ღვთის ნების უარყოფა, რომელიც თავისი ღვთაებრივი მიზნის შესაბამისად, მრავალი ტომისა და ხალხის შექმნაში გამოვლინდა. მართლაც: ნუთუ ტომთა და ხალხთა ეს მრავალფეროვნება განგების შეცდომაა და ადამიანს ძალა შესწევს გამოასწოროს ის? ან იქნებ, დედამიწაზე სხვადასხვა ტომთა და ხალხთა არსებობა მინჩეულია შემთხვევითობის თამაშად და მას არაფერი აქვს საერთო ღვთაებრივ ნებასთან? მაგრამ როგორ მოვარიგოთ მაშინ ეს აზრი ქრისტეს მოძღვრებასთან, (კერძოდ) იმასთან, რომ კაცის თავიდან თმის ღერიც კი არ ჩამოვარდება ღვთის ნების გარეშე?! ასეთ შემთხვევაში, უნდა დაგვეშვა, რომ ისეთი მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენები, როგორცაა მრავალ ტომთა და ხალხთა არსებობა, შესაძლოა მომხდარიყო სამყაროს შემოქმედის ნების გარეშე. რა თქმა უნდა, ქვეყანაზე მოიძებნებიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც ზედმეტად მიაჩნიათ ქრისტიანული მოძღვრებისათვის ანგარიშის გაწევა, მაგრამ განა ეს შეეფერება მართლმადიდებელი მრწამსის ხალხს? [...] არ არს მართლმადიდებლობა იმ სწავლების გარეშე, რომ ყოველივე გამოვალს ღვთისაგან და უბრუნდება მასვე“ [2; საქმე 482, ფ. 6].

როგორც ვხედავთ, ილია მტკიცედ და ლოგიკურად უტყვის რუსიფიკატორ ერსა და ბერს და თავის ნათქვამს ქრისტეს მოძღვრებით ამაგრებს. ამას გარდა, ამავე წერილში, ილია მშობლიური ენის პრობლემასაც ეხება და ადრესატს მტკიცე ტონით ამცნობს: „ენათა შეზღუდვა დევნის ერთ-ერთი ფორმაა და სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, არ შეიძლება წაქეზებული იქნეს. ეს ასეა, რადგანაც დევნა-შევიწროვება აბოროტებს ადამიანებს და აყალიბებს სწორედ იმის ფანატიკოს დამცველად, რაც იღვენება. ნუთუ ეს სახელმწიფოს ინტერესებშია? ის (სახელმწიფო) შეიძლება დამყარებული იყოს მხოლოდ ცხოვრების წყნარ მდინარეებზე, ყოველგვარი ხელოვნური ბიძგების გარეშე, რა მხრიდანაც უნდა იყვნენ ისინი, ქვევიდან იქნებიან თუ ზევიდან“ [2; 482, ფ. 7]; და ილია იქვე დასძენს: „როგორც ღვთის წინაშე, ასევე კანონის წინაშე, ყველანი თანასწორნი უნდა იყვნენ; მხოლოდ ეს თანასწორობაა ერთადერთი მყარი და ჭკუემარტი საფუძველი კეთილმოწყობილი სახელმწიფოსი“ [2; 482, ფ. 13 მინაწერი აშიაზე].

ილიას პირად ფონდში ინახება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის

მოთხოვნასთან დაკავშირებული, ილიას ხელით ნაწერი, მოხსენების ორი ფურცელი. სამწუხაროდ, არ ჩანს ვის მიმართავს ილია ამ მოხსენებით. ადრესატს ილია მიმართავს შემოკლებული ფორმით „B.C.“ რაც შეიძლება გაიშიფროს როგორც „Ваше Сиятельство“ („თქვენო ბრწყინვალეობა“) ან „Ваша Светлость“ („თქვენო უგანათლებულესობა“).


ფრაგმენტის დასაწყისში ილია ადრესატს ამცნობს, რომ თვით ის და ქართველი ერის სხვა წარმომადგენლები, მივიდნენ მასთან არა ვინმეს სახელით, არამედ გამოხატავენ საკუთარ, საერო პირების თვალსაზრისს, საქართველოს ეკლესიის თვითმწყემსობის საკითხთან დაკავშირებით. შემდეგ, ილია პირდაპირ ამბობს სათქმელს: „(თქვენო ბრწყინვალეობა!) რუსეთის საზღვრებში, ყოველ არარუსს („ინოროდცს“) რწმენის საკითხებში აქვს საკუთარი, დამოუკიდებელი მმართველობა; სომხები, მუსულმანები, ებრაელები და სხვანი, აღმსარებლობის საქმეში თვითონ არიან უფლებამოსილნი. აქვთ საკუთარი სასწავლებლები, რომლებშიც სწავლა მათ მშობლიურ ენაზე მიმდინარეობს; ყოველივე მშობლიურის შესწავლასაც, დიდი ადგილი ეთმობა. ისინი დამოუკიდებლად და თავისთავადად იმართებიან საკუთარი სასულიერო წოდების მიერ, რომლებიც საკუთარი წრიდანვე ყავთ (დადგენილი). უცნაურია, რომ ყოველივე ამ სიკეთეს მოკლებული არიან მხოლოდ და მხოლოდ მართლმადიდებელი ქართველები, თითქოსდა სასჯელად მათი მართლმადიდებლობისა. მხოლოდ მართლმადიდებელ ქართველთა ასეთმა უუფლებობამ, შესაძლოა, წარმოშვას აზრი, რომ ეროვნული თვალსაზრისით, არამომგებიანია, არარუსმა, მართლმადიდებელურ რუსეთში მისდიოს მართლმადიდებელურ აღმსარებლობას. საქმის ასეთი ვითარება, შეიძლება მხოლოდ რაღაც გაუგებრობის შედეგად მივიჩნიოთ, რომელიც მართლმადიდებლობის ინტერესთა საზიანოდ, სამწუხაროდ, უკვე საკმაო ხანს გრძელდება. ასეთი საშინელი მდგომარეობის შემდგომი გაგრძელება, ჩვენი აზრით, მიჩნეულ უნდა იქნეს უდიდეს სახელმწიფოებრივ და რელიგიურ ცდომილებად.

ამიტომაც, წარმოუდგენთ რა განსახილველად თქვენი ბრწყინვალეობის კეთილნებას, ჩვენს შუამდგომლობას საქართველოს ეკლესიისთვის უძველესი დროიდან,

მის წიაღში არსებული ავტოკეფალური მმართველობის დაბრუნების შესახებ, ვიმედოვნებთ, რომ სწორედ ამით აღვასრულებთ მოქალაქის წმინდა მოვალეობას. ასევე ვიმედოვნებთ, რომ იგი დაიმსახურებს თქვენი ბრწყინვალეების ყოველშემძლე მომხრეობას“ [2; საქმე 202, ფ. 12,13,45].

გადაჭრით ძნელია იმის თქმა, ამ სამართლიანი და მკაცრი პათოსით აღსავსე სიტყვით წმიდა ილიამ მეფისნაცვალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვს მიმართა, სინოდის ობერ-პროკურორ თავად ალექსი ობოლენსკის თუ პეტერბურგის მიტროპოლიტ ანტონს (გადკოვსკის). კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე (ცინცაძე) 1937წ. იგონებდა, რომ ილიამ 1905წ. მიტროპოლიტი ანტონიც მოინახულა და სინოდის ახლად დანიშნული ობერ-პროკურორი ალექსი ობოლენსკიც (1905-1906). კათოლიკოს კალისტრატეს მოგონება (იგი თავის მხრივ, ილიას თანმხლები პირის, გ. ჟურულის გადმოცემას ეყრდნობა), გარკვეულწილად ეთანხმება ილიას მოხსენების შემორჩენილ ფრაგმენტს. კალისტრატე ცინცაძე წერდა, რომ ილიას ობერ-პროკურორისთვის უთქვამს: „ამ ქვეყნის და თვით სახელმწიფოს საზიანო მოვლენას ბოლო რომ მოეღოს (იგულისხმება საქართველოს ეკლესიის თვითმწყემსობის გაუქმება, ვ.კ.), ჩვენი ხალხის გულშემატკივარმა შვილებმა წამოაყენეს საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი, რომელსაც, იმედია, ანგარიშს გაუწევთ თქვენცა და თქვენი ინიციატივით მოწვეული საეკლესიო კრების წინასწარი თათბირიც.“[14; 173]

მართებულად მიგვაჩნია ის ვარაუდი, რომ ზემოთ მოტანილი მოხსენების ფრაგმენტი, წარმოადგენს იმ სიტყვის ნაწილს, რომლითაც ილიამ მიმართა სინოდის ობერ-პროკურორ ალექსი ობოლენსკის (იგი ცნობილი იყო თავისი ლიბერალური შეხედულებებით). ეს უნდა მომხდარიყო 1905 წლის შემოდგომაზე, ილიას პეტერბურგში ყოფნის დროს. ამ ვარაუდს ერთგვარად ამაგრებს ის ფაქტი, რომ ილიას ვიზიტით სწვევია (არ ჩანს მხოლოდ როდის), ალექსი ობოლენსკის ძმა, იმპერატორ ნიკოლოზ II-ის კაბინეტის მმართველი, ნიკოლოზ ობოლენსკი. ამ ვიზიტის შესახებ არავითარი ცნობები არ შემონახულა, გარდა ნიკოლოზ



წმიდა ილია მართალი

ობოლენსკის სავიზიტო ბარათისა, რომელიც ილიას პირად ფონდშია დაცული. [2; საქმე 700, 37]

სავსებით შესაძლებელია, დიმიტრი ობოლენსკი შუამავალი იყო სინოდის ობერ-პროკურორსა (ე.ი. საკუთარ ძმასა) და ილიას შორის, საქართველოს ეკლესიის თვითმწყემსობის აღდგენის საკითხებთან დაკავშირებით.

ყველაფრის მიუხედავად, იმ ეტაპზე საქართველოს ეკლესიის აღდგენის ყოველგვარი მცდელობა მარცხით დამთავრდა.

კარგადაა ცნობილი ილიასა და ალექსანდრე ეპისკოპოსის (ოქროპირიძის) ურთიერთობა და მჭიდრო თანამშრომლობა. მიგვაჩნია, რომ ამ ურთიერთობის შესახებ ვერაფერს ვიტყვით და ამიტომ მასზე სიტყვას არ გავაგრძელებთ. [15,47-48]

საეკლესიო მოღვაწეებთან ილიას ურთიერთობის თვალსაზრისით, ძალზე საინტერესოა მე-20 ს. დასაწყისის, ეროვნებით რუსი, მაგრამ ქართველთა დიდი გულშემატკივრის, მღვდლის იონა ბრისნიჩევის

სიტყვა, წარმოთქმული ილიას მუხანათური მკვლევლობის დღეებში. ეს სიტყვა, 1907 წ. 9 სექტემბერს დაიბეჭდა პარმენ გოთუას გაზეთ „ზაკავკაზიში“ და დღემდე მკვლევართა ყურადღების მიღმა რჩებოდა.

წარმოვადგენთ მის ფრაგმენტს, ჩვენს მიერ შესრულებული ქართული თარგმანის სახით:

„არა უწყიან რას იქმან...“

ისტორია აღშფოთებით ჰყვება იმ ველურ ადამიანზე, რომელმაც თავისი სიჩღუნების გამო, სახელგანთქმული ალექსანდრიის ბიბლიოთეკა დაწვა და სხვა მრავალ ამგვარზე, როდესაც გამონჩდა ბარბაროსი ადამიანის მსახვრალი ხელი... ხელი, რომელიც არ ინდობდა ხელოვნების დიად ქმნილებებს.

და აი, ჩვენს წინაშე კიდევ ერთი ველურობა... არა წიგნსაცავია დამწვარი, არა ქანდაკია ნამუსვრალი, არა მხატვრის ტილოა მოსპობილი, მოკლული არამედ დიადი, ცოცხალი კულტურის ძალა... სამუდამოდაა ჩამქრალი სიმართლის დიადი ჩირაღდანი, საკუთარ სისხლშია ჩამხრჩვალის უზარმაზარი კოცონი, რომელიც მრავალი წელი ასულდგმულებდა მშობლიურ მიწას... მოუკლავთ „ხალხის ურყევი მოძმე“ მისი „თანმდევი ჭირსა და ღხინში“; მკვლელის ხელით აღესრულა მსცოვანი პოეტი, კაშკაშა გზის მაჩვენებელი, მთიები, სვეუბედური, დაჩაგრული ქართველი ხალხისა;

დასცეს საქართველოს დიადი მემწუხრე, („великий печальник“) რომელიც მხოლოდ იმაზე ოცნებობდა, რომ ხალხისათვის ცრემლი შეეშრო. მისი ტანჯვით ეტანჯა თვითონ. ტურფა საქართველოვ, აღესრულა შენი მოტრფიალე შვილი, რომელიც ჭმუნვითა და გულწრფელი ცრემლით უმზერდა ბუნებაში გაზაფხულის ყვავილობას და კითხულობდა: „მამულო, საყვარელო, შენ როსლა აყვავდები?!“

დაიღუპა – ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე!..“

თავის ვრცელ, პოეტურ სიტყვას, იონა ბრინხინივე ამთავრებდა ოთხსტრიქონიანი ლექსით; რომელსაც აქვე წარმოგიდგენთ ორიგინალის ენაზე:

„Не говорите нам – он умер, он живёт!

Пусть жертвенник разбит – огонь ещё пылает,

Пусть роза сорвана – она ещё цветет,

Пусть арфа сломана – аккорд ещё рыдает!“

1. აღვნიშნოთ, რომ სავიზიტო ბარათები, როგორც უტყუარი საისტორიო წყარო, პირველად შემოგვაქვს მიმოქცევაში.

2. ეპისკოპოსი სერაფიმე წერდა, რომ ილიას შესახებ მან გაიგო „ვლვ“-ს ნაწერებიდან; ეს აბრევიატურა დღემდე გახსნილი არ იყო. ახლა ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ეს ინიციალები ეკუთვნის ცნობილ პუბლიცისტს და ილიას დიდ მეგობარს ვასილი ღვოვის ძე ველიხკოს; ვ. ველიხკოს პიროვნების შესახებ, მე-19 ს. საქართველოში სხვადასხვა აზრი არსებობდა, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ის იყო ილიას გულწრფელი მეგობარი, თარგმნიდა მის თხზულებებს და ამით მთელ რუსეთის იმპერიას აცნობდა ილიას სახელს.

ისტ. მეცნ. დოქტორი
გაჟა კიკნაძე

ლიტერატურა და წყაროები

1. ავთ. ნიკოლაიშვილი, გაბრიელ ქიქოძე (ცხოვრება და შემოქმედება), თბ. 1990
2. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ყოფილი ხელნაწერთა ინსტიტუტი) ილია ჭავჭავაძის პირადი ფონდი (მოტანილი ფრაგმენტების დაზუსტებული თარგმანი ჩვენ გვეკუთვნის).
3. ოლგა ავლაძე, მოგონება ილიაზე. // ილია (მოგონებები გარდასულ დღეთა), თბ. 1987
4. გაბრიელ ეპისკოპოსი, ქადაგებები, ტ I, ქუთაისი 1913წ. ითვება 1989წ. როტოპრინტული გამოცემა, (შესავალი)
5. გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 1902, 3 მარტი (1741)
6. წმინდა მღვდელმთავარ კირიონ II და აფხაზეთი, კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯ. გამახარიაშვილი, თბ. 2006
7. ჟურნ. „განათლება“ თბ. 1908 3-4
8. გაჟა კიკნაძე, ცხოვრება და დავაწი ეპისკოპოს პეტრე კონჭოშვილისა, თბ. 2003
9. ი. ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება (კრებული), თბ. 1907
10. გაზეთი „ისარი“ 5 და 11 სექტემბერი
11. შ. გოზალიშვილი, „ილია ჭავჭავაძე“. გამოუქვეყნებელი წერილები სასულიერო სემინარიის რექტორისადმი, „მნათობი“ 1957 9
12. ვ. კიკნაძე, კათალიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის ურთიერთობა დასავლეთ ევროპის საერო და საეკლესიო მოღვაწეებთან, საისტორიო შტუდიები III, თბ. 2002
13. შოთა ბადრიძე, ი. ჭავჭავაძე და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი, ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“ 1987 1.
14. კალისტრატე ცინცაძე, მოგონება ილიაზე, ჟურნალი „მნათობი“ 1985 2
15. ელ. ბუბულაშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეკლესიის ზოგიერთი საკითხი // „რელიგია“ 1997 10-11
16. გაზ. „Закавказье“ (редактор-издатель П. Готу)

DEKANOZI GIORGI SXIRTLAZE

~ KURTXEVA UFLISA CVENZEDA~


– ყოველი მართლმორწმუნე ადამიანი მოძღვრისაგან, სასულიერო პირისაგან, გამოითხოვს ლოცვა-კურთხევას; გთხოვთ, განგვიმარტოთ მოძღვრის ლოცვა-კურთხევის მნიშვნელობა.

– კურთხევას დიდი ძალა აქვს, რადგან კურთხევა, პირველყოვლისა, მოდის ღვთისაგან, როგორც ზეციური მამისაგან, რომელიც განასახიერებს აბსოლუტურ, სრულ კურთხევას. და თვითონ სახარებაც თავისთავად კურთხევაა; ღვთისაგან ორი კურთხევა, ორი წიგნია: ეს არის ღვთის ქმნილი ხილული სამყარო, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით და პირველყოვლისა, რა თქმა უნდა – წმიდა წერილი, რომელიც არის ღვთის სიტყვა, ღვთის ხატება, ჩვენთვის სიტყვაში გამოგზავნილი, ადამიანებისადმი აბსოლუტური თვითგამოცხადება ღვთისა ანუ კურთხევა ადამიანებისადმი: თუ როგორ იცხოვრონ, რა კანონებს დაემორჩილონ, როგორ სრულიყვნენ, რა არის ადამიანთა ცხოვრების საზრისი და რა კურთხევა უნდა შეასრულონ მათ, რათა „განდმრთობას“ „თეოზისს“ დაექვემდებარონ და გახდნენ უკეთესნი, წარჩინებულნი და მსგავსნი ზეციურ მამისა.

ღმერთი გახდა კაცი, რათა ადამიანი განიდმრთოს; უფალი სრულ კაცად იშვა, რათა ადამიანი სრულად მიემსგავსოს ღმერთს და იქმნას სრულ, ვითარცა მამა ზეცათაჲ არის სრულ; ღმერთმა ადამიანს მისცა კურთხევა, რათა მადლის მიერ ღმერთს მიემსგავსოს. ღვთის აბსოლუტური თვითგამოცხადება მოასწავებს მართლმადიდებლური მოძღვრების შეუმცდარ სწავლებას, ანუ იმის კურთხევას, თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ, სად ვეძებოთ ბედნიერება, როგორ ვეძიოთ გზა ხსნისა და როგორ აღვასრულოთ კურთხევა – რასაც ზეციური მამა გვაძლევს; მაშასადამე, კურთხევა უფლისა ჩვენზედა არის მაშინ, როცა ჩვენ ღვთის ნებას ვასრულებთ.

ჩვენთვის ცნობილია ზეციური, მოზეიმე ეკლესიის იერარქია, სადაც უფლის შემდეგ იხსენიება ღვთისმშობელი, ანგელოსთა ცხრა დასი, და ჩვენთან ყველაზე ახლო

მდგომი, ჩვენი მფარველი, მცველი ანგელოზი; ხოლო ხილული, მიწიერი ეკლესიის იერარქია კი, რომელსაც მებრძოლი ეკლესია ეწოდება, შედგება: პატრიარქისაგან, შემდგომ, მიტროპოლიტი იხსენიებიან, ეპისკოპოსები, მღვდლები, დიაკვნები და ერი. ამიტომ, როგორც ზეციურ, მოზეიმე ეკლესიაში, ღვთის კურთხევა აქაც, ამქვეყნიურ, მებრძოლ ეკლესიაში, იერარქიის მიხედვით განივრცობა. იერარქიული კურთხევა უნდა შესრულდეს მამამთავრის მიერ ეკლესიის მამებზე და შემდეგ, მათი ლოცვა-



დეკანოზი გიორგი (სხირტლაძე)

კურთხევით, განივრცობა ერზე. ამის უამრავი მაგალითი არსებობს, როგორც ძველ, ასევე ახალ აღთქმაში. ძველ აღთქმაში მრავალი წინასწარმეტყველებაა ქრისტეს შესახებ, რომლებიც უხილავი, სიმბოლური, ზოგჯერ პირდაპირი თუ ირიბი მითითებით გვაუწყებენ მასზე, თუ როგორ შეასრულებს მომავალში ზეციური მამის კურთხე-

ვას მხოლოდშობილი ძე, რომელიც თავად არის კურთხევისა და მორჩილების სრულყოფილი სახე. ძე ღვთისა ზეციური მამის კურთხევას ასრულებს. თუმცა კი მამა და ძე ერთია, მაგრამ მაცხოვარი ზეციური მამის კურთხევას ასრულებს და ჩვენ გვაძლევს მაგალითს, როგორ უნდა დავემორჩილოთ უფალს, როგორ უნდა დავემორჩილოთ საეკლესიო იერარქიას და ამით განდმრთობაში მონაწილეობის საშუალება გვეძლევს.

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი არც მეტაფორებია და არც მხატვრული შედარებები. ნებისმიერ საქმეში ჩვენ მუდამ უნდა გამოვიტხოვდეთ უფლის კურთხევას და უნდა გვწამდეს, რომ მხოლოდ კურთხევით გაკეთებულ საქმეს ექნება წინსვლა; მოძღვარს უნდა დავალოცვინოთ ჩვენი საქმეები და წამოწყება – სულიწმიდის მადლს უნდა ვუხმოთ და მაშინ, ჩვენი ცდა სწორად და წარმატებით წარემართება. კურთხევის შეუსრულებლობა კი ადამიანს ბოროტ სულს მიამსგავსებს, რომელიც თავდაპირველად ანგელოზი იყო და ზეციური მამის კურთხევას ასრულებდა; ხოლო ამპარტავნების გამო, როდესაც მან აღარ შეასრულა კურთხევა – ეშმაკად და დემონად იქცა. და თუმცა კი ძალები შერჩა, მაგრამ ანგელოზებრივი ხარისხი დაკარგა და დაცემულ ანგელოზად იქცა. ამდენად, რაც არ უნდა „მშვენიერი“ და „წარმატებული“ ჩანდეს ადამიანი ამქვეყნიურ საქმეებში, ეს ყოველივე დროებითია და მისი მიწიერი საქმეები ჟამგრძელი ვერ იქნება, არამედ მიემსგავსება ბოროტ სულს.

დღევანდელ, პოსტსაბჭოთა სივრცის ქანცვაწვევტილ, სასოწარკვეთილ და სულიერად უსახლკარო საზოგადოებაში, უსასოობის, უკურთხებლობის და ღვთისაგან მოშორებულობის, ეგოცენტრიზმისა და თვითიზოლაციის ინსტიტუტები აღიძვრება და შეუგნებლობა იმისა, რომ ღვთისა და პატრიარქის, მოძღვრის გარეშე, ხსნას ვერ იპოვის ვერც ცალკეული ინდივიდუმი, ვერც საზოგადოება და ვერც ერი – ეს განსაკუთრებით გასაცნობიერებელია.

რობოტი, გაუცნობიერებელი არსებაა, რომელსაც თავისუფალი ნება არა აქვს და მექანიკურია. პირიქით, ღვთის კურთხევები კი გაცნობიერებული აუცილებლობა უნდა იყოს, – „იყავით ბრძენ, ვითარცა გველნი და უმანკო, ვითარცა მტრედნი“...


ბედნიერება პრაგმატულ გამოყენებაში კი არ უნდა ჩავდოთ და ყოველი ჩვენი ძალისხმევა მისკენ კი არ უნდა წავმართოთ, არამედ – ვეძიებდეთ პირველ რიგში „სასუფეველსა ცათასა და სიმართლესა მისსა“, გვასწავლის წმიდა წერილი. ამიტომ, ყველა ადამიანმა შეგნებულად უნდა გაიაზროს თუ რას ეუბნება ეკლესია, უპირველესად – უფალი, შემდეგ სასულიერო პირი, – შენი მოძღვარი და შემდეგ გაცნობიერებულად უნდა შეასრულოს ღვთის კურთხევა.

– მოძღვრის, წინამძღვრის, მორჩილების სულიერი სიხარულის განცდა, რომელიც ქრისტიანს ეკლესიური ცხოვრების დასაწყისში ეუფლება და რომელთა შესახებაც მამათა ცხოვრებაში აღმოვიკითხავთ – ხშირად ნელდება. რატომ იკარგება მორჩილების სიხარულის განცდა?

– იმიტომ იკარგება, რომ პიროვნებას თავისუფალი ნება აქვს მიცემული და ის, რომელიც ამ თავისუფალი ნებით ღვთის კურთხევას არ ასრულებს, ანუ წაღმა არ იყენებს მის ნებას და ღვთის ხატად და მსგავსად მიცემული თავისუფალი ნებით, საღვთო გზით კი არ მიემართება, არამედ უკუღმა იყენებს და საკუთარ ნებას ასრულებს. განკაცებული სრული კაცი, სრული ღმერთი არის ის იდეალი მორჩილებისა, ჯვარცმული სიყვარულისა, საიდუმლოებრივ მორჩილებისა, რომელსაც ჩვენ უნდა მივემსგავსოთ.

უნდა ვიცოდეთ, რომ ღმერთი პიროვნებაა და პიროვნებადვე შექმნა ადამიანი, მშობელიც პიროვნებაა და პიროვნებაა ბავშვიც, ანუ მორჩილება და კურთხევის შესრულება მხოლოდ პიროვნებას შეუძლია, რაღაც სტიქიას, უპირო აბსოლუტს კი არ ქადაგებს ქრისტიანობა, მიუწვდომელ ღვთაებას, რომელიც სხვადასხვა არაქრისტიანულ რელიგიებში გვხვდება, არამედ, ქრისტიანობა პიროვნულ ღმერთს ქადაგებს, რომელთანაც ჩვენ პიროვნებათშორისი ურთიერთობა გვაკავშირებს, ანუ აქ არის პიროვნება ღვთისა და პიროვნება ადამიანისა.

ჩვენ ვამბობთ „მამაო ჩვენო“ ლოცვისას „იყავნ ნება შენი“, ხომ არ ვამბობთ – იყოს ნება ჩემიო. ლოცვა „მამაო ჩვენო“ მამაშვილური წმიდა ურთიერთობის იდეალური მაგალითია. ერთი წმიდა მამა ამბობს, რომ გამოთქმაში „მამაო ჩვენო“ გამოცხადებულია ღმერთის ყველაზე შინაგანი სახელი.



როდესაც მღვდელი გვაკურთხებს (გვლოცავს), მაშინ იგი თითებს ისეთნაირად აწყობს, რომ გამოისახება სიტყვა: იესო ქრისტე. ეს ნიშნავს, რომ მღვდლის მეოხებით თვით უფალი ჩვენი იესო ქრისტე გვლოცავს, გვაკურთხებს. ამიტომ მღვდლისაგან ლოცვა-კურთხევა კრძალვით უნდა მივიღოთ.

ღმერთი როგორც მამა არც ერთ რელიგიურ სწავლებაში არ არის ისე გამოცხადებული, როგორც ეს „მამაო ჩვენოში“. თუ ჩვენ „მამაო ჩვენოს“ ბოლომდე გავიგებთ – მთელ სახარებას გავიგებთ. ლოცვაში „მამაო ჩვენო“ აბსოლუტურად მოცემულია მამაშვილური ურთიერთობის ზუსტი სახე და ხატება. ეს ლოცვა არის ხატება ღვთისა, ხატება ქრისტიანული სწავლების ღვთივამოცხადებული ურთიერთობის, სრულყოფილი, ჰარმონიული ურთიერთობისა: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა, პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს...“ ზუსტად ასევე სთხოვს შვილი მიწიერ მშობელს პურს, ანუ საზრდელს; სთხოვს და ევალება კიდევაც მიცემა ბიოლოგიურ მშობელს, რომელიც ასევე პატივისცემადი არის და უნდა იყოს – „პატივი ეცი მამასა შენსა და დედასა შენსა...“ ანუ ბიოლოგიური მშობლების პატივისცემაზეა ლაპარაკი, რომელიც ხატი არის ზეციური მშობელისა; ანუ ეს არა მარტო რაღაც ბიოლოგიური საწყისია, არამედ მოასწავებს ზეციური საწყისის ხატებას. ამიტომ, გამომდინარე აქედან, იმ ანარეკლსაც

უნდა ვსცეთ პატივი. ყოვლადწმიდა სამება არის ღვთაებრივი სიყვარულის მაგალითი – მამა უშობელია, ძე შობილი, სულიწმიდა მამისაგან გამოვალს, ეს არის ღვთაებრივი სიყვარულის საიდუმლო; ჯვარცმული სიყვარული, რომელიც ვლინდება ყოვლადწმიდა სამების გამოცხადებაში, სახარებისეულ გამოცხადებაში: მასში არის მორჩილებითი, მამაშვილური, ქრისტესა და მამაღმერთის და სულიწმიდის დაულევნელი სიყვარულებრივი კრება. ეს დიალოგი ზოგჯერ ცხადად გამოჩნდება ხოლმე სახარებაში, ზოგჯერ – დაფარულად; მაგალითად, გეთსემანიის ბაღში ცხადად ჩანს რომ იყოს ნება არა ჩემი, არამედ ნება შენი, – პირდაპირ ჩანს ის სიყვარულებრივი ძალაუფლება მორჩილებისა, სადაც არავითარი ორაზროვნება არ არის, არავითარი ღალატი, არავითარი გაორება, არავითარი ეჭვი. ამიტომ, ჩვენ რა თქმა უნდა, ამხელა სიყვარულს ვერ მივსწვდებით, მაგრამ ჩვენ უნდა ვეცადოთ. ყოვლადწმიდა სამების საიდუმლო, – ეს ის ხატია, რომელიც ჩვენი სარწმუნოებისდა მიხედვით, თანდათან იხსნება ჩვენს წინაშე, როგორც დახურული კარედი თანდათან იხსნება დღესასწაულებზე. ზუსტად აი ეს ღვთაებრივი დიალოგი, ღვთაებრივი კრება, მორჩილებითი სიყვარული, რომელიც სუფევს ერთარს სამგვამოვან ღმერთში. ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ



როცა ტაძარში საზოგადო კურთხევის სიტყვები გვესმის: „მშვიდობა ყოველთა“ თუ სხვა, მაშინ მათ საპასუხოდ თავი უნდა მოვიდრიკოთ, პირჯვარის გადაუწერლად; ხოლო თუ კერძოდ, ჩვენთვის გესურს ლოცვა-კურთხევის მიღება ეპისკოპოსისაგან, ან მღვდლისაგან, მაშინ ხელები ჯვარის სახით უნდა დაგაწყოთ, ხელისგულებით მაღლა. კურთხევის მიღების შემდეგ, ჩვენ მაკურთხეველს ხელზე უნდა ვემთხვიოთ, – ვემთხვევით მას, ვითარცა თვით მაცხოვრისა ჩვენისა უფალ იესო ქრისტეს უხილავ ხელს.

ქრისტიანობა ეს მონოთეიზმი, ეს არ არის რაღაც პოლითეიზმი ან სამღმერთიანობა, ნუ იქნება ასე; ქრისტიანობა – ეს არის აბსოლუტური მონოთეიზმი, რომელიც არის მკაცრი, ოღონდ ტრიმიტარული მონოთეიზმი, მონოთეიზმი სამგვამოვანი ღმერთისა. ეს ახალი გამოცხადებაა კაცობრიობისათვის, სრულიად ახალი, აბსოლუტური თვითგამოცხადება ღვთისა. ყველას ერთნაირი თავი აბია, ხელები, ყურები, ცხვირი, თვალები და გრძნობის ხუთი ორგანო, მაგრამ ყველა განა ერთნაირად ხედავს? ერთნაირად გრძნობს? ერთნაირად იყნოსავს? და ერთნაირად ესმის ყველას მორჩილება? – რა თქმა უნდა არა; ყველას სხვადასხვანაირი გული აქვს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ სხვადასხვანაირი გული თუ აქვს და სხვადასხვანაირი გარეგნობა, ერთს ვეალება სიყვარულებრივი მორჩილება ღვთისა, მამამთავრისა, ეკლესიისა და მეორეს არ ვეალება, ამიტომ ეს ყველასათვის არა სასურველი, არამედ სავალდებულოა.

ისევ და ისევ უნდა ითქვას მშობლების თემაზე, მშობლების ღოცვა-კურთხევის შესრულებაზე – მშობლის ღოცვა-კურთხევის შესრულება უპირატესია და შვილმა უნდა შეასრულოს მშობლის კურთხევა; ოღონდ ისეთი, რაც ღმერთს არ აშორებს; რაც მთავარია ადამიანმა უნდა ისწავლოს სიყვარულით კურთხევის შესრულება, უსიყვარულოდ კი კურთხევების შესრულება არ და ვერ შეიძლება.

მთავარია ქრისტესმიერი სიყვარული, ხოლო მსხვერპლის კანონი კი არ უნდა დაგვაიწყდეს, როდესაც ადამიანი ასრულებს კურთხევას, – გარკვეულად თავის თავს მსხვერპლად იღებს, ანუ თავის ეგოცენტრიზმს სწირავს, იმიტომ რომ როდესაც ვასრულებთ მოძღვრის ღოცვა-კურთხევას, ეს მოძღვრის მსახურება კი არ არის, არამედ – ღვთისმსახურებაა, რომლის დროსაც ადამიანი თავის ძალისხმევას წირავს, რათა მეტი მიიღოს და უკეთესი გახდეს.

თუ გვინდა, ჩვენ ვისწავლოთ უფლის სიყვარული, მოძღვრის, პატრიარქის, ეპისკოპოსის, თუ საერთოდ, სასულიერო პირის სიყვარული და თუნდაც მოყვასის სიყვარული, – უნდა დავიწყოთ ამ სიყვარულის სწავლა მორჩილებით, ანუ უფლის კურთხევის შესრულებით, მოძღვრის კურთხევის შესრულებით, მშობლის კურთხევის შესრულებით, ჩვენი ძმისა და დის დადები-

თი რჩევისა და კეთილი აზრის გათვალისწინებით.

მაგრამ მშობელს იმაში უნდა დაემორჩილო, რაც ღმერთს არ გაშორებს; ხოლო თუ რაღაცა აბსურდულს გეუბნება – იმაში არ უნდა დაემორჩილო; თუ ადამიანი ისეთ რამეს გეუბნება, რაც ღმერთს გაშორებს და განადგურებისკენ გიბიძგებს, ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, არ უნდა დაემორჩილო. სხვა შემთხვევაში კი თუ გინდა რომ შეისისხლხორცო ის, რისთვისაც ეს მორჩილებაა გამიზნული, კურთხევის შესრულება გმართებს, დიდი სიყვარულითა და სულიერებით.

განუსახლვრელია ღვთის მორჩილება, განუსახლვრელია ღვთის წყალობა, განუსახლვრელია მცნება – „არა მნებაეს სიკვდილი ცოდვილისა არამედ მოქცევა და ცხოვრება მისი“; და ეს თითქმის სამყაროს უდრის, ეს სამყაროს ტოლი მცნებაა, მაგრამ კონკრეტულად ჩვენს განგებულებაში, ჩვენს ჯვარისმტვირთველობის პროცესში, ეს კურთხევა როგორ სრულდება ამა თუ იმ ადამიანზე კონკრეტულად – ეს უკვე ჩვენი ცხოვრების განზომილებაში, ჩვენი ცხოვრების მოვლენათა სპექტრში უნდა დავინახოთ.

სიბრძნე ღვთისა და მორჩილება ღვთისა გვიცხადდება ჩვენ ეკლესიის და ეკლესიის მამების პირით, ვაი, იმ ადამიანს, ვინც არ შეასრულებს ღვთის კურთხევას და ამით თავის თავს უმტრობს.

კურთხევის შესრულება ნიშნავს იმას, რომ შეიცვალა. არ შეიძლება, რომ ადამიანი ასრულებდეს ღვთის მცნებებს, ღვთის კურთხევას და იგივე დარჩეს, ანუ ძველი კაცი დარჩეს. იგივედ დარჩენა, ეს უკვე უკან სვლა არის; ადამიანი უკეთესი უნდა ხდებოდეს. თუ ჭეშმარიტებას შეიცნობ და ღვთის კურთხევას შეასრულებ, ეს აუცილებლად ნიშნავს იმას, რომ შენი სულიერი ჰორიზონტი გაფართოვდა, მოგეცა საშუალება იმისა, რომ გახდე ღვთისაკენ მიმავალი ხიდი.

– როგორია საპატრიარქო მსახურება, რას გულისხმობს წოდება საჭეთმყრობლისა, მწყემსმთავრისა?

ჯერ კიდევ ძველი აღთქმის პატრიარქები, ქრისტეს განასახიერებდნენ, მოასწავებდნენ ქრისტეს და რა თქმა უნდა, ახალი აღთქმის პატრიარქები მითუმეტეს მოასწავებენ მას. პატრიარქი, როგორც გამგრძელები

ბელი ეკლესიისა, როგორც მაკურთხეველი, ეკლესიის საჭეთმპყრობელი, ჩვეულებრივი, საერო ენით რომ ვთქვათ, საეკლესიო ხელისუფლების პირველი და გვირგვინოსანი ფიგურაა. თქვენ იცით, რომ მეფე ეს არის გვირგვინოსანი ფიგურა, მირონცხებული, მაგრამ პატრიარქი უფრო მაღალი რანგის ხარისხია. ანუ მეფის კურთხევის წესს თუ გადავხედავთ, ჩვენ იქ ვნახავთ, რომ მეფეს პატრიარქი აკურთხებს ანუ მეფე პატრიარქის წინაშე მუხლებზე დგება, მირონს პატრიარქი აცხებს და პატრიარქი აზიარებს მას, როგორც სამღვდელ პირს ტრაპეზთან საკურთხეველში. ამით იმის თქმა მინდა, რომ პატრიარქი არის გვირგვინოსანი მეფეზე უფრო მაღალი რანგის გვირგვინოსანი ხარისხის პიროვნება, რომელიც არის არა ვინმე კეისარი, ან პაპი, ან დიქტატორი, ერთპიროვნული მმართველი, ტირანი, ან უზურპატორი – ნუ იქნება ასე! არამედ, იგი არის სიყვარულებრივი მამა, სიყვარულებრივი აღმზრდელი, პატრიარქი არის ის სულიერი მშობელი, აღმზრდელი მამა, რომელმაც უნდა გამოიყვანოს ერი ცოდვის ლაბირინთებიდან; მითუმეტეს, დღევანდელ, პოსტსაბჭოთა სივრცის დროში მყოფი პატრიარქი არის ის პიროვნება, რომელმაც სულიერი უსახლკარობით გზაბნეული ცხვრები ცოდვის უდაბნოდან უნდა გამოიყვანოს, როგორც მოსემ ორმოცი წელი ატარა ებრაელები უდაბნოში და გამოიყვანა აღთქმულ ქვეყანაში. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მოსემ აღთქმულ ქვეყანაში ახალი თაობა შეიყვანა, რაც ძველ აღთქმაში მოასწავებს იმას, რომ სანამ ჩვენში ცოდვები არ მოკვდება, არ აღმოიფხვრება, მანამდე ჩვენთვის ეს პროცესი შრომატევადი და მტკივნეული იქნება. პატრიარქი ცდილობს, რომ თანდათანობით გამოაჩინოს, დადგეს შუაში, თავისთავზე მიიღოს ის პირველი დარტყმები, რომლებიც ყოველთვის დიდ ტანჯვასა და დიდ ბრძოლებთან არის დაკავშირებული. პატრიარქი, ეს არის მოძღვარი და ერი სულიერი განთავისუფლებისაკენ მიჰყავს, რომელიც ჭეშმარიტების შეცნობაში გვეხმარება – „ჭეშმარიტებამან განგანთავისუფლოს თქვენ“. პატრიარქი არ არის მაგიურ-საკრალური ფიგურა; ქრისტიანობა არ არის მაგიური რელიგია, როგორც ეს არის

ბუდიზმი; ტიბეტის პატრიარქი, რომელიც, დალაილამად არის წოდებული, მაგიური ფიგურაა. პატრიარქი არის ის, ვინც, ღვთაებრივი სიბრძნით ადამიანებს მოუწოდებს თვითკონტროლისაკენ, ასკეტური შეზღუდვისაკენ; იგი აძლევს იმ სიბრძნეს, რომლითაც აუცილებელი და შესაძლებელი ხდება ჯვარით, მსხვერპლით, მორჩილებით განწმენდა ერისა და ცალკეული ინდივიდუუმისა. ვაი იმას, ვინც არ შეასრულებს პატრიარქისა და სამღვდელოების კურთხევას და ეცდება მხოლოდ და მხოლოდ თავის საკუთარი თვითმორჩილებით, თავისი ადამიანური სიმართლით, ადამიანური თავისუფლებით, ადამიანური კმაყოფილებით აღიჭურვოს. ასეთ ადამიანს ღმერთი აღარ სჭირდება და იგი თვითმორჩილებაშია, ხოლო სადამდე მიგვიყვანა თვითმორჩილებამ და კერპთაყვანისმცემლობამ, ის წითელმა ატლანტიდამ გვიჩვენა. რომელიც ჯერ კიდევ იძირება და ჯერ კიდევ უამრავი პოსტნაძირვის დესტრუქციული პროცესები ჩანს, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ჭეშმარიტად მართლმადიდებლურად რელიგიური ერი არის ის ერი, რომელიც გამოხატავს მორჩილებას თავისი მწყემსმთავრის წინაშე; ნამდვილად რელიგიური და მორჩილი ერი არის ის, რომელიც ცდილობს შეიმეცნოს პატრიარქისა და სამღვდელოების სიტყვებში ის ოკეანე, სიმდიდრე, სიბრძნე ღვთაებრივი გადარჩენისა, ხელოვნება იმ გზისა, რასაც მართლმადიდებელი სარწმუნოებით, მართლად ცხოვრება ჰქვია.

გუსურვებ ჩვენს ერს ქრისტიანული ჯვართმტვირთველობის რთულ და სახიფათო გზაზე განთავისუფლებას სიამაყისაგან, ამპარტავნებისა და ქაოსური ინსტიტუტებისაგან. ვისურვებდი, რომ გამოგვეტანოს მორალი ისტორიული გამოცდილებიდან და შეგვეცნოს სახარებისეული სწავლება, ქრისტეს ჯვართმტვირთველობის შესახებ. განვთავისუფლებულიყავით უცოდინარობისა და უსიყვარულობის შედეგად გამოწვეული შინაგანი წინააღმდეგობებისაგან, რათა მოვიპოვოთ ქრისტიანული სიმშვიდე და გზა გაგვეხსნას ღვთის სადიდებლად და სულის საცხოვნებლად. ამინ!

საუბარი ჩაიწერა
მარიამ ნიაურმა

IRUMENIA QETEVANI (KOPALIANI)

~ RMERTI, SAMSOBLO, ADAMIANI ~

უწმიდესა და უნეტარეს ილია II-ს

წმიდა ილია მართალი გვამცნებს:
წინაპართაგან ღვთაებრივიო
სამი საუნჯე დაგვრჩა ქართველებს:
„მამული, ენა, სარწმუნოება“...
და თუ ამათაც არ ვუპატრონეთ,
რა პასუხს გავსცემთ ჩვენს შთამომავლებს.

* * *

მთის ჩანჩქერივით ხმობს და ღაღადებს
კათალიკოსის ხმა-მადლიანი,
ნუ დაივიწყებთ, მარად გახსოვდეთ –
„ღმერთი, სამშობლო, ადამიანი.“

ღმერთი – გამჩენი ცისა და ქვეყნის,
ყოველის ხილულის და უხილავის,
მარადიული, უცვალებელი,
წყარო ცხოვრების და უკვდავების.

სამშობლო ჩვენი – ღვთივკურთხეული,
ქრისტიანობის ბურჯი, აკვანი,
წმიდა ნინოს ნათელღებულის,
გმირ წინაპართა ძვალთშესალავი.

ადამიანი – ხატება ღმერთის,
ხორცი მოკვდავი მიწად იქცევის,
სული უკვდავი ღვთის შთანაბერი,
კვლა უბრუნდება შემოქმედს ქვეყნის.

ენა ქართული – ღვთივდამარხული,
ღვთის ვენახია, ვახის ნაჟური,
ერის სულთქმაა ცრემლდანამული,
იავნანაა სხივმოქარგული.

როს გათენდება „ღამე-მზიანი“,
განიხვნიბიან ცანი-ცისანი,
აღდგებიანო მკვდარნი საფლავით,
განახლდებო ადამიანი.

ზეცით მოვიდეს ღმერთი დიდებით,
იესო ქრისტე, ყოველისმპყრობელი,
არა განმართლდეს მაშინ ყოველი,
მართალთ მიაგოს სასუფეველი.

საქართველოში ყოველი გოჯი
გაპოხილია წამებულთ სისხლით,
მეფისა ვახტანგ გორგასლის სიტყვით:
„ეძიებდითო ქრისტესთვის სიკვდილს.“

ასიათასი ერთ დღეს მომწყდარი –
თბილელთა სისხლით იღება მტკვარი,
არ დაუტევს სჯული ქრისტესი,
ზეცად იშვებენ აწდა მარადის.

კათალიკოსის ლოცვა-კურთხევით,
ყოველი სული განათლდებოდეს,
ერი ერობდეს, ბერი ბერობდეს,
ერთსულოვნება გამეფდებოდეს.

ერის ბერმუხავ, გორგასლიანო,
დავითიანო, თამარიანო,
უფლისციხეო, ლომებრ მზირალო,
ოქროპირივით ბაგემზიანო.



მთის ჩანჩქერივით ქუხს და ღაღადებს,
კათალიკოსის ხმა-მადლიანი –
ნუ დაივიწყებთ, მარად გახსოვდეთ,
„ღმერთი, სამშობლო, ადამიანი“.

ARHITEKTORI ANATOLI KALGINI

მონასტრის ილუმენია ქეთევანის ლოცვა-კურთხევით, გასრულდა ცნობილი არქიტექტორისა და სამთავროს ფერისცვალების ტაძრის რესტავრატორის, ანატოლი კალგინის საფლავის განახლება (ანატოლი კალგინი და მისი მეუღლე განისვენებენ სამთავროს მონასტრის ეზოში).

მკითხველს შევახსენებთ ქართული არქიტექტურის თვალსაჩინო წარმომადგენლის ვინაობას და მის შესახებ წმიდა ექვთიმე ღვთისკაცის (თაყაიშვილის) მოგონებას – (რედ.)

ცნობილი არქიტექტორი ანატოლი ნიკოლოზის ძე კალგინი დაიბადა 1875 წელს ვლადიკავკაზში. 1900 წელს დაამთავრა პეტერბურგის სამოქალაქო ინჟინერთა ინსტიტუტი. 1907წ. იგი თბილისში დასახლდა და თავისი ცხოვრება-მოღვაწეობა სამუდამოდ დაუკავშირა

რომლის რეკონსტრუქციის ვარიანტიც მანვე შეადგინა;

ათი წლის შემდეგ წმიდა ექვთიმე თაყაიშვილმა ტაო-კლარჯეთში მოაწყო ექსპედიცია და სამუშაოდ კვლავ მიიწვია ანატოლი კალგინი. ამ ექსპედიციაში მან ქართული ხუროთმოძღვრების კვლევით-სათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობის განაზომები შეასრულა, რომლებიც X–XI საუკუნის ძეგლების: ოშკის, ხახულის, იშხანის შესასწავლად, ერთადერთ გრაფიკულ დოკუმენტად არის მიჩნეული.

ანატოლი კალგინის მეუღლე იყო დარია კონსტანტინეს ასული ვედრებისელი (1875-1925). მისი წინაპრები ტამბოვის გუბერნიის ტახტის აზნაურები იყვნენ. დარიას პაპამ, მინა მალიევმა, ცოლად შეირთო ციციშვილის ქალი და მათი შთამომავლობა გაქართველდა, ისინი



არქიტექტორი ანატოლი კალგინი და მისი მეუღლე დარეჯან ვედრებისელი – კალგინისა

ქართულ კულტურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებას; ამავე წელს მან მონაწილეობა მიიღო წმიდა ექვთიმეს (თაყაიშვილი) ექსპედიციაში, არტან-ოლთისის ოლქებში – გაზომა მანამდე შეუსწავლელი: ტაოსკარის, კალმახის, ბობოსგირის, კერკლუხის, ვინეპოსის, ოლთისის ეკლესიები და ფანასკერტის ციხე და სხვა, რომელთაგან მთავარი იყო ბანას ცნობილი ტაძარი,

ქარელის რაიონში სახლობდნენ. დარია მ განათლება ბაქოში მიიღო; იგი წერდა საბავშვო მოთხრობებს, სადაც ქართული ცხოვრების სინამდვილეს აღწერდა.

ახალი ქართული ხელოვნების ისტორიაში ანატოლი კალგინის შემოქმედებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ქართული ხუროთმოძღვრების თვალსაჩინო ძეგლია მის მიერ შესრულებული თბილისის სათავადაზნაურო – საადგილმამულო ბანკის

შენობა, რომლის პროექტი მან მხატვარ ჰენრიკ ჰრინგესკისთან ერთად განახორციელა. ამ პროექტმა დიდი გავლენა იქონია ეროვნული ხუროთმოძღვრების ფორმების აღორძინებაზე. ამასთანავე, აღსანიშნავია ანატოლი კალგინის პედაგოგიური მოღვაწეობა; იგი 1922 წლიდან თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი იყო, ხოლო 1930 წლიდან გარდაცვალებამდე – ინდუსტრიულ ინსტიტუტში სპეციალურ საგნებს ასწავლიდა. საბჭოთა წლებში კალგინის უმთავრესი ნაწარმოები იყო ზაჰესის ხუროთმოძღვრული ძეგლი.

ანატოლი კალგინი გარდაიცვალა 1943 წელს, თბილისში, დაკრძალულია მცხეთის სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერში, ფერისცვალების ტაძრის სამხრეთით.

* * *

წმიდა ექვთიმე ღვთისკაცის (თაყაიშვილის) მოგონება

არქიტექტორ ანატოლი კალგინზე:
(„რჩეული ნაშრომები“ ტ.1.თბ. 1968., გვ.366-367.)

„...მინდა ორიოდ სიტყვით გავიხსენო, აგრეთვე, არქიტექტორი ანატოლი კალგინი, რომელსაც თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის ჩვენი კულტურის წინაშე. იგი ძალიან ნიჭიერი არქიტექტორიც იყო, საერთოდ, სერიოზული მუშაკიც და, კერძოდ, ძველი ძეგლების შესწავლა-გამოცემაშიც ნაყოფიერად მონაწილეობდა. ცოლად ჰყავდა ქართველი ქალი, რომელიც ვედრებისელის ფსევდონიმით მწერლობდა (საბავშვო ჟურნალებში ბეჭდავდა და, თუ არ ვცდები, სოფელ ყინწვისიდან იყო). საერთოდ საქართველოსა და მისი კულტურისადმი დიდი, საქმიანი პატივისცემით იყო გამსჭვალული კალგინი და ეს არ უნდა დავივიწყოთ.

1917 წელს რომ წავედი ტაო-თორთუმისპირში, ექსპედიციაში, სხვათა შორის, მხატვრებად წავიყვანე ლადო გუდიაშვილი (ახლა რომ ცნობილი მხატვარია) და მიხეილ ჭიაურელი (ახლა რომ ცნობილი კინორეჟისორია), ხოლო არქიტექტო-

რად – კალგინი. საერთოდ ხომ, თავისი საქმის ოსტატი იყო და იქაც ისე კარგად იმუშავა... მანამდე ჯერ კიდევ პ. უვაროვას დავალებით ვიყავით მე და ის, ბორჯომთან რომ დაბაა და იქ ერთი კარგი ძველი ეკლესიაა, იმის გადმოსაღებად.

ჩვენი საადგილმამულო ბანკი რომ გაიზარდა და ნიუთიერად მოღონიერდა, გამგეობამ გადაწყვიტა, საკუთარი შენობა აეგო მისთვის. მეც ვიხელთე დრო და შევიტანე წინადადება, რომ ქართული სტილის ნაგებობა აეშენებინათ: თბილისში არცერთი ქართული შენობა არ იდგა და ასეთ შემთხვევას კიდევ როდისღა ვიშოვნდით? ისიც ვუთხარი, რომ ბანკის ხარჯით გაგვეზავნა მხატვარი და ხუროთმოძღვარი, რათა მათ დაეველოთ საქართველოს თვალსაჩინო ძეგლები, ჩაეხატათ – საუკეთესო გეგმისა და ორნამენტის ნიმუშები და მერე ამათ მიხედვით აშენებულიყო სახლი. ამ აზრს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს თავმჯდომარემ, გრუზინსკიმ, ერთ-ერთმა დირექტორმა



ეროვნული ბიბლიოთეკის პირველი კორპუსი



I რიგი: დავით კარიჭაშვილი, ჰენრიკ ჰრინგესკი, ექვთიმე თაყაიშვილი, დიმიტრი ერმაკოვი, სერგი გორგაძე (მათ წინ გრიგორ კეპინოვი); ზედა რიგში: პირველი – ანატოლი კალგინი, მეხუთე – იაკობ ნიკოლაძე, მეექვსე – სიმონ კლდიაშვილი და სხვები.

(გვარი აღარ მაგონდება; ის მერე ილიამ გააგდო ბანკიდან) და სხვებმაც. დიდი დავიდარაბა შეიქნა, მაგრამ ბოლოს მაინც გავიტანე ჩემი. მომცეს 3.000 მანეთი და გავგზავნე კალგინი და კიდევ ერთი მხატვარი. მივუთითე, თუ რომელი ძეგლები მოენახულებინათ. მათ შორის იყო ბოლნისიც, რომელიც ადრევე მქონდა ნახული (პირველად 1896 წელსა და შემდეგ კიდევ ორგზის – ერთხელ მაშინ, როცა ცხენით შემოვიარე ჩათახი და მისი მიდამოები), მაგრამ რომლის შესახებ არაფერი დამიბეჭდავს, რადგან დავით ეპისკოპოსის წარწერაში მამფალი იხსენიებოდა და ეს გარემოება შეუსაბამობად მიმაჩნდა; ბევრი ვეძებე ისტორიულ წყაროებში და გამოკვლევებში, მაგრამ ახსნა ვერსად ვიპოვე; ვიფიქრე, ალბათ უმეცრულად რაღაც არეუ-

ლია მეთქი. გავზავნილებმა კეთილსინდისიერად დაიარეს, გადმოხატეს ძეგლები და ჩამოიტანეს მშვენიერი მასალა, რომელიც შემდეგ კალგინმა მარჯვედ და ნიჭიერად გამოიყენა, ქართული ბანკის შენობის პროექტი რომ შეადგინა თითონვე. ერთ-ერთ ფასადზე დავით აღმაშენებლის სახეც გავაკეთებინეთ, რელიეფურად. ამრიგად, გამოგვივიდა ნამდვილი ქართული იერის შენობა, რომელიც დღემდე რჩება თბილისის არქიტექტურის ნამდვილ მშვენიებად; თუმცა კი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, აქ მრავალი კარგი სახლი აშენებულა და ბევრი მათგანი აგრეთვე ეროვნული სტილითაა ნაგები. ამჟამად ხომ, იმ ბანკის შენობაში სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაა მოთავსებული!“



სამთავრო. ანატოლი კალგინისა და მისი მეუღლის საფლავები

MCXETA DA MISI NASTNI

(ჟურნალი „მოგზაური“
ღვინობისთვის N 10 1901 წელი)

მცხეთა!... რომელს ქართველს არ აუჩქროლებს გულს მისი გაგონება, გახსენება... დაწყებული ზღაპრულ მცხეთოსივრემ, ვიდრე გმირ ვახტანგ გორგასლანამდე, ე.ი. მთელ ორი ათას წელზედ მეტი, მცხეთა იყო საქართველოს საერო და სასულიერო დედაქალაქი, ქვეყნის ყოველი ჭირ-ღხინის პირველი თავადი. მეხუთე საუკუნის დასასრულივრემ, ვახტანგ გორგასლანი აშენებს თბილისს და მას თავისს სატახტო ქალაქად ჰხდის; ხოლო მცხეთაში განამშვენებს სვეტიცხოველს – თორმეტთა მოციქულთა, დიდად ამკობს მას და მოიწვევს იქ კათალიკოსსა. ამგვარად, მცხეთა რჩება სატახტო ქალაქად, მარტოოდენ ქვეყნის სულიერ მეფისა – კათალიკოსისა. მაგრამ, ვახტანგმა თუმცა მიატოვა იგი და მთელი თავისი ყურადღება ახალს სატახტო ქალაქს, თბილისს, მიაპყრო, მცხეთას – მთელი 1300 წლის განმავლობაში, მაინც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. ეს, რასაკვირველია, ერთის მხრით, მისის ხანგრძლივის წარსულით აიხსნება, რომელმაც დიდი და წარუშლელი კვალი დასტოვა ხალხის მადლიანს მესხიერებაში, და, მეორე, იმით, რომ **ხალხის თვალში, კათალიკოსი იგივე მეფე იყო, თუმცა სულიერი, მაგრამ მისი თანასწორი. ამით აიხსნება ის მოვლენა ჩვენს ისტორიაში, რომ – კათალიკოსებად ხშირად აღირჩეოდნენ სამეფო გვარის წევრნი. მცხეთის კათალიკოსს ემორჩილებოდა ზემო (სამცხე) და ქვემო ქართლი, კახეთი, იმერეთი, ოსეთი და შაქ-შირვანი. მას ჰყვანდა საკუთარი ჯარი, რომლის უმთავრესი სარდალი თვით კათალიკოსი იყო და თავისი სარდლებიც (გენერლები) ჰყვანდა. მის დროს ამ ჯარს სარდლობდა ან თვით კათალიკოსი ან მისი ხელქვეითი გენერალი (სარდალი). ასევე სარდლობდნენ თავ-თავისს ადგილის ჯარებს ადგილობრივი ეპისკოპოსნი და ზოგიერთ მონასტრების წინამძღვარნი. კათალიკოსისავე და საზოგადო სასულიერო წოდების ხელში იყო მის ქვეშევრდომთა სამართალი ეს ცოტაა: მთელი დანარჩენი საქართველოც, რომელიც ქვეშევრდომი იყო მეფეთა და დიდებულთა, თავისუფალი არ იყო კათალიკოსისს გავლენისა და სამართლისაგან.**

თქმა არ უნდა, რომ ასეთ პირობებში, მცხეთა მაინც არ დაჰკარგავდა თავისს მნიშვნელობას, თუმცა უღმობელი მტერი ხშირად ანადგურებდა მას.

ვახუშტი კი ტყუილად არ ამბობს: „არიან მცხეთაში შენობანი დიდნი, პალატნი, ხოლო აწ აღარა არს ქალაქი, არამედ დაბა; რამეთუ შემდგომად ყრუსა მოხრდა. იტყვიან მძლავრობისათვის მაჰმადიანთა არღარა ჰყვეს ქალაქი, რათა არა მათ იპყრან და შეიგინოს სიწმიდეო“.

ბევრი მწარე, მაგრამ ბევრი ბრწყინვალე დღეებიც უნახავს მცხეთას. 333 – 302 წლებში ქრ. შობამდე, მაგალითად, მან გამოსცა და მაკედონელთა მძლავრობა თავისს და საქართველოს ძეთა ზედა, მაგრამ 302 წელში, ნაცვლად მისა, იგი აღფრთოვანებული კარს უღებს ფარნაოზსა და ერთად დანარჩენ საქართველოსთან დღესასწაულობს და იშვებს თვისსა და ქვეყნის განთავისუფლებას უცხოელ მოძალადისაგან.

IV ს. იგი კვლავ დღესასწაულობს თვისსა და საქართველოს განთავისუფლებას საუკუნო სიბრძავედგან და მთელის ერთურთ ნათელს იღებს არაგვისა და მტკვრის წმიდა ზვირთებში...

მშვენიერი ადგილ-მდებარეობაც აქვს მცხეთას. სამხრით – მტკვარი, რკინიგზის სადგური, არმაზის ციხე-ეკლესია და მთები, შემოსილი ტყით; აღმოსავლით – გიჟმაჟი არაგვი, ჯვარ-ზედაზნის მონასტრებით და მთებით, აგრეთვე, შემოსილი ტყით; ჩრდილოდამ – არდამ ერისთავის ბელტის ციხე და არაგვის მშვენიერი ხეობა, კავკასიის თოვლიანის მთებით და დასავლით – მშვენიერი სააგარაკო ადგილები და გორები, აგრეთვე შემოსილი ტყით. ყველა ეს ერთ უკეთეს ადგილად ჰხდის მცხეთას!... ადგილი მცხეთისა, მართალია, პატარაა, მაგრამ რაც არის კარგი და კეკლუცია. სამწუხარო აქ მხოლოდ ის არის, რომ მას აკლია მზრუნველის აღამიანის ხელი, ბაღები მწვანე, წყალი... ნეტავი რას მიჰქარავსო, გაიფიქრებს ამ სტრიქონების მკითხველი: აქ ერთი ტაძარიც ვერ გაგვიახლება და ესკი მთელი სოფლის განახლებას გვიქადაგებსო!.. დიდაც რომ ამას ვქადაგებთ, მკითხველო, და გვერწმუნე, რომ ეს უფრო ადვილი, უფრო საფუძვლიანი და სამკვიდროც არის, ვიდრე მარტოოდენ ტაძრის განახლება! ადვილია იმიტომ, რომ მცხეთის განახლება უნდა დავამყაროთ მის თითოეულ მცხოვრების განახლება-აღორძინებაზე და არა სხვის საეჭვო შემწეობაზე. ეს კი სწორედ ისეთი საქმეა, რომ თუ, მართლაც, ამას მოვახერხებთ, **სვეტიცხოველიც,**

სამთავროც (რომელიც აგრეთვე ისრეთსავე განახლებას თხოულობს) და სხვა მრავალიც, რომელიც დღეს მცხეთას უჭირს, თავიანთივე საკუთარის ძალით და შეძლებით განახლდება და აღორძინდება ყოველი. ახლა, როგორ და რა გზით გამოვაფხიზლოთ, რა და რომელი საშუალებით გამოვიყვანოთ იგი მიწურიდამ ნათელზე, რომელის საშუალებით მცხეთელის საცხოვრებელი სახლი სახლს დავამსგავსოთ, ტადარი – ტადარს, ქუჩა – ქუჩას, ხე – ხეს, და სხვა? – ძლიერ დავილია, მაგრამ ამაზედ შემდეგ იყოს, როცა ჩვენს აზრს მცხეთელებს და სხვათ პირადად განვუხიარებთ და მათს აზრს ჩვენსას შევუვარდებთ.

დღეს მცხეთას ამშვენებს ორი დიდი ტადარი. ერთია სვეტიცხოველი და მეორეც – სამთავროს ტადარი, რომლის ეზოში დღეს დედათა მონასტერი და სკოლაა გამართული. სვეტიცხოველის ტადარი პირველად ხისა იყო. იგი ააშენა მირიან მეფემ (265–342 წწ.). მესამე საუკუნეში ვახტანგ გორგასლანმა იგი მოშალა და ააგო ვრცელი და დიდებული ქვის ტადარი, მაგრამ მეთოთხმეტე საუკუნეში იგი თითქმის მთლად დაანგრია განძვინებულმა თემურ-ლენგმა და იავარჰყო ყველაფერი, რაც კი დაცული იყო ტადრის კედლებსა და სამაღავეებში, თვით სამარეებშიაც კი. მეფე ალექსანდრე პირველმა, მეთოთხმეტე საუკუნეში, ითავა მისი აღდგენა და დღეს რასაც ვხედავთ, ალექსანდრე მეფის დროს აშენებული ტადარია, ხოლო მეჩვიდმეტე საუკუნეში, გუმბათი მისი ჩამოიქცა და იგი განაახლა მეფე როსტომმა და მისმა მეუღლემ მარიამმა. ამის შესახებ გუმბათზე დღევანდლამდინ წარწერაც არის დარჩენილი.

სამთავროს ტადარიც მირიან მეფემ ააშენა და იქვე დაიმარხა. ვახტანგ გორგასლანმა დასო აქ ეპისკოპოსი, მღვდელმთავარი ქართლისა, რისგანაც მიიღო, ვგონებთ, ტადარმა თავისი სახელი. სამთავროს მთავარ-ეპისკოპოსებს ეკავათ მეოთხე ადგილი, მეფის დაგვირგვინების დროს: პირველი ადგილი ეკავა მცხეთის კათალიკოსს, მეორე – მთავარ-ეპისკოპოსს ჭყონდიდისას ანუ მარტვილისას, მესამე აწყურისას ანუ სამცხისას და მეოთხე – სამთავროს მთავარ-ეპისკოპოსს. მცხეთის სვეტიცხოვლის ტადრის დღეობა იცის პირველ ღვინობისთვის, როდესაც აქ დიდძალი ხალხი იკრიბება ქალაქიდან და გარეშემო სოფლებიდან.

ბატონიშვილი ვახუშტი ასე აგვიწერს მცხეთას:

„ხოლო მცხეთა არს ორს მდინარეს შორის: სამხრით უდის მტკვარი, აღმოსავლით – არაგვი, და მუნ შეკრებიან. აღაშენა

მცხეთოს, ძემან ქართლოსისამან, და უწოდა სახელითა თვისითა. შემდგომად იქმნა ქალაქი დიდი, რომელსა უწოდებდნენ დედა ქალაქსა. მერმე მოზღუდა არდამ ერისთავმან სპარსთამან. მუნვე აღაშენა ხიდსა ზედა ციხე და ჩრდილოთ ციხე. კვალად არმაზი-დამ წარმოზღუდა მტკვრამდე, ამის გამო ისწავლეს ქართველთა ქვითკირი, და იმყოფოდა ქალაქსა ამას შინა უხუცესი ყოველთა საქართველოსი, და მორჩილებდნენ ამას. შემდგომად აზონ მოარღვია ზღუდე, პირველ მეფემან ფარნაოზ კვალად მოზღუდა, და მეფენი ჟამითი-ჟამად ამაგრებდნენ. **ხოლო მირიან აღაშენა ეკლესია მოციქულთა, ხისა, სამოთხესა (ბაღსა) შინა თვისსა, სადაც არს კვართი უფლისა, რომელი მოიღო ელიოზ, და ხალენი ელიასი. და 26-ე მეფემან მირდატ აღაშენა მონაკვეთსა სვეტისასა გარემო ქვიტკირის სვეტი, და ამისგან ეწოდა „სვეტიცხოველი“ ეკლესიასა ამას, და აღმართა მას ზედა ჯვარი, რომელსა სდიოდა მირონი სამკურნალო, და აწ უწოდებენ სამირონოსა. და ჩრდილოთ ამისა მირიანვე აღაშენა ეკლესია მაცხოვრისა ღვთაებისა – სამთავრო, ქვიტკირისა, გუნბათიანი, დიდშენიერი, და დაეფლა მირიან მუნ და 43-ე მეფე მირ. ამას შინა დასვა გორგასალ ეპისკოპოზი, და აწცა ზის მთავარ-ეპისკოპოზი, მწყემსი რეხულას ზეითი დიდ ღიახვამდე. ვახტანგ გორგასლანმა აღაშენა მცხეთა ქვიტკირითა და შეამკო დიდად. მანვე დასვა კათალიკოზი. შემდგომად ძვრით დარღვეული აღაშენა 71-ე მეფემან გიორგიმ, მერმე შემუსრა ლანგთემურ, აღაშენა 76-ე მეფემან ალექსანდრემ. შემდგომად შთამოვარდა გუმბათი, მოაშენა 89-ე მეფემან როსტომ. 94-ე მეფემან ვახტანგ შეამკო კარი სამირონესი ოქროთა, მინითა და ვერცხლითა, და ჰყო მოფენილ მოფარდაგულ ზეხით კეთილითა. დაფლულ არიან მეფენი გორგასალ, დავით ლაშას ძე, დიმიტრი თავდადებული, დიდი ლუარსაბ, სვიმონ და გიორგი (აწცა ეფველიან, არამედ უშვერ არს). აქავ 31-ე მეფემან არჩილ, აღაშენა ეკლესია სტეფანწმიდისა, აღმოსვლით, არაგვის კარსა ზედა. ყოფილან ეკლესიანი მრავალნი, არამედ შემუსვრილნი არიან. არიან შენობანი დიდნი, პალატნი დიდ-დიდნი, ხოლო აწ აღარა არს ქალაქი, არამედ დაბა, რამეთუ შემდგომად ყრუსა მოოხრდა. ხოლო არს ზამთარს ცივი, ქარიანი, ზაფხულს ცხელი, არამედ ჰავით მშვენი, მთებთა შორის მდგომი, რამეთუ აღმოსავლით აქვს მთა ჯვარ-ზედახნისა, დასავლით მთა სარკინეთისა, სამხრით მთა ქართლისა და კარსნისა.**



სვეტიცხოველი



სამთავრო



ანკლოპის



ძეჯეთის ჯვარი



შიომღვიმე



ზედაზენი

RvTivsul ierno Svil no ekl esiisano

anaRl daraufal i RnerTi Cveni ieso qriste_ noavl ina RvTism Sobel nan mariamandria nociqul i, gansanaTl ebel ad iveriel Ta erisa; da anaRl da ra qal wul i mariam_ noavl ina saTno Tvisi qal wul i, nociqul i nino, gannabrwyinvebel ad sul Ta CvenTasa.

viTarca RnerTnan, pirvel abraanis gano, israil uwoda ersa Tvissa, egreTve qal wul nan mariam andrias gano, qristeane gviwoda samwysosa Tvissa.

viTarca RnerTnan nose ganoirCia israil Ta winanzRvrad, egreTve dedofal nan mariamqal wul i nino ganoirCia axl isa israil isa winanzRvrad.

viTarca RnerTnan mozes misca aTni nnebani RvTivweril ni, egreTve qal wul sa ninos noecnes aTni sityvani saRmTo weril ni.

viTarca RnerTnan mozes misca kverTxi, j varis saxed nomaswavebel ad, egreTve qal wul nan misca ninos venaxi, j varis saxed Sekrul i, eSmakTa gansadevnel ad.

viTarca RnerTnan mozes ni aniWa saswaul ni kverTxisa, gvel ad Secval ebiTa, egreTve RvTisa dedanan SesWurva nino, xel nwi febiTa daTrgunvad gvel Ta da Rriankal Ta.

viTarca nosemixsna israil ni faraosagan, egreTve qal wul nan nino ixсна qarTvel ni armaz-zadenisagan da naT Sina dankvidrebul isal egeonbel zebul isagan.

viTarca Sendgonad moresa, ieso qriste nan ganoirCivna aTornet ni nociqul ni da naT nier gananaTl ayovel i qveyana, egreTve RvTism Sobel nan mariam Sendgonad ninosa, ganoirCivna aTornet ni nanani da naT nier ganabrwyinva iveriis qveyana.


esreT, yovl iT keTil obiTa, yovl ad saxiersa Zesa Tvissa engavsavsa yovl ad ubiwo qal wul i mariam anisTvis hSvenis Cvenda, sayvarel no, raTa yovl adve gviyardes yovl adsayvarel i, friad sasurvel i da RvTivsanatrel i RvTism Sobel i mariam da maradre daucxronel ad, sul iT da gul iT, nsgavsad siyvarul isa da sitkboebisa misisa, ugal obdeT gixarodensa.

`nananai ~

anu Sesxmani RvTivdi debul Ta wni daTaTvis
t fil isi _ 1904w.

wni da ni nos l ocva saqarTvel osaTvis

ufal o RnerTo, mravl iTa Zal iTa SeniTa gecrunves Sen mt erni Senni,
ixil e ufal o, nu dasdumebi da qmul Ta xel Ta SenTasa nu ugul ebel s-
hyof; mDixil e, ufal o, mARl iT SeniT wni di T, ixsen nkl avi Ta Seni Ta eri
Seni; Seisni ne ufal o, l ocvisa Ceni sa, da vedrebi sa Ceni sa yuradi Re da
STaxade kerpni ese risxvi Ta Seni Ta quesknel Ta queSe queyani saTa, rane-
Tu ara ars mAT Soris VeSmriteba, raneTu ganxrwnes eri Seni avazakTa
borotTa uxil avTa, ganostacen eseni xel Tagan ngel Ta ganmryunel Tasa,
raneTu Seni ars sufeva da di deba, ukuni Ti ukuni sande ani n.



ni xeil sabi ni ni `saqarTvel os samOTxe~

მონივნის ალექსა

კ ი თ ხ ე ა - მ ი გ ე ბ ა



უკეთუ მონივნის წინაშე ღუთისა, გუთისაჲ სიმშვიდით
და მძიმე ზუენ ყოვლითა კნძალულებითა:

კითხუა: რაისათვის მონივნის, ძმაო, შეერდომით, წმინდასა
ამასა მსხვერპლის შეწინებასა და წმინდათა ამათ კნებულთა?

მიგება: მნებავს განმთრეპია ხთელთსაგან, ბაჭითხანო ძამათ.

კითხუა: ნებათა შენითა ღირს იქმნებია ანგელთსებნივესა ამას ხახესა
და წესსა გუნდთა მონივნისა?

მიგება: ბე, ღუთისა ძალითა, ბაჭითხანო ძამათ.

წინამძღუანძინ: ხლთ რაეჲს აღვირგებეჲს კეთილი და ხანაჭრელი ესე
საქმიო, უკეთუ გნებავს განსწრულებია კეთილისა საქმისა,
შინძითა, რუდუნებითა და ტყიელითა განსწრუდების.

კითხუა: ნებისთ გნებითა შენითა მონივნისა წინაშე უფლისა?

მიგება: ბე, ღუთისა ძალითა, ბაჭითხანო ძამათ.

კითხუა: დაიკაჲ ქალწულებსა შენსა ყოვლითა გნებითა და ხასობითა?

მიგება: ბე, ღუთისა ძალითა, ბაჭითხანო ძამათ.

კითხუა: ცხოვრებასა შინა შენსა ვიდრე სიკვდილდე ბეთა
მონივნისა უფრთხისხასა, და ყოველთა ქრისტეს მიერ ძამათსა?

მიგება: ბე, ღუთისა ძალითა, ბაჭითხანო ძამათ.

კითხუა: დაითქნა ყოველსა ძეიონისხელეასა, იწრთებასა, ბოლოცთა
მიერ აღმრულსა მსაკუანებასა, ხასუფეკეობისათვის ცათასა?

მიგება: ბე, ღუთისა ძალითა, ბაჭითხანო ძამათ.